

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება

მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა
დიპლომატიურ კონფერენციაზე
17 ივლისი, 1998 წ.

პრეამბულა

აცნობიერებენ რა, რომ ყველა ერი ერთიანდება საერთო კავშირებით, ერთმანეთზე გადაჯაჭვული ყოველი მათგანის კულტურა ქმნის საერთო მემკვიდრეობას, და შემფოთებული იმის გამო, რომ ეს მყიფე მოზაიკა შეიძლება დაიშალოს ნებისმიერ დროს,

მხედველობაში იღებენ რა, რომ გასული საუკუნის განმავლობაში მილიონობით ბავშვი, ქალი და მამაკაცი გახდა წარმოუდგენელ ბოროტმოქმედებათა მსხვერპლი, რამაც ღრმად შესძრა კაცობრიობის შეგნება,

შეგნებული აქვთ რა, რომ ეს უმძიმესი დანაშაულები საფრთხეს უქმნიან მსოფლიოს მშვიდობას, უშიშროებას და კეთილდღეობას,

ამტკიცებენ რა, რომ მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის მნიშვნელობის მქონე უმძიმესი დანაშაულები არ უნდა დარჩეს დაუსჯელი და მათი ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ეროვნულ დონეზე ზომების მიღებითა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებით,

გადაწყვეტილი აქვთ რა, ბოლო მოუღოს ამგვარი დანაშაულების ჩამდენთა დაუსჯელობას და ამგვარად ხელი შეუწყოს მსგავს დანაშაულთა თავიდან აცილებას,

ითვალისწინებენ რა, რომ ყოველი სახელმწიფო მოვალეა განახორციელოს თავისი სისხლის სამართლის იურისდიქცია იმ პირებზე, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის,

კვლავ ადასტურებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს და, კერძოდ, რომ ყოველი სახელმწიფო თავს იკავებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალით დამუქრების ან ძალის გამოყენებისგან ან სხვა ქმედებისგან, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან,

ხაზს უსვამენ რა, რომ ამასთან დაკავშირებით ამ წესდებაში არაფერი შეიძლება განიმარტოს, როგორც რომელიმე მონაწილე სახელმწიფოსთვის უფლებამოსილების მინიჭება, ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელიც მის საშინაო საქმეებს განეკუთვნება,

იღვწიან რა ამ მიზნების მიღწევისა და ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის, რომ დააფუძნოს დამოუკიდებელი მუდმივი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემასთან კავშირში,

რომლის იურისდიქციაც ხორციელდება მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის მნიშვნელობის მქონე უმძიმეს დანაშაულებზე,

ხაზს უსვამენ რა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, დაფუძნებული ამ წესდების საფუძველზე, წარმოადგენს ეროვნული სისხლის სამართლის იურისდიქციის დამატებას,

მიზნად ისახავენ რა საერთაშორისო მართლმსაჯულების აღსრულებისათვის მყარი გარანტიების შექმნას და მისადმი პატივისცემის უზრუნველყოფას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი 1. სასამართლოს დაფუძნება

მუხლი 1. სასამართლო

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ("სასამართლო") დაფუძნებულია ამ დოკუმენტით. იგი წარმოადგენს მუდმივ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს იურისდიქცია საერთაშორისო მნიშვნელობის იმ უმძიმეს დანაშაულებზე, რომლებიც აღნიშნულია ამ წესდებაში. იგი წარმოადგენს ეროვნულ სისხლის სამართლის იურისდიქციასთან დამატებას. სასამართლოს იურისდიქცია და მუშაობა რეგულირდება წინამდებარე წესდების შესაბამისად.

მუხლი 2. სასამართლოს დამოკიდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან

სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურთიერთ დამოკიდებულება სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურთიერთ დამოკიდებულება განისაზღვრება შეთანხმებით, რომელსაც ამტკიცებს ამ წესდების მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა და შემდგომში დებს სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოს სახელით.

მუხლი 3. სასამართლოს ადგილსამყოფელი

1. სასამართლოს ადგილსამყოფელი მდებარეობს ჰააგაში, ნიდერლანდები ("მასპინძელი სახელმწიფო").

2. სასამართლო მასპინძელ სახელმწიფოსთან დებს შეთანხმებას შტაბ-ბინის მთავარი ადგილსამყოფელის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა და შემდგომში დებს სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოს სახელით.

3. სასამართლოს შეუძლია შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას, რომელსაც ჩათვლის მიზანშეწონილად ამ წესდების შესაბამისად.

მუხლი 4. სასამართლოს სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება

1. სასამართლო არის საერთაშორისო იურიდიული პირი. მას გააჩნია ის უფლებაუნარიანობა, რაც საჭიროა მისი ფუნქციების განხორციელებისა და მიზნების მიღწევისთვის.

2. სასამართლოს შეუძლია, ამ წესდების შესაბამისად, განახორციელოს თავისი ფუნქციები და უფლებამოსილება ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო სპეციალური შეთანხმების საფუძველზე - სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ნაწილი 2. იურისდიქცია, დაშვებადობა და გამოსაყენებადი სამართლის ნორმები

მუხლი 5. სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულები

1. სასამართლოს იურისდიქცია შემოიფარგლება მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის მნიშვნელობის მქონე უმძიმესი დანაშაულებით. სასამართლოს იურისდიქცია, ამ წესდების თანახმად, ხორციელდება შემდეგ დანაშაულებზე:

- (a) გენოციდის დანაშაული;
- (b) ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;
- (c) ომის დანაშაულები;
- (d) აგრესიის დანაშაული.

2. აგრესიის დანაშაულზე სასამართლო იურისდიქციას ახორციელებს 121-ე და 123-ე მუხლების შესაბამისად მიღებული დებულების შემდეგ, რომლითაც განისაზღვრება ამ დანაშაულის ცნება და დაწესებულია სასამართლოს მიერ აღნიშნულ დანაშაულზე იურისდიქციის განხორციელების პირობები. ეს დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაეროს წესდების შესაბამის დებულებებს.

მუხლი 6. გენოციდი.

გენოციდი, ამ წესდების მიზნებისთვის, ნიშნავს ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით როგორცაა;

- a) ჯგუფის წევრთა სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება;
- b) ჯგუფის წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება;
- c) ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას;
- d) ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ჯგუფის შიგნით შობადობის ხელის შეშლა;

ე) ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობით გადაცემა.

მუხლი 7. დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ

1. ამ წესდების მიზნებისთვის, "დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ" ნიშნავს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, ჩადენილს სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმების ნაწილის სახით, თავდასხმის წინასწარი შეცნობით:

- (a) მკვლელობა;
- (b) განადგურება;
- (c) დამონება;
- (d) დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებით გადაადგილება;
- (e) დაპატიმრება ან ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარი უხეში ხელყოფა, ჩადენილი საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების დარღვევით;
- (f) წამება;
- (g) გაუპატიურება, სქესობრივ მორჩილებაში ყოლა, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, ძალადობით სტერილიზაცია ან მსგავსი სიმძიმის სქესობრივი ძალადობის სხვა სახე;
- (h) ამოსაცნობი ჯგუფის ან ერთობის დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესის (როგორც ეს განმარტებულია მე-3 პუნქტში) ან სხვა ისეთი ნიშნის საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ დაუშვებლად არის აღიარებული, დაკავშირებული ამ პუნქტში აღნიშნულ რომელიმე ქმედებასთან ან სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ რომელიმე დანაშაულთან;
- (i) პირთა იძულებით გაუჩინარება;
- (j) აპართეიდის დანაშაული;
- (k) მსგავსი ხასიათის სხვა არაადამიანური განზრახი ქმედებანი, რომლებიც იწვევენ მძიმე ტანჯვას, სხეულის მძიმე დაზიანებას ანდა მძიმე ზიანს აყენებენ პირის ფსიქიკურ ან ფიზიკურ ჯანმრთელობას.

2. პირველი პუნქტის მიზნებისთვის:

(a) "თავდასხმა, მიმართული სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ" ნიშნავს ქმედებას, რომელიც მოიცავს პირველ პუნქტში მითითებულ ქმედებათა მრავალჯერად ჩადენას, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, სახელმწიფოს ან ასეთი თავდასხმის განხორციელებისაკენ მიმართული ორგანიზაციის პოლიტიკის გატარების ან მისი ხელშეწყობის მიზნით;

(b) "განადგურება" ნიშნავს ცხოვრების ისეთი პირობების განზრახ შექმნას, კერძოდ, საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის აღკვეთას, რაც მიზნად ისახავს მოსახლეობის ნაწილის ამოწყვეტას;

(c) "დამონება" ნიშნავს ადამიანის მიმართ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელებას, მათ შორის ამ უფლების

ისეთ განხორციელებას, რაც გამოიხატა ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით ვაჭრობით;

(d) "დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებით გადაადგილება" ნიშნავს პირთა იძულებით გადაადგილებას, რაც გამოიხატა მათი გასახლებით თავიანთი კანონიერი საცხოვრებელი ადგილიდან ან სხვა იძულებითი ქმედებით, საერთაშორისო სამართლით დაშვებული საფუძვლების არსებობის გარეშე;

(e) "წამება" ნიშნავს მძიმე ფიზიკური ან სულიერი ტკივილის ან ტანჯვის მიყენებას იმ პირისთვის, რომელიც დამნაშავეს პატიმრობის ან კონტროლის ქვეშ იმყოფება; ამასთან, წამება არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც დამახასიათებელია კანონიერი სანქციებისთვის ან განუყოფელია ამ სანქციებისგან ან წარმოიშობა შემთხვევით მათი აღსრულების პროცესში;

(f) "იძულებითი ორსულობა" ნიშნავს იძულებით დაორსულებული ქალის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთას, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის ან საერთაშორისო სამართლის სხვა მძიმე დარღვევათა ჩადენის მიზნით. ეს განსაზღვრება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განიმარტოს, როგორც ზიანისმიყენება ორსულობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობისთვის.

(g) "ღევნა" ნიშნავს საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ პირის ძირითად უფლებათა განზრახ უხეშ ხელყოფას, რომელიმე ჯგუფის ან ერთობისადმი კუთვნილების მოტივით;

(h) "აპართეიდის დანაშაული" ნიშნავს 1-ლ პუნქტში აღნიშნული არაადამიანური მოქმედებების მსგავს მოქმედებებს, ჩადენილს ისეთი ინსტიტუციონალიზებული რეჟიმის სახით, რაც გამოიხატება ერთი რასობრივი ჯგუფის ზეწოლითა და ბატონობით სხვა რასობრივ ჯგუფზე ან ჯგუფებზე, ამ რეჟიმის შენარჩუნების მიზნით;

(i) "პირთა იძულებით გაუჩინარება" ნიშნავს პირთა დაპატიმრებას, დაკავებას ან მოტაცებას სახელმწიფოს ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ ან მათი ნებართვით, მხარდაჭერით ან დუმილით თანხმობით, რის შემდეგაც მათ გამოხატეს უარი ასეთი თავისუფლების აღკვეთის აღიარებაზე ან ამ პირთა ბედის ან ადგილსამყოფელის შეტყობინებაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამ პირთათვის კანონით გათვალისწინებული დაცვის ჩამორთმევის მიზნით;

3. ამ წესდების მიზნებისთვის, ტერმინი "გენდერული" ეხება ორივე სქესს საზოგადოების კონტექსტში - მამრობითს და მდედრობითს. ტერმინ "გენდერულს" არ გააჩნია სხვა შინაარსობრივი დატვირთვა გარდა ზემოთ აღნიშნულისა.

მუხლი 8. ომის დანაშაულები.

1. სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს ომის დანაშაულებზე, კერძოდ, თუ ისინი ჩადენილია გეგმის ან პოლიტიკის ნაწილის სახით ან ამგვარ დანაშაულთა ფართომასშტაბიანი ჩადენის ნაწილის სახით.

2. ამ წესდების მიზნებისთვის, "ომის დანაშაულები" ნიშნავს:

a) 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევებს, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც მიმართულია ჟენევის კონვენციების დაცვის ქვეშ მყოფი პირების ან საკუთრების წინააღმდეგ:

(i) განზრახ მკვლელობა;

(ii) წამება ან არაადამიანური მოპყრობა, მათ შორის ბიოლოგიური ექსპერიმენტები;

(iii) მძიმე ტანჯვის, სხეულის მძიმე დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება;

(iv) საკუთრების უკანონო, უაზრო და ფართომასშტაბიანი განადგურება და მითვისება, რაც გაუმართლებელია სამხედრო აუცილებლობით;

(v) სამხედრო ტყვის ან სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირის იძულება, იმსახუროს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში;

(vi) სამხედრო ტყვის ან სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის სამართლიანი და ნორმალური სასამართლო განხილვის უფლების ჩამორთმევა;

(vii) უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება ან უკანონო თავისუფლების აღკვეთა;

(viii) მძევლების აყვანა;

b) იმ კანონებისა და ჩვეულებების მძიმე დარღვევებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად გამოიყენება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება:

(i) განზრახ თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე, როგორც ასეთზე, ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში;

(ii) განზრახ თავდასხმა სამოქალაქო ობიექტებზე, ე.ი. იმ ობიექტებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ სამხედრო სამიზნეს;

(iii) დარტყმების განზრახ მიყენება ჰუმანიტარულ დახმარებაში ან მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში გაეროს წესდების შესაბამისად მონაწილე პერსონალზე, ობიექტებზე, მასალებზე, ქვედანაყოფებზე ან გადასახიდ საშუალებებზე, ვიდრე მათ აქვთ ის დაცვის

უფლება, რაც ენიჭება სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;

(iv) განზრახ თავდასხმა, როდესაც ცნობილია, რომ ასეთი თავდასხმა გამოიწვევს სამოქალაქო პირთა შემთხვევით დაღუპვას ან დაზიანებას ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას ანდა ბუნებრივი გარემოს ფართომასშტაბიან, ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ზიანს, რომელიც არათანაზომიერი იქნებოდა კონკრეტული და უშუალოდ მოსალოდნელი საერთო სამხედრო უპირატესობისა;

(v) ნებისმიერი საშუალებით ქალაქებზე, სოფლებზე, საცხოვრებლებზე ან შენობებზე თავდასხმა ან მათი დაბომბვა, რომლებიც არ არიან დაცული და არ წარმოადგენენ სამხედრო სამიზნეს;

(vi) იმ კომბატანტის მოკვლა ან დაჭრა, რომელმაც დადო იარაღი ან აღარ გააჩნია დაცვის საშუალება და უსიტყვოდ დანებდა;

(vii) დროებით ცეცხლის შეწყვეტის აღმნიშვნელი აღმის, ეროვნული დროშის ანდა გაეროს ან მოწინააღმდეგის განმასხვავებელი სამხედრო ნიშნის და ფორმის, აგრეთვე ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული განმასხვავებელი ემბლემების არასათანადო გამოყენება, რამაც ადამიანთა სიკვდილი ან მათი მძიმე ფიზიკური დაზიანება გამოიწვია;

(viii) ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაყვანა მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის დეპორტაცია ან გადაადგილება ამ ტერიტორიის საზღვრის ფარგლებში ან მის გარეთ;

(ix) რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისთვის განკუთვნილ შენობებზე, ისტორიულ ძეგლებზე, საავადმყოფოებზე ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილებზე დარტყმების განზრახ მიყენება, თუ ისინი არ წარმოადგენენ სამხედრო სამიზნეს;

(x) მოწინააღმდეგის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დამახინჯება ან მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება, რაც გაუპართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, ამასთან, არ ხორციელდება ამ პირის ინტერესებიდან გამომდინარე და იწვევს ამ პირის ან პირთა სიკვდილს ან სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს მათ ჯანმრთელობას;

(xi) მოწინააღმდეგე მხარის ქვეშევრდომთა ან მის შეიარაღებულ ძალების მოსამსახურეთა ღალატით მკვლელობა ან მათთვის ჭრილობის მიყენება;

(xii) იმის გამოცხადება, რომ დანდობა არ იქნება;

(xiii) მოწინააღმდეგის საკუთრების განადგურება ან ხელში ჩაგდება, თუ ეს განადგურება ან ხელში ჩაგდება განპირობებული არ იყო იმპერატიული სამხედრო აუცილებლობით;

(xiv) იმის გამოცხადება, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა უფლებები და სარჩელები სასამართლოში გაუქმებული, შეჩერებული ან მიუღებელია;

(xv) მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა იძულება, მონაწილეობა მიიღონ მათი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი ომის დაწყებამდე მეომარი მხარის სამსახურში;

(xvi) ქალაქის ან ადგილმდებარეობის გაძარცვა, თუნდაც შტურმით ალებისას;

(xvii) შხამიანი ნივთიერების ან მოწამლული იარაღის გამოყენება;

(xviii) მგუდავი, მომწამვლელი ან სხვა აირების, აგრეთვე ყოველგვარი მსგავსი სითხის, მასალის ან საშუალების გამოყენება;

(xix) ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადვილად ფეთქდება ან ბრტყელდება ადამიანის სხეულში, როგორცაა მყარგარსიანი ტყვიები, რომელთა გარსი არ ფარავს ტყვიის მთელ გულს ან აქვს ჩანაჭრები;

(xx) ისეთი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ტექნიკის, აგრეთვე ბრძოლის წარმოების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც იწვევენ გადაჭარბებულ ზიანს ან უსარგებლო ტანჯვას, ან რომელიც იწვევს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ნორმათა განურჩეველ დარღვევას, ამასთან, თუ ასეთი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ტექნიკა, აგრეთვე ბრძოლის წარმოების ასეთი მეთოდები ექვემდებარება საყოველთაო აკრძალვას და შესწორების სახით შეტანილია ამ წესდების დანართში 121-ე და 123-ე მუხლების სათანადო დებულებების შესაბამისად;

(xxi) ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

(xxii) გაუპატიურება, სქესობრივ მორჩილებაში ყოლა, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, რაც განსაზღვრულია მე-7 მუხლის 2 პუნქტის (f) ქვეპუნქტით, ძალადობით სტერილიზაცია ან სქესობრივი ძალადობის სხვა სახე, რომელიც ასევე წარმოადგენს ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევას;

(xxiii) სამოქალაქო ან სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანდასწრების გამოყენება ცალკეული პუნქტების, რაიონების ან შეიარაღებული ძალების სამხედრო მოქმედებებისგან დაცვის მიზნით;

(xxiv) დარტყმების განზრახ მიყენება იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე ან სატრანსპორტო საშუალებებზე და პერსონალზე, რომლებიც

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად იყენებენ ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ განმასხვავებელ ემბლემებს;

(XXV) ომის წარმოების საშუალების სახით სამოქალაქო მოსახლეობაში შიმშილის განზრახ გამოწვევა სასიცოცხლო მნიშვნელობის საგნების ჩამორთმევით, მათ შორის ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული დახმარების გაწვევისათვის განზრახ ხელის შეშლა;

(XXVI) თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების გაწვევა ან შეგროვება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის ან მათი გამოყენება სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

c) არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლის მძიმე დარღვევები, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება, ჩადენილი იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ საოპერაციულ მოქმედებებში, მათ შორის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი იმ პირების წინააღმდეგ, რომელთაც დადეს იარაღი ან აღარ შესწევთ ბრძოლის უნარი ავადმყოფობის, მიღებული ჭრილობის, პათიმრობის ან სხვა მიზეზის გამო:

(i) ძალადობა, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან პიროვნების წინააღმდეგ, კერძოდ, ყოველგვარი მკვლელობა ნებისმიერი ფორმით, დამახინჯება, სასტიკი მოპყრობა ან წამება;

(ii) ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა;

(iii) მძევლების აყვანა;

(iv) განაჩენის გამოტანა ან მისი აღსრულება სათანადოდ დაფუნდებული სასამართლოს მიერ წინასწარი განხილვის გარეშე, იმ ყველა იურიდიული გარანტიის დაცვით, რომლებიც საყოველთაოდ სავალდებულოდ არის აღიარებული;

d) მე-2(c) პუნქტი ეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს და ამრიგად არ გამოიყენება შიდა წესრიგის დარღვევისა და დაძაბულობების დროს, როგორცაა არეულობები, ძალადობის ცალკეული და სპორადიული აქტები ან სხვა ანალოგიური ხასიათის აქტები;

e) არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული კანონებისა და ჩვეულებების სხვა მძიმე დარღვევები, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება:

(i) დარტყმების განზრახ მიყენება სამოქალაქო მოსახლეობაზე, როგორც ასეთზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში;

(ii) დარტყმების განზრახ მიყენება იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე ან სატრანსპორტო საშუალებებზე და პერსონალზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად იყენებენ ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ განმასხვავებელ ემბლემებს;

(iii) დარტყმების განზრახ მიყენება ჰუმანიტარულ დახმარებაში ან მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში გაეროს წესდების შესაბამისად მონაწილე პერსონალზე, დანადგარებზე, ობიექტებზე, მასალებზე გადასახიდ საშუალებებზე, ვიდრე მათ აქვთ ის დაცვის უფლება, რაც ენიჭება სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;

(iv) რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისთვის განკუთვნილ შენობებზე, ისტორიულ ძეგლებზე, ჰოსპიტლებზე ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილებზე განზრახ დარტყმების მიყენება, თუ ისინი არ წარმოადგენენ სამხედრო ობიექტებს;

(v) ქალაქის ან ადგილმდებარეობის გაძარცვა, თუნდაც შტურმით აღებისას;

(vi) გაუპატიურება, სქესობრივ მორჩილებაში ყოლა, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, რაც განსაზღვრულია მე-7 მუხლის 2(f) პუნქტით, ძალადობით სტერილიზაცია ან სქესობრივი ძალადობის სხვა სახე, რომელიც ასევე წარმოადგენს ჟენევის ოთხი კონვენციისთვის საერთო მე-3 მუხლის მძიმე დარღვევას;

(vii) თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების გაწვევა ან შეგროვება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში ან დაჯგუფებებში სამსახურისთვის ან მათი გამოყენება სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად;

(viii) ბრძანების გაცემა იმის შესახებ, რომ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო სამოქალაქო მოსახლეობა გადაყვანილი იქნას სხვა ადგილას, თუ ამას არ მოითხოვს აღნიშნულ სამოქალაქო პირთა უსაფრთხოება ან აუცილებელი სამხედრო მიზეზები;

(ix) მოწინააღმდეგე მხარის კომბატანტის ღალატით მკვლელობა ან ჭრილობის მიყენება;

(x) იმის გამოცხადება, რომ დანდობა არ იქნება;

(xi) კონფლიქტში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დამახინჯება ან მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება, რომლებიც გაუმართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მეურნეობის თვალსაზრისით, ამასთან, არ ხორციელდება ამ პირის ინტერესებიდან გამომდინარე და იწვევს ამ პირის ან პირთა სიკვდილს ან სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს მათ ჯანმრთელობას;

(xii) მოწინააღმდეგის საკუთრების განადგურება ან ხელში ჩაგდება, თუ ეს განადგურება ან ხელში ჩაგდება განპირობებული არ იყო იმპერატიული სამხედრო აუცილებლობით.

f) მე-2(e) პუნქტი ეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს და ამრიგად არ გამოიყენება შიდა წესრიგის დარღვევისა და დაძაბულობების დროს, როგორცაა არეულობები, ძალადობის ცალკეული და სპორადიული აქტები ან სხვა მსგავსი ხასიათის აქტები; ის ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როდესაც მიმდინარეობს ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი სამთავრობო ძალებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის ან ასეთ დაჯგუფებებს შორის;

3. მე-2 პუნქტის ც და დ ქვეპუნქტებში არაფერი ხელყოფს მთავრობის პასუხისმგებლობას დაიცვას ან აღადგინოს სამართალი და წესრიგი სახელმწიფოში ან ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას სახელმწიფოს ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა.

მუხლი 9. დანაშაულის შემადგენლობა

1. დანაშაულის შემადგენლობა ხელს უწყობს სასამართლოს მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების განმარტებასა და გამოყენებაში. ისინი მიიღება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.

2. შესწორების შესახებ წინადადების წარდგენის უფლება აქვს:

(a) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს;

(b) მოსამართლეებს, რომელთაც გადაწყვეტილება მიიღეს აბსოლუტური უმრავლესობით;

(c) პროკურორს.

შესწორებები მიიღება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.

3. დანაშაულთა ელემენტები და მათი შესწორებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ამ წესდებას.

მუხლი 10.

ამ ნაწილში არაფერი შეიძლება განიმარტოს, როგორც არსებული ან ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთაშორისო სამართლის იმ ნორმების შეზღუდვა ან მათთვის ზიანის მიყენება იმ მიზნებისთვის, რომლებიც განსხვავდება ამ წესდების მიზნებისაგან.

მუხლი 11. იურისდიქცია *ratione temporis*

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ამ წესდების ძალაში შესვლის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებზე.

2. თუ ამ წესდების ძალაში შესვლის შემდეგ სახელმწიფო გახდება მისი მონაწილე, სასამართლოა შეუძლია ამ სახელმწიფოსთან მიმართებაში განახორციელოს იურისდიქცია ამ წესდების ძალაში შესვლის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახელმწიფომ გააკეთა განცხადება მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 12. იურისდიქციის განხორციელების პირობები

1. სახელმწიფო, რომელიც ხდება ამ წესდების მონაწილე, შესაბამისად აღიარებს სასამართლოს იურისდიქციას მე-5 მუხლში აღნიშნულ დანაშაულებზე.

2. მე-13 მუხლის a ან c პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო ახორციელებს თავის იურისდიქციას, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე სახელმწიფო ამ წესდების მონაწილეა ან აღიარა სასამართლოს იურისდიქცია მე-3 პუნქტის შესაბამისად:

ა) სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც აღნიშნულ ქმედებას ჰქონდა ადგილი ან, თუ გეგზე ან თვითმფრინავში იქნა დანაშაული ჩადენილი - ამ გემის ან თვითმფრინავის რეგისტრაციის სახელმწიფო;

ბ) სახელმწიფო, რომლის მოქალაქეცაა დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირი.

3. თუ მე-2 პუნქტის თანახმად ამ წესდების მონაწილე სახელმწიფოსგან საჭიროა იურისდიქციის აღიარება, ამ სახელმწიფოს შეუძლია განცხადებით, რომელიც რეგისტრატორთან ინახება, აღიაროს სასამართლოს იურისდიქცია მოცემულ დანაშაულთან მიმართებაში. აღიარების შესახებ განცხადების წარმდგენი სახელმწიფო სასამართლოსთან თანამშრომლობს ყოველგვარი დაყოვნების ან გამონაკლისების გარეშე მე-9 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 13. იურისდიქციის განხორციელება

სასამართლოს შეუძლია განახორციელოს იურისდიქცია მე-5 მუხლში აღნიშნულ დანაშაულებზე ამ წესდების დებულებათა შესაბამისად, თუ:

ა) მონაწილე სახელმწიფო, მე-14 მუხლის თანახმად, პროკურორს მოახსენებს იმ ვითარების შესახებ, რომელშიც არსებობს ეჭვი, რომ ჩადენილია ერთი ან მეტი ამგვარი დანაშაული; ან

ბ) გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად მოქმედი უშიშროების საბჭო

პროკურორს მოახსენებს იმ ვითარების შესახებ, რომელშიც არსებობს ეჭვი, რომ ჩადენილია ერთი ან მეტი ამგვარი დანაშაული; ან

ც) პროკურორი დაიწყებს აღნიშნული დანაშაულის გამოძიებას მე-15 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 14. მონაწილე სახელმწიფოს მოხსენება ვითარების შესახებ

1. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახსენოს პროკურორს ვითარება, რომელშიც არსებობს ეჭვი, რომ ჩადენილია სასამართლოს იურისდიქციაში შემაჯავლი ერთი ან მეტი დანაშაული და სთხოვოს მას ვითარების გამოძიება იმ მიზნით, რომ დადგინდეს, ამ დანაშაულის ჩადენისთვის ერთმა პირმა უნდა აგოს პასუხი თუ რამდენიმე.

2. მოხსენება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს საქმესთან დაკავშირებით კონკრეტული გარემოებების ასახვას მომხსენებელი სახელმწიფოს ხელთ არსებული დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანდართვით.

მუხლი 15. პროკურორი

1. პროკურორს შეუძლია თავისი ინიციატივით *proprio motu* დაიწყოს გამოძიება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც არსებობს სასამართლოს იურისდიქციაში შემაჯავლი სავარაუდო დანაშაულების შესახებ.

2. პროკურორი აფასებს მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობას. ამ მიზნით, მას შეუძლია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფოების, გაეროს ორგანოების, მთავრობათაშორისი ან არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ან სხვა წყაროებიდან, რასაც საჭიროდ ჩათვლის. ასევე ადგილას შეუძლია მიიღოს წერილობითი ან ზეპირი ჩვენება სასამართლოს ადგილსამყოფელის ადგილზე.

3. თუ პროკურორი დაასკვნის, რომ არსებობს გამოძიების გაგრძელების საკმარისი საფუძველი, ის მიმართავს წინასწარი წარმოების პალატას თხოვნით, რომელსაც თან ერთვის ყველა დამადასტურებელი მასალა, გაცეცხვად გამოძიების წარმოების სანქცია. დაზარალებულებს შეუძლიათ გააკეთონ წარდგინებები წინასწარი წარმოების პალატაში პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

4. თუ წინასწარი წარმოების პალატა თხოვნისა და დამადასტურებელი მასალის განხილვის შედეგად ჩათვლის, რომ არსებობს გამოძიების გაგრძელების საკმარისი საფუძველი და ეს საქმე შედის სასამართლოს იურისდიქციის სფეროში, ის გაცემს გამოძიების დაწყების სანქციას, რაც ზიანს არ აყენებს სასამართლოს შემდგომ დადგენილებებს იურისდიქციისა და საქმის წარმოებაში მისაღებობის შესახებ.

5. წინასწარი წარმოების პალატის უარი გამოძიების დაწყებაზე სანქციის გაცემის თაობაზე არ წარმოადგენს დაბრკოლებას პროკურორის მიერ შემდგომში თხოვნის წარდგენისათვის იგივე ვითარებასთან დაკავშირებული ახალი ფაქტების ან

მტკიცებულებების საფუძველზე.

6. თუ პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული წინასწარი განხილვის შემდეგ პროკურორი დაასკვნის, რომ მიწოდებული ინფორმაცია არ წარმოადგენს გამოძიების გაგრძელების საკმარის საფუძველს, მან უნდა აცნობოს ამის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელს. ამით პროკურორს არ ექმნება დაბრკოლება, განიხილოს მისთვის გადაცემული შემდგომი ინფორმაცია ახალი ფაქტების და მტკიცებულებების საფუძველზე.

მუხლი 16. გამოძიების ან სისხლის სამართლებრივი დევნის გადადება

გამოძიება ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ შეიძლება ამ წესდების შესაბამისად დაიწყოს ან გაგრძელდეს თორმეტი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭო გაეროს წესდების მე-7 თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციით სასამართლოს წარუდგენს თხოვნას ამის შესახებ. საბჭოს მიერ თხოვნა შეიძლება განმეორებით წარედგინოს იგივე წესით.

მუხლი 17. მისაღებობასთან დაკავშირებული საკითხები

1. პრეამბულის მე-10 პუნქტისა და პირველი მუხლის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ საქმე მიუღებელია, როდესაც:

(a) საქმეს იძიებს ან სისხლის სამართლებრივი დევნას აღძრავს მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სახელმწიფოს არ სურს ან უუნაროა სათანადოდ ჩაატაროს გამოძიება ან განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა;

(b) საქმე გამოიძია მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფომ და გადაწყვიტა, არ აღძრას სისხლის სამართლებრივი დევნა შესაბამისი პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმის გამო, რომ სახელმწიფოს არ სურს ან უუნაროა სათანადოდ ჩაატაროს გამოძიება ან განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა;

(c) შესაბამისი პირი უკვე გასამართლებული იქნა იმ ქმედებისთვის, რომელიც განცხადების საგანს წარმოადგენს და რომლის განხილვა სასამართლოს მიერ, თანახმად მე-20 მუხლის მე-3 პუნქტისა, დაუშვებელია;

(d) საქმე არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სასამართლოს შემდგომი მოქმედება მიზანშეწონილად ჩაითვალოს.

2. იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს სურვილის არარსებობა, სასამართლო, იღებს რა მხედველობაში საერთაშორისო სამართლით აღიარებულ საპროცესო ნორმებს, გაითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ ან მეტ ფაქტორს, თუ იგი არსებობს:

(a) სამართალწარმოება განხორციელდა ან ხორციელდება ანდა ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება გამოტანილი იყო იმ მიზნით, რომ დაეცვა შესაბამისი პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რომელიც დადგა მე-5 მუხლში მითითებული სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულთა ჩადენის გამო;

(b) სამართალწარმოების განხორციელების პროცესში ადგილი ჰქონდა დაუსაბუთებელ დაყოვნებას, რომელიც, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეესაბამება შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისთვის გადაცემის მიზანს;

(c) სამართალწარმოება არ განხორციელდა ან არ ხორციელდება დამოუკიდებლად ან მიუკერძოებლად ან ხორციელდება ისეთი სახით, რომელიც, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეესაბამება შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისთვის გადაცემის მიზანს.

3. იმისათვის, რომ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდეს უუნარობა, სასამართლო ითვალისწინებს, შესწევს თუ არა სახელმწიფოს უნარი, ეროვნული სასამართლო სისტემის მთლიანი ან არსებითი მარცხის ან მისი არარსებობის გამო, მიიღოს თავის განკარგულებაში ბრალდებული ან საჭირო მტკიცებულება ან ჩვენება, ან თუ სხვა მიზეზის გამო არ ძალუძს სამართალწარმოების განხორციელება.

მუხლი 18. წინასწარი დებულებები მისაღებობის შესახებ

1. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს ვითარება მოეხსენება მე-13(a) მუხლის შესაბამისად და პროკურორი დაადგენს, რომ არსებობს გამოძიების დაწყების გონივრული საფუძველი, ან პროკურორი დაიწყებს გამოძიებას მე-13(c) და მე-15 მუხლების შესაბამისად, პროკურორი შეტყობინებას უგზავნის ყველა მონაწილე სახელმწიფოს და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც, არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, რომლებიც ჩვეულებრივ განხორციელებდნენ იურისდიქციას ასეთ დანაშაულებზე. პროკურორს შეუძლია აღნიშნულ სახელმწიფოებს შეტყობინება გადასცეს კონფიდენციალურად. პროკურორს შეუძლია, თუ თვლის, რომ ეს საჭიროა პირთა დაცვისთვის, მტკიცებულების განადგურების ან პირთა მიმალვის თავიდან აცილებისთვის, შეზღუდოს სახელმწიფოებისთვის გადასაცემი ინფორმაციის მოცულობა.

2. ამ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში სახელმწიფოს შეუძლია აცნობოს სასამართლოს, რომ იძიებს ან გამოიძია მისი მოქალაქეების ან მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ სხვა პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებანი, რომლებიც შეიძლება შეადგენდნენ მე-5 მუხლში მითითებულ დანაშაულებს და რომლებიც უკავშირდება შეტყობინებით სახელმწიფოთათვის გადაცემულ ინფორმაციას. ამ სახელმწიფოს თხოვნით, პროკურორი გადასცემს მას ძიებას აღნიშნულ პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინასწარი წარმოების პალატას მიმართვის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება გამოძიების ჩატარებაზე ნების დართვის შესახებ.

3. პროკურორის თანხმობა სახელმწიფოს მიერ გამოძიების ჩატარების შესახებ შეიძლება გადაისინჯოს პროკურორის მიერ ძიების გადაცემის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში ან ნებისმიერ დროს გარემოებათა არსებითი ცვლილების შემთხვევაში, რაც

გამოიხატა სახელმწიფოს სურვილის არარსებობით ან მისი უუნარობით სათანადოდ ჩაატაროს გამოძიება.

4. შესაბამის სახელმწიფოს ან პროკურორს, 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია წინასწარი წარმოების პალატის გადაწყვეტილება აპელაციის წესით გაასაჩივროს სააპელაციო პალატაში. საჩივარი შეიძლება განხილულ იქნეს გამარტივებული წესით.

5. მე-2 პუნქტის თანახმად ძიების გადაცემის შემთხვევაში პროკურორს შეუძლია შესაბამის სახელმწიფოს მოთხოვოს მისთვის პერიოდულად ინფორმაციის მიწოდება გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შემდგომი ზომების შესახებ. მონაწილე სახელმწიფოებმა ასეთ მოთხოვნაზე უნდა მოახდინონ სათანადო რეაგირება დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე.

6. წინასწარი წარმოების პალატის მიერ დადგენილების მიღებამდე ან ნებისმიერ დროს პროკურორის მიერ ამ მუხლის შესაბამისად გამოძიების ჩატარების შემდეგ პროკურორს, გამონაკლისის სახით, შეუძლია გამოითხოვოს წინასწარი წარმოების პალატისაგან აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების შესრულების ნებართვა მტკიცებულების შენარჩუნების მიზნით, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვების უნიკალური შესაძლებლობა ან არსებობს საშიშროება, რომ შემდგომში ასეთი მტკიცებულების მოპოვება შეუძლებელი იქნება.

7. სახელმწიფო, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად ასაჩივრებს წინასწარი წარმოების პალატის დადგენილებას, შეუძლია მე-19 მუხლის თანახმად გააპროტესტოს საქმის მისაღებად დამატებითი მნიშვნელოვანი ფაქტების ან გარემოებათა არსებითი ცვლილების საფუძველზე.

მუხლი 19. პროტესტი სასამართლოს იურისდიქციის ან საქმის წარმოებაში მისაღებობის თაობაზე

1. სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ მისი იურისდიქცია ვრცელდება მის მიერ წარმოებაში მიღებულ საქმეზე. სასამართლოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით დაადგინოს საქმის მისაღებად მე-17 მუხლის საფუძველზე.

2. მე-17 მუხლში მითითებულ საფუძველებზე საქმის მისაღებობის ან სასამართლოს იურისდიქციის თაობაზე პროტესტის წარდგენის უფლება აქვს:

(a) ბრალდებულს ან პირს, რომელზეც გაიცა დაპატიმრების ორდერი ან სასამართლოს უწყება 58-ე მუხლის შესაბამისად;

(b) მოცემულ საქმეზე იურისდიქციის მქონე სახელმწიფოს იმ საფუძველზე, რომ ის იძიებს საქმეს ან აღძრავს სისხლის სამართლებრივ დევნას ან გამოიძია და აღძრა სისხლის სამართლებრივი დევნა;

(c) სახელმწიფოს, რომლისაგანაც მე-12 მუხლის თანახმად საჭიროა იურისდიქციის აღიარება.

3. პროკურორს შეუძლია ითხოვოს სასამართლოს მიერ დადგენილების მიღება იურისდიქციის ან მისაღებობის საკითხის შესახებ. იურისდიქციის ან მისაღებობის საკითხის განხილვისას მათ, ვინც მე-13 მუხლის შესაბამისად მოახსენეს ვითარება და, აგრეთვე დაზარალებულებს შეუძლიათ სასამართლოში შენიშვნების წარდგენა.

4. საქმის მისაღებობა ან სასამართლოს იურისდიქცია შეიძლება გააპროტესტოს მე-2 მუხლში მითითებულმა პირმა ან სახელმწიფომ მხოლოდ ერთხელ. პროტესტი დაიშვება სასამართლო განხილვამდე ან განხილვის დასაწყისისთვის. გამონაკლის შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია გასცეს ნებართვა, რომ პროტესტი წარდგენილ იქნას ერთზე მეტჯერ ან სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ. სასამართლო განხილვის დასაწყისში ან მის შემდგომ სასამართლოს ნებართვით წარდგენილი პროტესტი საქმის მისაღებობის თაობაზე შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ მე-17 მუხლის 1(c) პუნქტს.

5. მე-2 პუნქტის (b) და (c) ქვეპუნქტებში მითითებულმა სახელმწიფო პროტესტს წარადგენს უადრესი შესაძლებლობისთანავე.

6. ბრალდების დადასტურებამდე პროტესტი საქმის მისაღებობის ან სასამართლოს იურისდიქციის თაობაზე გადაეცემა წინასწარი წარმოების პალატას. ბრალდების დადასტურების შემდეგ პროტესტი ეგზავნება წინასწარი წარმოების პალატას. გადაწყვეტილებები იურისდიქციასა და მისაღებობასთან დაკავშირებით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში 82-ე მუხლის შესაბამისად.

7. თუ სახელმწიფომ წარადგინა პროტესტი მე-2 პუნქტის (b) და (c) ქვეპუნქტების თანახმად, პროკურორმა უნდა გადადოს გამოძიება, ვიდრე სასამართლო არ გამოიტანს დადგენილებას მე-17 მუხლის საფუძველზე.

8. სასამართლოს მიერ დადგენილების გამოტანამდე პროკურორს შეუძლია სასამართლოსგან ითხოვოს იმის ნებართვა, რომ მან:

(a) შეასრულოს ისეთი ხასიათის საგამოძიებო მოქმედებები, როგორც მითითებულია მე-18 მუხლის მე-6 პუნქტში;

(b) მიიღოს მოწმისგან განცხადება ან ჩვენება ან დაასრულოს პროტესტის წარდგენამდე მის მიერ დაწყებული მტკიცებულებათა შეგროვება და განხილვა;

(c) შესაბამის სახელმწიფოსთან თანამშრომლობით თავიდან აიცილოს იმ პირთა მიმალვა, რომელთა მიმართ პროკურორმა 58-ე მუხლის შესაბამისად უკვე მოითხოვა დაპატიმრების ორდერი.

9. პროტესტის წარდგენა ზიანს არ აყენებს პროკურორის ქმედებათა ნამდვილობას ან სასამართლოს მიერ პროტესტის წარდგენამდე გაცემული განკარგულების ან ორდერის ნამდვილობას.

10. თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ საქმე მე-17 მუხლის თანახმად მიუღებელია, პროკურორს შეუძლია წარადგინოს თხოვნა გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე თუ ის დარწმუნდება, რომ აღმოჩნდა ახალი გარემოებები, რომლებიც აბათილებენ მე-17 მუხლის შესაბამისად საქმის მიუღებლად ცნობის საფუძველს.

11. თუ პროკურორი, მე-17 მუხლში აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, გადასცემს ძიებას, მას შეუძლია სთხოვოს შესაბამის სახელმწიფოს, მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლო წარმოების შესახებ მოცემულ საქმეზე. შესაბამისი სახელმწიფოს თხოვნით, ეს ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური. თუ პროკურორი, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტს, გააგრძელოს გამოძიება, ის ატყობინებს ამის შესახებ სახელმწიფოს, რომელსაც გადაეცა ძიება.

მუხლი 20. *Ne bis in idem*

1. გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაუშვებელია სასამართლომ პირი გაასამართლოს ქმედებისთვის, რომელიც ქმნიდა იმ დანაშაულის შემადგენლობის საფუძველს, რომლისთვისაც სასამართლომ დამნაშავედ ცნო ეს პირი ან გაამართლა.

2. დაუშვებელია პირი გაასამართლოს სხვა სასამართლომ მე-5 პუნქტში მითითებული იმ დანაშაულის გამო, რომლისთვისაც სასამართლომ ეს პირი დამნაშავედ ცნო ან გაამართლა.

3. დაუშვებელია მე-6, მე-7 ან მე-8 მუხლებით აკრძალული ქმედებისთვის სხვა სასამართლოს მიერ გასამართლებული პირი სასამართლომ გაასამართლოს იგივე ქმედებისთვის, თუ წარმოება სხვა სასამართლოში:

(a) ემსახურებოდა სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან აღნიშნული პირის დაცვის მიზნებს;

(b) სხვაგვარად არ წარიმართა დამოუკიდებლად ან მიუკერძოებლად საერთაშორისო სამართლით აღიარებული საპროცესო ნორმების შესაბამისად და განხორციელდა ისეთი სახით, რომელიც, მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, შეუთავსებელი იყო შესაბამისი პირის მართლმსაჯულებისთვის გადაცემის მიზანთან.

მუხლი 21. სამართლის წყაროები

1. სასამართლო ხელმძღვანელობს სამართლის შემდეგი წყაროებით:

(a) პირველ რიგში, ეს წესდება, დანაშაულთა ელემენტები და პროცედურისა და მტკიცების წესები;

(b) მეორე რიგში, შესაბამის შემთხვევაში, ძალაში მყოფი ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები, მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები;

(c) ზემოხსენებული წყაროების უკმარისობის შემთხვევაში, სამართლის ზოგადი პრინციპები, ამოკრეფილი სასამართლოს მიერ ეროვნული კანონებიდან საჭიროების მიხედვით, მსოფლიოს სამართლებრივი სისტემების გათვალისწინებით, მათ შორის იმ სახელმწიფოთა ეროვნული კანონებიდან, რომლებიც ჩვეულებრივ გარემოებებში განახორციელებდნენ იურისდიქციას მოცემულ დანაშაულზე, იმ პირობით, რომ ეს პრინციპები არ ეწინააღმდეგება ამ წესდებას, საერთაშორისო სამართალსა და საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და სტანდარტებს.

2. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სამართლის პრინციპებისა და ნორმების იმგვარი ინტერპრეტაცია, როგორც გააკეთა თავის წინა გადაწყვეტილებებში.

3. სამართლის გამოყენება და განმარტება ამ მუხლის შესაბამისად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს და არ უნდა ეფუძნებოდეს რაიმე არაკეთილგონივრულ გარჩევას ისეთი მოტივებით, როგორცაა სქესი (როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით), ასაკი, რასა, ფერი, ენა, რელიგია ან მრწამსი, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური წარმოშობა, მატერიალური მდგომარეობა, დაბადების ან სხვა სტატუსი.

ნაწილი 3. სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები

მუხლი 22. *Nullum crimen sine lege*

1. დაუშვებელია ამ წესდებით პირმა პასუხი აგოს სისხლის სამართლის წესით, თუ მისი ქმედება ჩადენის დროისთვის არ შეადგენს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულს.

2. დანაშაულის განსაზღვრება ექვემდებარება ზუსტ განმარტებას არ არ შეიძლება გავრცობილი იქნას ანალოგიით. ორაზროვნების შემთხვევაში დანაშაულის განსაზღვრების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ძიებაში მყოფის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

3. მუხლი ზიანს არ აყენებს ამ წესდებისგან დამოუკიდებლად საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ქმედების დაკვალიფიცირებას სისხლის სამართლის დანაშაულად.

მუხლი 23. *Nulla poena sine lege*

სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი პირი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ამ წესდების შესაბამისად.

მუხლი 24. უკუძალის დაუშვებლობა *ratione personae*

1. დაუშვებელია ამ წესდებით პირმა პასუხი აგოს სისხლის სამართლის წესით იმ ქმედებისთვის, რომელიც ჩადენილი იქნა ამ წესდების ძალაში შესვლამდე.

2. მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების ან დადგენილების გამოტანამდე სამართლის წყაროში ცვლილების შემთხვევაში გამოიყენება სამართლის ის წყარო, რომელიც ძიებაში მყოფს, განსასჯელს ან მსჯავრდებულს მისთვის ყველაზე სასურველ მდგომარეობაში აყენებს.

მუხლი 25. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ინდივიდუალობა

1. სასამართლო, ამ წესდების შესაბამისად, იურისდიქციას ახორციელებს ფიზიკურ პირებზე.

2. სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენი პირი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს და დაისჯება ინდივიდუალურად, ამ წესდების შესაბამისად.

3. სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენი პირი, ამ წესდების შესაბამისად, სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს და დაისჯება, თუ ეს პირი:

(a) ჩაიდენს აღნიშნულ დანაშაულს პირადად, სხვა პირთან ერთად ან სხვა პირის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ეკისრება თუ არა ამ სხვა პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;

(b) უხელმძღვანელებს, წააქეზებს ან ხელს შეუწყობს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას, რომელიც ფაქტიურად დამთავრდა ან რომლის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი;

(c) აღნიშნული დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით დახმარებას უწევს, აქეზებს ან სხვაგვარად ხელს უწყობს მის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას, მათ შორის მისი ჩადენისთვის საშუალებათა მიწოდებით;

(d) სხვაგვარად ხელს უწყობს საერთო მიზნით მოქმედი პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ჩადენის მცდელობას. ასეთი ხელის შეწყობა უნდა იყოს განზრახვი და:

(i) მიზნად ისახავდეს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას ან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებას, თუ ასეთი მიზანი ან საქმიანობა მოიცავს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენას; ან

(ii) ხორციელდებოდა იმის წინასწარი შეცნობით, რომ ჯგუფი მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენას.

(e) გენოციდის დანაშაულის შემთხვევაში, პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს სხვებს გენოციდის დანაშაულის ჩასადენად;

(f) ეცდება აღნიშნული დანაშაულის ჩადენას ისეთი მოქმედებით, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართულ მნიშვნელოვან ღონისძიებას, თუ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი პირის მიზნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამასთან, პირი, რომელიც უარს იტყვის დანაშაულის ჩადენის მცდელობაზე ან სხვაგვარად ხელს შეუშლის დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, არ დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის ამ წესდებით, თუ იგი სრულად და ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულებრივ განზრახვაზე.

4. ამ წესდების არც ერთი დებულება, დაკავშირებული ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან, ზიანს არ აყენებს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას.

მუხლი 26. თვრამეტ წლამდე ასაკის პირებზე იურისდიქციის განხორციელების დაუშვებლობა

სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც არ იყვნენ თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის მომენტისთვის.

მუხლი 27. პასუხისმგებლობის გარდუვალობა სამსახურებრივი მდგომარეობის მიუხედავად

1. ეს წესდება ყველაზე ვრცელდება თანაბრად, სამსახურებრივი მდგომარეობისა, კერძოდ, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, მთავრობის ან პარლამენტის წევრის, არჩეული წარმომადგენლის ან მთავრობის თანამდებობის პირის სამსახურებრივი მდგომარეობა არ წარმოადგენს საფუძველს იმისა, რომ პირი გათავისუფლდეს ამ წესდებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ან შეუმსუბუქდეს განაჩენი.

2. პირის სამსახურებრივი მდგომარეობასთან დაკავშირებული იმუნიტეტები ან სპეციალური საპროცესო წესები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით, არ წარმოადგენს დაბრკოლებას სასამართლოსთვის, განხორციელოს იურისდიქცია ამ პირებზე.

მუხლი 28. მეთაურების და სხვა უფროსების პასუხისმგებლობა

სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების ჩადენისთვის ამ წესდებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველების გარდა:

1. სამხედრო მეთაური ან სამხედრო მეთაურის სახით ეფექტურად მოქმედი პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებისთვის, რომლებიც ჩაიდინეს მის ეფექტურ ხელმძღვანელობას ან კონტროლს დაქვემდებარებულმა ძალებმა ანდა ცალკეულ შემთხვევაში ჩაიდინეს მის ეფექტურ ხელმძღვანელობას ან კონტროლს დაქვემდებარებულმა ძალებმა, რაც გამოწვეული იყო ამ პირის მიერ აღნიშნულ ძალთა არასათანადო ხელმძღვანელობით, თუ:

(a) სამხედრო მეთაურის ან პირისთვის, იმ დროისათვის არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, ცნობილი იყო ან ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ეს ძალები სჩადიოდნენ ან განზრახული ჰქონდათ ამ დანაშაულთა ჩადენა;

(b) სამხედრო მეთაურმა ან პირმა არ მიიღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომ თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა დანაშაულთა ჩადენა ან გადაეცა აღნიშნული საკითხი კომპეტენტური ორგანოებისთვის გამოძიების ჩატარებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის.

2. უფროსსა და ხელქვეითს შორის ისეთი დაქვემდებარების არარსებობის შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებულია პირველი პუნქტით, უფროსი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებისთვის, რომლებიც ჩაიდინეს მის ეფექტურ ხელმძღვანელობას ან კონტროლს დაქვემდებარებულმა ხელქვეითებმა ანდა ცალკეულ შემთხვევაში ჩაიდინეს მის ეფექტურ ხელმძღვანელობას ან კონტროლს დაქვემდებარებულმა ძალებმა, რაც გამოწვეული იყო ამ პირის მიერ აღნიშნულ ხელქვეითთა არასათანადო ხელმძღვანელობით, თუ:

(a) უფროსმა იცოდა ან შეგნებულად უგულებელყოფდა ინფორმაციას, რომელიც აშკარად მიუთითებდა, რომ ხელქვეითნი სჩადიოდნენ ან განზრახული ჰქონდათ ამ დანაშაულთა ჩადენა;

(b) დანაშაული მოიცავდა ქმედებებს, რომლებიც ექვემდებარება უფროსის ეფექტურ ხელმძღვანელობას ან კონტროლს; და

(c) უფროსმა არ მიიღო ყველა საჭირო და გონივრული ზომა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომ თავიდან აეცილებინა ან აღეკვეთა დანაშაულთა ჩადენა ან გადაეცა აღნიშნული საკითხი კომპეტენტური ორგანოებისთვის გამოძიების ჩატარებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის.

მუხლი 29. ხანდაზმულობის პრინციპის გამოუყენებლობა

სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის პრინციპი.

მუხლი 30. სუბიექტური მონაწილე

1. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, პირი პასუხს აგებს და დაისჯება სისხლის სამართლის წესით სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულისთვის, მხოლოდ მაშინ, თუ ობიექტური მონაწილე ჩადენილი იყო განზრახ და შეგნებულად.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის, პირს აქვს განზრახვა:

(a) ქმედების მიმართ, თუ ის აპირებს ამ ქმედების ჩადენას;

(b) შედეგის მიმართ, თუ ის აპირებს გამოიწვიოს ეს შედეგი ან მისთვის ცნობილია, რომ იგი დადგება მოვლენების ჩვეული განვითარების შემთხვევაში.

3. „შეგნებულად“ ნიშნავს იმის გაცნობიერებას, რომ გარემოება არსებობს ან შედეგი დადგება მოვლენების ჩვეული განვითარების შემთხვევაში. ამ მუხლის მიზნებისთვის, "ცოდნა" და "შეგნება" უნდა განიმარტოს შესაბამისად.

მუხლი 31. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები

1. ამ წესდებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სხვა გარემოებების გარდა, პირი პასუხს არ აგებს სისხლის სამართლის წესით, თუ ქმედების ჩადენის მომენტისთვის:

(a) სულიერი ავადმყოფობის ან ფსიქიკური მოშლილობის გამო პირს არ შეეძლო გაეცნობიერებინა საკუთარი ქცევის მართლწინააღმდეგობა ან მისი ხასიათი ანდა შეეთანხმებინა იგი კანონის მოთხოვნებთან;

(b) პირი იმყოფებოდა ინტოქსიკაციის მდგომარეობაში, რის გამოც მას არ შეეძლო გაეცნობიერებინა საკუთარი ქცევის მართლწინააღმდეგობა ან მისი ხასიათი ანდა არ შეეძლო შეეთანხმებინა იგი კანონის მოთხოვნებთან, თუ ამ პირმა ნებაყოფლობით არ გამოიწვია ინტოქსიკაციის მდგომარეობა ისეთ გარემოებებში, როდესაც მან იცოდა, რომ ინტოქსიკაციის შედეგად შეეძლო ჩაედინა ქმედება, რომელიც შეადგენს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულს, ან უგულებელყოფდა მის მიერ ასეთი ქმედების ჩადენის საშიშროებას;

(c) პირის შეგნებული მოქმედება მიმართულია საკუთარი თავის ან სხვა პირის ან, ომის დანაშაულთა შემთხვევაში, ამ პირის ან სხვა პირებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ქონების ან სამხედრო ამოცანის შესასრულებლად საჭირო ქონების დასაცავად, ძალის გარდაუვალი და მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისგან, თუ დაცვის საშუალება შეესაბამება იმ საშიშროების ხარისხს, რომელიც ემუქრება ამ პირს ან სხვა დაცულ პირს ან საკუთრებას. ის გარემოება, რომ პირი მონაწილეობდა შეიარაღებული ძალების დაცვით ოპერაციებში, თავისთავად არ წარმოადგენს ამ ქვეპუნქტის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

(d) ქმედება, რომელზედაც არსებობს ეჭვი, რომ იგი შეადგენს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულს, გამოწვეული იყო იმ იძულებითი ვითარებით, რაც წარმოიშვა ამ პირის ან სხვა პირის წინააღმდეგ გარდაუვალი სხეულის მძიმე დაზიანების ან მკვლელობის მუქარით ან ასეთ დაზიანებათა მიყენების გაგრძელების მუქარით და ამ პირის აუცილებელი და გონივრული მოქმედება მიმართულია ამ მუქარის თავიდან აცილებისკენ, თუ ეს პირი მიზნად არ ისახავს იმაზე მეტი ზიანის მიყენებას, რაც აუცილებელია მუქარის თავიდან ასაცილებლად. ასეთი მუქარა შეიძლება:

(i) მომდინარეობდეს სხვა პირისაგან; ან

(ii) გამოწვეული იყოს ამ პირისაგან დამოუკიდებელი გარემოებით.

2. სასამართლომ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით უნდა დაადგინოს ამ წესდებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების გამოყენების მიზანშეწონილობა.

3. სამართალწარმოების პროცესში სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სხვა გარემოებები, რომლებიც არ არის აღნიშნული პირველ პუნქტში, თუ ასეთი გარემოება გათვალისწინებულია 21-ე მუხლით განსაზღვრული სამართლის წყაროთი. აღნიშნული გარემოების განხილვასთან დაკავშირებული პროცედურა უნდა დადგინდეს პროცედურისა და მტკიცების წესებით.

მუხლი 32. შეცდომა ფაქტში ან შეცდომა კანონში

1. შეცდომა ფაქტში შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამორიცხავს მოცემული დანაშაულის სუბიექტურ მონაწილეს.

2. შეცდომა კანონში, ე.ი. შეადგენს თუ არა ქმედების ესა თუ ის სახე სასამართლოს იურისდიქციაში შემაგალ დანაშაულს, არ შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას. ამასთან, შეცდომა კანონში შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, თუ ის გამორიცხავს მოცემული დანაშაულის სუბიექტურ მონაწილეს ან 33-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 33. უფროსის ბრძანება და კანონის დანაწესი

1. ის ფაქტი, რომ პირმა სასამართლოს იურისდიქციაში შემაგალი დანაშაული ჩაიდინა მთავრობის ან ზემდგომი სამხედრო თუ სამოქალაქო უფროსის ბრძანების შესრულებისას, არ ათავისუფლებს მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ:

(a) პირს ეკისრებოდა მთავრობის ან აღნიშნული უფროსის ბრძანების შესრულების იურიდიული ვალდებულება;

(b) პირმა არ იცოდა ბრძანების უკანონობის შესახებ; და

(c) ბრძანება არ იყო აშკარად უკანონო ხასიათისა.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის, ბრძანებები გენოციდის დანაშაულის ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის შესახებ ჩაითვლება აშკარად უკანონოდ.

ნაწილი 4. სასამართლოს შემადგენლობა და საქმეთა მართვა

მუხლი 34. სასამართლოს ორგანოები

სასამართლო შედგება შემდეგი ორგანოებისგან:

- (a) პრეზიდიუმი;
- (b) სააპელაციო განყოფილება, სასამართლო წარმოების განყოფილება, წინასწარი წარმოების განყოფილება;
- (c) პროკურორის კანცელარია;
- (d) სამდივნო.

მუხლი 35. მოსამართლეთა მიერ ფუნქციების შესრულება

1. სასამართლოს წევრად ირჩევა სრულ განაკვეთზე გამწესებული მოსამართლე და მასზე დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს ამ საფუძველზე უფლებამოსილების ვადის დაწყებიდან.

2. პრეზიდიუმში არჩეული მოსამართლეები მათზე დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებენ სრული განაკვეთის საფუძველზე მათი არჩევისთანავე.

3. პრეზიდიუმს შეუძლია სასამართლოს სამუშაო დატვირთვიდან გამომდინარე თავის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ დროგამოშვებით გადაწყვიტოს სრულ განაკვეთზე სხვა მოსამართლეთა მიერ ფუნქციების შესრულების ვადის საკითხი. ამგვარი შეთანხმება ზიანს არ აყენებს მე-40 მუხლით გათვალისწინებულ დებულებებს.

4. არასრულ განაკვეთზე მომუშავე მოსამართლეთა ფინანსური საკითხები გადაიჭრება 49-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 36. მოსამართლეთა კვალიფიკაცია, წარდგენა და არჩევა

1. სასამართლო შედგება 18 მოსამართლისაგან, მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით.

2. (a) პრეზიდიუმს სასამართლოს სახელით შეუძლია წარმოადგინოს წინადადება 1-ლ პუნქტში მითითებულ მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის თაობაზე და მიუთითოს მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ასეთი ღონისძიების აუცილებლობას და საჭიროებას. მდივანმა ამგვარი წინადადება დაყოვნების გარეშე უნდა გადასცეს მონაწილე სახელმწიფოებს.

(b) ნებისმიერი ამგვარი წინადადება შემდგომ უნდა განხილულ იქნას მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის შეხვედრაზე, რომელიც მოიწვევა 112-ე მუხლის შესაბამისად. წინადადება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მონაწილე

სახელმწიფოთა ასამბლეის წევრთა ორი მესამედი და ძალაში შევა მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ დადგენილ დროს.

(c)(i) (b) ქვეპუნქტის შესაბამისად მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ წინადადების მიღების შემდეგ მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მომდევნო სხდომაზე ირჩევიან დამატებითი მოსამართლეები 3-8 ქვეპუნქტებისა და 37 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად.

(c)(ii) მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ წინადადების მიღებისა და ძალაში შესვლის შემდეგ (b) და (c)(i) ქვეპუნქტების შესაბამისად, პრეზიდიუმს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, თუ ეს გამართლებულია სასამართლოს სამუშაო დატვირთვის თვალსაზრისით, წარმოადგინოს წინადადება მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების შესახებ, ამასთან მოსამართლეთა რაოდენობა არ უნდა იყოს 1-ლ პუნქტში მითითებულ რიცხვზე ნაკლები. წინადადება განიხილება (a) და (b) ქვეპუნქტებით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. წინადადების მიღების შემთხვევაში მოსამართლეთა რიცხვი, მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის გასვლის მიხედვით, შემცირდება საჭირო რაოდენობის მიღწევამდე.

3. (a) მოსამართლეების შერჩევა ხდება იმ პირთაგან, რომლებიც ხასიათებიან მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, მიუკერძოებლობითა და დამოუკიდებლობით და რომლებიც აკმაყოფილებენ თავიანთ შესაბამის სახელმწიფოებში უმაღლეს სასამართლო თანამდებობებზე დანიშნვისთვის არსებულ მოთხოვნებს.

(b) სასამართლოში არჩევის ყოველ კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

(i) აღიარებული კომპეტენტურობა სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში და სათანადო როგორიცაა სამოსამართლო, საპროკურორო, საადვოკატო ან სხვა მსგავსი ხასიათის გამოცდილება სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში;

(ii) აღიარებული კომპეტენტურობა საერთაშორისო სამართლის შესაბამის სფეროებში, როგორცაა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი, აგრეთვე ფართო გამოცდილება პროფესიული იურიდიული საქმიანობის სფეროში, რომელიც აუცილებელია სასამართლოში სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისთვის.

(c) სასამართლოში არჩევის ყოველმა კანდიდატმა სრულყოფილად უნდა იცოდეს სასამართლოს სამუშაო ენებიდან ერთ-ერთი მათგანი მაინც სრულყოფილი ცოდნა და თავისუფლად ლაპარაკობდეს ამ ენაზე.

4. (a) სასამართლოში არჩევის კანდიდატი შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა ამ წესდების მონაწილე სახელმწიფომ და ეს წარდგენა უნდა განხორციელდეს:

(i) მოცემულ სახელმწიფოში უმაღლეს სასამართლო თანამდებობაზე წარდგენისთვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად; ან

(ii) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში კანდიდატების წარდგენის პროცედურის შესაბამისად, რომელიც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სასამართლოს წესდებითაა გათვალისწინებული.

წარდგენას თან უნდა ახლდეს განაცხადი იმ აუცილებელი ზუსტი მონაცემებით, რომლებიც მიუთითებენ, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

(b) ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს ყოველ მოცემულ არჩევნებზე შეუძლია წარადგინოს ერთი კანდიდატი, რომელიც არ არის სავალდებულო, ამ მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე იყოს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეს.

(c) მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას, თუ იგი საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება კანდიდატთა წარდგენის საკონსულტაციო კომიტეტის შექმნის შესახებ. ამ შემთხვევაში კომიტეტის შემადგენლობა და მანდატი განისაზღვრება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ.

5. არჩევნების ჩატარების მიზნებისთვის, დგება კანდიდატთა ორი სია:

სია, რომელშიც შეტანილია მე-3 (b)(i) პუნქტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მქონე კანდიდატთა სახელები;

სია, რომელშიც შეტანილია მე-3 (b)(ii) პუნქტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მქონე კანდიდატთა სახელები.

კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს ორივე სიის კვალიფიკაციას, თვითონ ირჩევს, რომელ სიაში იქნას შეტანილი. სასამართლოს პირველი არჩევნებისას არანაკლებ ცხრა მოსამართლისა აირჩევა სია -დან და არანაკლებ ხუთი მოსამართლისა სია -დან. შემდგომში არჩევნები მოეწეობა იმგვარად, რომ ორი სიით წარმოდგენილი მოსამართლეები თანაბარი პროპორციით განაწილდნენ სასამართლოში.

6. (a) მოსამართლეები აირჩევიან ფარული კენჭისყრით 112-ე მუხლის თანახმად ამ მიზნით მოწვეულ მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის შეხვედრაზე. მე-7 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, სასამართლოს წევრად არჩეულად ჩაითვლება ის 18 კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს ხმათა ყველაზე მეტ რაოდენობას და რომელსაც მხარს დაუჭერს კენჭისყრაში მონაწილე დამსწრე სახელმწიფოთა ორი მესამედი.

(b) თუ არჩევნების პირველ ტურში არ მოხერხდა მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობის არჩევა, შემდეგი კენჭისყრები უნდა ჩატარდეს (a) ქვეპუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ვიდრე დარჩენილი ადგილები არ შეივსება.

7. დაუშვებელია ნებისმიერი ორი მოსამართლე იყოს ერთი და იგივე სახელმწიფოს მოქალაქე. პირი, რომელიც სასამართლოს წევრობის მიზნებისთვის შეიძლება მიჩნეულ იქნას

ერთზე მეტი სახელმწიფოს ქვეშევრდომად, ჩაითვლება იმ სახელმწიფოს მოქალაქედ, რომელშიც ეს პირი ჩვეულებრივ სარგებლობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით.

8. (a) მონაწილე სახელმწიფოები მოსამართლეთა შერჩევისას მხედველობაში იღებენ სასამართლოს წევრთა შემადგენლობაში შემდეგი ფაქტორების უზრუნველყოფის აუცილებლობას:

- (i) მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემების წარმოდგენა;
- (ii) სამართლიანი გეოგრაფიული წარმოდგენა; და
- (iii) მდებარეობით და მამრობითი სქესის მოსამართლეთა სამართლიანი წარმოდგენა.

(b) მონაწილე სახელმწიფოებმა აგრეთვე მხედველობაში უნდა მიიღონ იმის საჭიროება, რომ სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ ცალკეულ საკითხებში იურიდიული ცოდნისა და გამოცდილების მქონე მოსამართლეები, მათ შორის ქალთა და ბავშვთა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, მაგრამ არ უნდა იყვნენ შეზღუდული მხოლოდ ამ სფეროთი.

9. (a) (b) ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მოსამართლეები თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ ცხრა წლის ვადით და (c) ქვეპუნქტისა და 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული.

(b) პირველ არჩევნებზე არჩეულ მოსამართლეთა ერთი მესამედი, რომელიც შეირჩევა წილის ყრის წესით, უფლებამოსილებას ახორციელებს სამი წლის ვადით, არჩეულ მოსამართლეთა ერთი მესამედი, რომელიც შეირჩევა წილის ყრის წესით, უფლებამოსილებას ახორციელებენ ექვსი წლის ვადით. დანარჩენი მოსამართლეები უფლებამოსილებას ახორციელებენ ცხრა წლის ვადით.

(c) მოსამართლე, რომელიც შეირჩევა სამი წლის ვადით (b) ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიძლება არჩეულ იქნას ხელმეორედ სრული ვადით.

10. მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დებულებების მიუხედავად, სასამართლო წარმოების ან სააპელაციო პალატაში გამწესებულმა მოსამართლე უფლებამოსილებას ახორციელებს ნებისმიერი საქმის სასამართლო ან სააპელაციო განხილვის დასრულებამდე, რომლის განხილვაც უკვე დაწყებული იყო ამ პალატაში.

მუხლი 37. ვაკანსიები მოსამართლეთა თანამდებობაზე

1. ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში მის შესავსებად ტარდება არჩევნები 36-ე მუხლის შესაბამისად.

2. ვაკანსიის შესავსებად არჩეული მოსამართლე უფლებამოსილებას ახორციელებს წინამორბედის დარჩენილი ვადით და თუ ეს პერიოდი შეადგენს სამ წელიწადს ან ნაკლებს, მას უფლება აქვს ხელახლა იქნას არჩეული სრული ვადით 36-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 38. პრეზიდიუმი

1. თავმჯდომარე და თავმჯდომარის პირველი და მეორე მოადგილე აირჩევა მოსამართლეთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. ისინი თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ სამი წლის ვადით ან შესაბამისად მათი მოსამართლეობის უფლებამოსილების ვადის დასრულებამდე იმის მიხედვით, რომელიც ყველაზე ადრე იწურება. ისინი შეიძლება ხელახლა არჩეულ იქნან ერთხელ.

2. პირველი მოადგილე შეასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს თავმჯდომარის არყოფნის ან საქმიდან მისი ჩამოცილების შემთხვევაში. მეორე მოადგილე შეასრულებს თავმჯდომარის ფუნქციებს თავმჯდომარისა და პირველი მოადგილის არყოფნის ან საქმიდან მათი ჩამოცილების შემთხვევაში.

3. თავმჯდომარე მის პირველ და მეორე მოადგილესთან ერთად შეადგენს პრეზიდიუმს, რომლის პასუხისმგებლობას განეკუთვნება:

(a) სასამართლოს საქმეთა სათანადო მართვა, გარდა პროკურორის კანცელარიისა;

(b) ამ წესდების შესაბამისად მასზე დაკისრებული სხვა ფუნქციები.

4. მე-3 (a) პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისას პრეზიდიუმი კოორდინაციას უწევს და შეათანხმებს პროკურორთან ორმხრივი ინტერესის ყველა საკითხს.

მუხლი 39. პალატები

1. მოსამართლეთა არჩევის შემდეგ პირველივე შეძლებისთანავე სასამართლო, 34-ე (b) პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციულად მოეწყობა განყოფილებების სახით. სააპელაციო განყოფილება შედგება თავმჯდომარისა და ოთხი მოსამართლისაგან, სასამართლო წარმოების განყოფილება - არანაკლებ ექვსი მოსამართლისაგან და წინასწარი წარმოების განყოფილება - არანაკლებ ექვსი მოსამართლისაგან. მოსამართლეთა განყოფილებებში გამწესება ხდება თითოეულ განყოფილებაზე დაკისრებული ფუნქციების ხასიათისა და სასამართლოში არჩეულ მოსამართლეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების მიხედვით, ისე, რომ თითოეულ განყოფილებაში ოპტიმალურად განაწილდნენ სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესსა და საერთაშორისო სამართალში ცოდნისა და გამოცდილების მქონე მოსამართლენი. სასამართლო წარმოების და წინასწარი წარმოების განყოფილებები შედგება უპირატესად სისხლის სამართლის პროცესში გამოცდილების მქონე მოსამართლეთაგან.

2. (a) თითოეულ განყოფილებაში სამოსამართლო ფუნქციებს ახორციელებენ პალატები.

(b) (i) სააპელაციო პალატა შედგება სააპელაციო განყოფილების ყველა მოსამართლისგან;

(ii) სასამართლო წარმოების პალატის ფუნქციებს ახორციელებს სასამართლო წარმოების პალატის განყოფილების სამი მოსამართლე;

(iii) წინასწარი წარმოების პალატის ფუნქციებს ახორციელებს წინასწარი წარმოების განყოფილების სამი მოსამართლე ან ამ განყოფილების ერთი მოსამართლე ამ წესდებისა და პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

ამ პუნქტში არაფერი წარმოადგენს დაბრკოლებას ერთზე მეტი სასამართლო წარმოების პალატის ან წინასწარი წარმოების პალატის შექმნისათვის, თუ ეს საჭიროა სასამართლოს სამუშაო დატვირთვის ეფექტური გაძღოლისათვის.

3. (a) სასამართლო წარმოებისა და წინასწარ წარმოების განყოფილებებში გამწესებული მოსამართლეები ამ განყოფილებებში უფლებამოსილებას ახორციელებენ სამი წლის განმავლობაში და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ შესაბამის განყოფილებაში უკვე დაწყებული საქმის განხილვის დასრულებამდე.

(b) სააპელაციო პალატაში გამწესებული მოსამართლეები ამ განყოფილებაში განყოფილებებში უფლებამოსილებას ახორციელებენ თავიანთი უფლებამოსილების სრული ვადით.

4. სააპელაციო განყოფილებაში გამწესებული მოსამართლეები განყოფილებებში უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ ამ განყოფილებაში. ამასთან, ამ მუხლში არაფერი წარმოადგენს დაბრკოლებას იმისათვის, რომ სასამართლო წარმოების განყოფილების მოსამართლეებმა დროებით შეასრულონ თავიანთი ფუნქციები სასამართლო წარმოების წინასწარ განყოფილებაში ან პირიქით, თუ პრეზიდენტი ჩათვლის, რომ ეს საჭიროა სასამართლოს სამუშაო დატვირთვის ეფექტური გაძღოლისათვის, იმ პირობით, რომ მოსამართლემ, რომელმაც მონაწილეობდა საქმის წინასწარი წარმოების რომელიმე ეტაპში, არავითარ გარემოებაში არ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა სასამართლო წარმოების პალატის მიერ მის განხილვაში.

მუხლი 40. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა

1. მოსამართლეები თავიანთი ფუნქციების შესრულებისას არიან დამოუკიდებელი.

2. მოსამართლეები არ უნდა იყვნენ ჩაბმული ისეთ საქმიანობაში, რომელმაც შეიძლება ხელყოს მათი სამოსამართლო ფუნქციები ან ზიანი მიაყენოს მათი დამოუკიდებლობის სანდობას.

3. მოსამართლეები, რომლებიც მოვალენი არიან შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები სრულ განაკვეთზე სასამართლოს ადგილსამყოფელის ადგილას, არ უნდა იყვნენ დაკავებული სხვა პროფესიული საქმიანობით.

4. მე-2 და მე-3 პუნქტების გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაიჭრას მოსამართლეთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. თუ ეს საკითხი ეხება ინდივიდუალურად რომელიმე მოსამართლეს, ამ მოსამართლემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილების მიღებაში.

მუხლი 41. მოსამართლეთა გათავისუფლება და საქმიდან ჩამოცილება

1. პრეზიდიუმს, მოსამართლის თხოვნით, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად, შეუძლია გაათავისუფლოს მოსამართლე მასზე ამ წესდებით დაკისრებული მოვალეობის შესრულებისგან.

2. (a) მოსამართლემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ისეთი საქმის განხილვაში, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს გონივრული ეჭვი. მისი მიუკერძოებლობის თაობაზე რაიმე საფუძველით. სხვა საფუძველთა შორის, მოსამართლე შეიძლება ჩამოცილებულ იქნას საქმიდან ამ პუნქტის თანახმად, თუ წინათ რაიმე სახით იგი ჩართული იყო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეში ანდა ამ საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეში ეროვნულ დონეზე, რომელშიც მონაწილეობდა ამჟამად ძიებაში მყოფი ან განსასჯელი. მოსამართლე ასევე ჩამოცილებულ უნდა იქნას საქმიდან სხვა ისეთი საფუძველით, რომელიც გათვალისწინებულია პროცედურისა და მტკიცების წესებით.

(b) პროკურორს, ძიებაში მყოფს ან განსასჯელს შეუძლია ამ პუნქტის შესაბამისად მოითხოვოს მოსამართლის საქმიდან ჩამოცილება.

(c) მოსამართლის საქმიდან ჩამოცილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს მოსამართლეთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. მოსამართლეს, რომელსაც ეძლევა აცილება, უფლება აქვს წარმოადგინოს თავისი შენიშვნები მოცემულ საკითხზე, მაგრამ არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა.

მუხლი 42. პროკურორის კანცელარია

1. პროკურორის სამსახური მოქმედებს დამოუკიდებლად სასამართლოს ცალკე ორგანოს სახით. მისი პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების შესახებ ვითარების მოხსენებებისა და სხვა დასაბუთებული ინფორმაციის მიღება, მათი შემოწმების, გამოძიების ჩატარებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით. კანცელარიის თანამშრომელს არ შეუძლია მიიღოს ან იმოქმედოს გარე წყაროებისგან მიღებული მითითებების საფუძველზე.

2. კანცელარიას ხელმძღვანელობს პროკურორი. პროკურორს გააჩნია კანცელარიის ხელმძღვანელობისა და მართვის სრული უფლებამოსილება, პერსონალის, განთავსების ადგილის და მის განკარგულებაში არსებული სხვა რესურსების ჩათვლით. პროკურორს თანაშემწეობას უწევს ერთი ან მეტი პროკურორის მოადგილე, რომელსაც უფლება აქვს განახორციელოს ქმედებანი, რაც პროკურორს მოეთხოვება ამ წესდების თანახმად.

პროკურორი და პროკურორის მოადგილე სხვადასხვა ეროვნებისანი უნდა იყვნენ. ისინი თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ სრული განაკვეთით.

3. პროკურორი და პროკურორის მოადგილეები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, იყვნენ კომპეტენტური და გააჩნდეთ ფართო პრაქტიკული გამოცდილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების საკითხში. მათ სრულყოფილად უნდა იცოდნენ სასამართლოს სამუშაო ენებიდან ერთ-ერთი მათგანი მაინც და თავისუფლად ლაპარაკობდნენ ამ ენაზე.

4. პროკურორი აირჩევა მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის წევრთა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ფარული კენჭისყრით. პროკურორის მოადგილეები აირჩევიან იგივე წესით პროკურორის მიერ წარდგენილი კანდიდატების სიიდან. პროკურორი მოადგილის ყოველ თანამდებობაზე ასახელებს სამ კანდიდატს. პროკურორი და პროკურორის მოადგილეები, თუ მათი არჩევნების დროისთვის შემცირებული ვადა არ დაწესდა, დაიკავებენ თანამდებობას ცხრა წლის ვადით და ხელშეორედ არ აირჩევიან.

5. პროკურორი ან პროკურორის მოადგილე არ უნდა იყვნენ ჩაბმული ისეთ საქმიანობაში, რომელმაც შეიძლება ხელყოს მის მიერ საპროკურორო ფუნქციების განხორციელება ან ზიანი მიაყენოს მისი დამოუკიდებლობის სანდობას. ისინი არ უნდა იყვნენ დაკავებული პროფესიული ხასიათის სხვა საქმიანობით.

6. პრეზიდიუმს შეუძლია პროკურორი ან პროკურორის მოადგილე მისივე თხოვნით გაათავისუფლოს ცალკეულ საქმეში მონაწილეობისგან.

7. პროკურორმა ან პროკურორის მოადგილემ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ისეთ საქმეში, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს გონივრული ეჭვი რაიმე საფუძველზე. სხვა საფუძველთა შორის, იგი ჩამოცილებულ უნდა იქნას საქმიდან ამ პუნქტის თანახმად, თუ წინათ ის რაიმე სახით ჩართული იყო სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში ან ამ საქმესთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის ეროვნულ დონეზე განხილვაში, რომელშიც მონაწილეობდა ამჟამად ძიებაში მყოფი ან განსასჯელი.

8. პროკურორის ან პროკურორის მოადგილის საქმიდან ჩამოცილებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს წყვეტს სააპელაციო პალატა.

(a) ძიებაში მყოფ ან განსასჯელს ამ მუხლში მითითებულ საფუძველებზე შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს პროკურორის ან პროკურორის მოადგილეთა საქმიდან ჩამოცილება.

(b) შესაბამისად პროკურორს ან პროკურორის მოადგილეს უფლება აქვს აღნიშნული საკითხის შესახებ წარმოადგინოს შენიშვნები.

9. პროკურორი ნიშნავს მრჩეველებს, რომელთაც გააჩნიათ იურიდიული გამოცდილება ცალკეულ საკითხებზე, მათ შორის სქესობრივი ძალადობის, გენდერული ძალადობის და

ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობის სფეროში, მაგრამ მხოლოდ ამ სფეროთი არ უნდა იყვნენ შეზღუდული.

მუხლი 43. სამდივნო

1. სამდივნოს პასუხისმგებლობას განეკუთვნება სასამართლოს საქმეთა მართვისა და მომსახურების არაიურიდიული საკითხები, 42-ე მუხლში აღნიშნული პროკურორის ფუნქციებისა და უფლებამოსილებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

2. სამდივნოს ხელმძღვანელოს მდივანი, რომელიც სასამართლოს მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირს წარმოადგენს. მდივანი თავის ფუნქციებს ახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით.

3. მდივანი და მდივნის მოადგილე უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, იყვნენ კომპეტენტური და სრულყოფილად იცოდნენ სასამართლოს სამუშაო ენებიდან ერთ-ერთი მათგანი მაინც და თავისუფლად ლაპარაკობდნენ ამ ენაზე.

4. მხედველობაში იღებენ რა მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის რეკომენდაციას, მოსამართლეები ირჩევენ მდივანს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ფარული კენჭისყრით. საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში და მდივნის რეკომენდაციით მოსამართლენი იგივე წესით ირჩევენ მდივნის მოადგილეს.

5. მდივანი თანამდებობას იკავებს ხუთი წლის ვადით, შეიძლება ხელახლა არჩეულ იქნას ერთხელ, და ფუნქციებს ასრულებს სრულ განაკვეთზე. მდივნის მოადგილე თანამდებობას იკავებს ხუთი წლით ან იმ შემცირებული ვადით, რასაც დაადგენს მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა და შეიძლება არჩეულ იქნას იმ საფუძველზე, რომ მდივნის მოადგილე შეიძლება საჭიროების მიხედვით მიწვეულ იქნას თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

6. მდივანი სამდივნოს შემადგენლობაში ქმნის დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფს. ჯგუფი, პროკურორის კანცელარიასთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს დაცვით ზომებს, უსაფრთხოების ღონისძიებებს, საკონსულტაციო და სხვა შესაბამისი დახმარების გაწევას მოწმეებისა და დაზარალებულთათვის, რომლებიც გამოცხადდნენ სასამართლოში და სხვა პირთათვის, რომელთაც მოწმეთა მიერ ჩვენების მიცემა საფრთხეში აყენებს. ჯგუფი შედგება თანამშრომლებისგან, რომელთაც გააჩნიათ ცოდნა და გამოცდილება ტრავმების, მათ შორის სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებული ტრავმების სფეროში.

მუხლი 44. პერსონალი

1. პროკურორი და მდივანი ნიშნავენ ისეთი კვალიფიკაციის პერსონალს, რაც საჭირო იქნება მათი შესაბამისი ორგანოებისთვის. რაც შეეხება პროკურორს, მან აგრეთვე უნდა დანიშნოს გამომძიებლები.

2. პერსონალის სამუშაოდ დაქირავებისას პროკურორმა და მდივანმა უმაღლეს დონეზე უნდა უზრუნველყონ შრომისუნარიანობა, კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება და მხედველობაში მიიღონ მუტატის მუტანდის 3ნ-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმები.

3. მდივანს პრეზიდუმისა და პროკურორის თანხმობით, შეაქვს წინადადება პერსონალის შესახებ დებულების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს პერსონალის დანიშვნის, ანაზღაურებისა და დათხოვნის ვადებს და პირობებს. პერსონალის შესახებ დებულებას ამტკიცებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა.

4. სასამართლოს, გამონაკლის შემთხვევებში, შეუძლია ანაზღაურების გარეშე სამუშაოდ აიყვანოს მონაწილე სახელმწიფოების, მთავრობათაშორისი ორგანიზაციების ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული პერსონალი სასამართლოს რომელიმე ორგანოსათვის დახმარების გაწევის მიზნით. პროკურორს შეუძლია ასეთი შემოთავაზება მიიღოს პროკურორის კანცელარიის სახელით. ასეთი პერსონალი ანაზღაურების გარეშე სამუშაოდ აიყვანოს უნდა იქნას მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ დადგენილი სახელმძღვანელო წესების შესაბამისად.

მუხლი 45. ვალდებულების საზეიმო მიღება

ამ წესდებით გათვალისწინებული შესაბამისი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე მოსამართლენი, პროკურორი, პროკურორის მოადგილეები, მდივანი და მდივნის მოადგილე სასამართლოს ღია სხდომაზე საზეიმოდ იღებენ ვალდებულებას, რომ მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად განახორციელებენ შესაბამის ფუნქციებს.

მუხლი 46. თანამდებობიდან გათავისუფლება

1. მოსამართლე, პროკურორი, პროკურორის მოადგილე, მდივანი ან მდივნის მოადგილე გათავისუფლდება თანამდებობიდან თუ ამის თაობაზე მიღებულია გადაწყვეტილება მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ:

(a) დადგინდა, რომ ამ პიროვნებამ ჩაიდინა სერიოზული გადაცდომა ან ამ წესდებით გათვალისწინებულ მის მოვალეობათა სერიოზული დარღვევა, რაც განსაზღვრულია პროცესისა და მტკიცების წესებით;

(b) ამ პიროვნებას არ შესწევს უნარი, განახორციელოს წინამდებარე წესდებით მასზე დაკისრებული ფუნქციები.

2. მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის, პროკურორის ან პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ:

(a) მოსამართლის შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოთა ხმების ორი მესამედით, სხვა მოსამართლეთა ხმების ორი მესამედის რეკომენდაციის საფუძველზე.

(b) პროკურორის შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით.

(c) პროკურორის მოადგილის შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, პროკურორის რეკომენდაციის საფუძველზე.

3. მდივნის ან მდივნის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მოსამართლენი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

4. მოსამართლეს, პროკურორს, პროკურორის მოადგილეს, მდივანს ან მდივნის მოადგილეს, რომლის მოქმედება ან ამ წესდებით განსაზღვრული თანამდებობრივი ფუნქციების შესრულების უნარიანობა ეჭვქვეშ დგას, აქვს სრული შესაძლებლობა წარმოადგინოს ან მიიღოს მტკიცებულება და წარადგინოს მასალები პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად. აღნიშნულ პირს არ შეუძლია სხვა მხრივ მიიღოს მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

მუხლი 47. დისციპლინარული ზომები

მოსამართლის, პროკურორის, პროკურორის მოადგილის, მდივნის ან მდივნის მოადგილის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად სერიოზული გადაცდომა 46-ე მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნულთან შედარებით, გამოყენებული იქნება დისციპლინარული ზომები, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

მუხლი 48. პრივილეგიები და იმუნიტეტები

1. სასამართლო ყოველი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სარგებლობს ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რაც საჭიროა მისი მიზნების განსახორციელებლად.

2. მოსამართლეები, პროკურორი, პროკურორის მოადგილეები და მდივანი სასამართლოს საქმიანობაში მონაწილეობისას ან ამ საქმიანობასთან დაკავშირებით სარგებლობენ იმავე პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რაც მინიჭებული აქვთ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს და მათი თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ინარჩუნებენ იმუნიტეტს ყველა სახის საპროცესო მოთხოვნისაგან, რომელიც უკავშირდება მათ ოფიციალურ ზეპირ ან წერილობით სიტყვებს ან მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს თანამდებობრივი უფლებამოსილების პერიოდში.

3. მდივნის მოადგილე, პროკურორის კანცელარიის თანამშრომლები და სამდივნოს თანამშრომლები სარგებლობენ ისეთი პრივილეგიებით, იმუნიტეტებით და შეღავათებით, რაც საჭიროა მათი ფუნქციების განსახორციელებლად სასამართლოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

4. დამცველს, ექსპერტებს, მოწმეებს ან სხვა პირებს, რომელთაც ევალებათ სასამართლოს ადგილსამყოფელის ადგილზე ყოფნა, ენიჭებათ ის სტატუსი, რაც საჭიროა

სასამართლოს სათანადო ფუნქციონირებისთვის, სასამართლოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

5. პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებიც ენიჭება:

(a) მოსამართლეს ან პროკურორს, შეიძლება გაუქმდეს მოსამართლეთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით;

(b) მდივანს, შეიძლება გაუქმდეს პრეზიდიუმის მიერ;

(c) პროკურორის მოადგილეებს და პროკურორის კანცელარიის თანამშრომლებს, შეიძლება გაუქმდეს პროკურორის მიერ;

(d) მდივნის მოადგილეს და სამდივნოს თანამშრომლებს, შეიძლება გაუქმდეს მდივნის მიერ.

მუხლი 49. ხელფასები, დახმარებები და ხარჯების ანაზღაურება

მოსამართლეები, პროკურორი, პროკურორის მოადგილეები, მდივანი და მდივნის მოადგილე იღებენ ხელფასებს, დახმარებებს და უნაზღაურდებათ ხარჯები მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის გადაწყვეტილების შესაბამისად. ხელფასები და დახმარებები არ უნდა შემცირდეს მათი თანამდებობრივი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

მუხლი 50. ოფიციალური და სამუშაო ენები

1. სასამართლოს ოფიციალური ენებია არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური. სასამართლოს დადგენილებები, აგრეთვე გადაწყვეტილებები, რომლითაც არსებითად წყდება სასამართლოს მიერ განსახილველი საკითხები, ქვეყნდება ოფიციალურ ენებზე. პრეზიდიუმი, პროცედურისა და მტკიცების წესებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, განსაზღვრავს, ამ პუნქტის მიზნებისთვის რომელი გადაწყვეტილებები შეიძლება ჩაითვალოს ისეთ გადაწყვეტილებებად, რომლითაც არსებითად წყდება საკითხი.

2. სასამართლოს სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული. პროცედურისა და მტკიცების წესებით დადგენილია ის შემთხვევები, როდესაც ოფიციალური ენები შეიძლება გამოყენებულ იქნას სამუშაო ენების სახით.

3. პროცესში მონაწილე რომელიმე მხარის ან პროცესში მონაწილეობის უფლების მქონე სახელმწიფოს მოთხოვნით, სასამართლომ შეიძლება დართოს ნება, ინგლისურის ან ფრანგულის გარდა სხვა ენა იყოს გამოყენებული ამ მხარის ან სახელმწიფოს მიერ, თუ სასამართლო ასეთ ნებართვას ჩათვლის სათანადოდ დასაბუთებულად.

მუხლი 51. პროცედურისა და მტკიცების წესები

1. პროცედურისა და მტკიცების წესები ძალაში შედის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობის მიერ მიღების შემდეგ.

2. წინადადება პროცედურისა და მტკიცების წესებში შესწორების შეტანის თაობაზე შეიძლება წარმოადგინოს:

(a) ნებისმიერმა მონაწილე სახელმწიფომ;

(b) მოსამართლეებმა, რომელთაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით; ან

(c) პროკურორმა.

ასეთი შესწორებები ძალაში შედის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის წევრთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით მიღების შემდეგ.

3. პროცედურისა და მტკიცების წესების მიღების შემდეგ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, როდესაც წესებით არ არის გათვალისწინებული ცალკეული ვითარება, რომლის წინაშეც დგას სასამართლო, მოსამართლეებს ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით შეუძლიათ დაადგინონ დროებითი წესები, რომლებიც გამოიყენება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მორიგ ან საგანგებო სხდომაზე მათ მიღებამდე, შეცვლამდე ან გაუქმებამდე.

4. პროცედურისა და მტკიცების წესები, მათი შესწორებები ან ნებისმიერი დროებითი წესი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ წესებს. პროცედურისა და მტკიცების წესების შესწორებებს, აგრეთვე დროებით წესებს არ უნდა მიეცეს უკუძალა ძიებაში მყოფის, განსასჯელის ან მსჯავრდებულის საზიანოდ.

5. წესდებებსა და პროცესისა და მტკიცების წესებს შორის შეუთავსებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წესებს.

მუხლი 52. სასამართლოს რეგლამენტი

1. მოსამართლენი, ამ წესდებისა და პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იღებენ სასამართლოს რეგლამენტს მისი ჩვეული ფუნქციონირებისთვის.

2. რეგლამენტისა და მისი შესწორებების შემუშავებისას ტარდება კონსულტაცია პროკურორთან და მდივანთან.

3. რეგლამენტი და მისი შესწორებები ძალაში შედის მათი მიღების შემდეგ, თუ სხვაგვარად არ გადაწყდა მოსამართლეთა მიერ. მიღებისთანავე ისინი უნდა გადაეცეს

მონაწილე სახელმწიფოებს შენიშვნებისთვის. თუ ექვსი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობას საწინააღმდეგო აზრი არ გააჩნია, ისინი რჩება ძალაში.

ნაწილი 5. გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

მუხლი 53. გამოძიების დაწყება

1. პროკურორი, მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეფასების საფუძველზე, იწყებს გამოძიებას, თუ არ დაადგენს, რომ არ არის სასამართლო განხილვის დაწყების საკმარისი საფუძველი ამ წესდების შესაბამისად. გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი მხედველობაში იღებს:

(a) წარმოადგენს თუ არა პროკურორისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საკმარის საფუძველს იმისათვის, რათა სასამართლოს იურისდიქციაში შემაგალი დანაშაული ჩაითვალოს ჩადენილად ან ჩადენის პროცესში მყოფად;

(b) საქმე მისაღებია თუ მისაღები გახდება მე-17 მუხლის თანახმად; და

(c) დანაშაულის სიმძიმის და დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინებით, არის თუ არა, ამისდა მიუხედავად, არსებითი საფუძველი, რათა ჩავთვალოთ, რომ გამოძიება არ ემსახურება მართლმსაჯულების მიზნებს. თუ პროკურორი დაადგენს, რომ არ არსებობს სასამართლო განხილვის დაწყების რაიმე მისაღები საფუძველი და მისი გადაწყვეტილება ეფუძნება ამ მუხლის (c) ქვეპუნქტს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას.

2. თუ გამოძიების შედეგად პროკურორი დაასკვნის, რომ არ არსებობს სათანადო საფუძველი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის, ვინაიდან:

(a) არ არსებობს საკმარისი სამართლებრივი ან ფაქტობრივი საფუძველი დაკავების ორდერის გაცემისათვის ან სასამართლოში გამოძახებისათვის 58-ე მუხლის თანახმად;

(b) საქმე მიუღებელია მე-17 მუხლის თანახმად; ან

(c) სისხლისსამართლებრივი დევნა არ ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით, მათ შორის დანაშაულის სიმძიმე, დაზარალებულთა ინტერესები და ეჭვმიტანილის ასაკი და ფიზიკური მდგომარეობა და მისი როლი დანაშაულში;

პროკურორი აცნობებს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას და მე-14 მუხლის თანახმად ვითარების გადმომცემ სახელმწიფოს ან უშიშროების საბჭოს მე-13 მუხლის (b) პუნქტის თანახმად თავისი დასკვნის შესახებ და დასკვნის მიზეზებს.

3. (a) მე-14 მუხლის თანახმად ვითარების გადმომცემი სახელმწიფოს მოთხოვნით და მე-13 მუხლის (b) პუნქტის თანახმად უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, წინასწარი

სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია პირველი ან მე-2 პუნქტის თანახმად განიხილოს პროკურორის გადაწყვეტილება სასამართლო განხილვის არდაწყების შესახებ და მოსთხოვოს პროკურორს გადასინჯოს ეს გადაწყვეტილება.

(b) ამის გარდა, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია საკუთარი ინიციატივით განიხილოს პროკურორის გადაწყვეტილება სასამართლო განხილვის არდაწყების შესახებ, თუკი ის ეფუძნება მხოლოდ 1(c) ან 2(c) პუნქტებს. ამ შემთხვევაში პროკურორის გადაწყვეტილებას ძალა ექნება მხოლოდ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ მისი დამტკიცების შემთხვევაში.

4. პროკურორს შეუძლია ნებისმიერ დროს გადასინჯოს გადაწყვეტილება გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ ახალი ფაქტების ან ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 54. პროკურორის ვალდებულებები და უფლებამოსილებანი გამოძიებასთან დაკავშირებით

1. პროკურორი:

(a) ჭეშმარიტების დადგენის მიზნით ჩაატარებს გამოძიებას, რათა შეისწავლოს ყველა ფაქტი და მტკიცებულება, რომლებიც ადგენენ, დგება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ წესდების თანახმად, და ამასთან ერთად თანაბრად გამოიძიებს გამამტყუნებელ და პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს;

(b) იღებს შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყოს სასამართლოს იურისდიქციაში შემაჯავლი დანაშაულების ეფექტური გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა და ამავე დროს დაიცავს დაზარალებულთა და მოწმეთა ინტერესები და პირადი გარემოებები, მათ შორის ასაკი, სქესი, როგორც განსაზღვრულია მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში, და ჯანმრთელობა, და მხედველობაში იღებს დანაშაულის ხასიათს, განსაკუთრებით თუ ის დაკავშირებულია სექსუალურ ძალადობასთან, სქესობრივ ძალადობასთან ან ძალადობასთან ბავშვების მიმართ; და

(c) სრული მოცულობით იცავს პირთა უფლებებს, რომლებიც ამ წესდებიდან გამომდინარეობს.

2. პროკურორს შეუძლია ჩაატაროს გამოძიება სახელმწიფოს ტერიტორიაზე:

(a) მე-9 ნაწილის დებულებების შესაბამისად;

(b) წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში 57-ე მუხლის მე-3(d) პუნქტის თანახმად.

3. პროკურორს შეუძლია:

- (a) შეაგროვოს და შეისწავლოს მტკიცებულებები;
- (b) მოითხოვოს გამოძიებაში მყოფ პირთა, დაზარალებულთა და მოწმეთა დასწრება და დაკითხვა;
- (c) მოითხოვოს ნებისმიერი სახელმწიფოს, სამთავრობათშორისო ორგანიზაციის ან მექანიზმის თანამშრომლობა, რომელიც შეესაბამება მათ კომპეტენციასა და/ან მანდატს;
- (d) დადოს ისეთი შეთანხმებები ან ხელშეკრულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ წესდებს, რამდენადაც ეს საჭიროა სახელმწიფოსთან, სამთავრობათშორისო ორგანიზაციასთან თუ პიროვნებასთან თანამშრომლობას ხელის შეწყობისათვის;
- (e) მისცეს გარანტია, რომ სასამართლო წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, არ გახსნის იმ დოკუმენტებს და ინფორმაციას, რომელსაც პროკურორი მიიღებს მისი კონფიდენციალურობის შენარჩუნების პირობით და მხოლოდ ახალი მტკიცებულებების მიღების მიზნით, თუ ინფორმაციის მიმწოდებელი თანახმა არ არის ამგვარ გახსნაზე; და
- (f) მიიღოს შესაბამისი ზომები, ან მოითხოვოს შესაბამისი ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ნებისმიერი პირის დაცვა ან მტკიცებულების შენახვა.

მუხლი 55. პირთა უფლებები გამოძიების დროს

1. რაც შეეხება ამ წესდებს შესაბამისად ჩატარებულ გამოძიებას, პირი:

- (a) არ უნდა იქნეს იძულებული მისცეს ჩვენებები თავისი თავის წინააღმდეგ ან აღიაროს ბრალი;
- (b) არ უნდა მოხდეს პირის იძულება, მასზე ზეწოლა ან მისი დაშინება, მისი წამება ან სხვაგვარი ტანჯვა, მისადმი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება;
- (c) თუკი ის დაკითხული არ იქნება მისთვის სრულად გასაგებ და სალაპარაკო ენაზე, სარგებლობს, ყოველგვარი გადასახადის გარეშე, კვალიფიცირებული თარჯიმნის დახმარებით და ასეთი თარგმანი უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანობის მოთხოვნებს;
- (d) არ უნდა იქნეს თვითნებურად დაკავებული ან დაპატიმრებული; არ უნდა მოხდეს პირის თავისუფლების აღკვეთა, გარდა წესდებით გათვალისწინებული საფუძვლებზე.

2. როდესაც არის საფუძველი ვარაუდისა, რომ პირმა ჩაიდინა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული და ის დაკითხულ უნდა იქნეს პროკურორის ან, წესდების მე-9 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, პირი ასევე სარგებლობს შემდეგი უფლებებით, რომელთა შესახებ მას უნდა ეცნობოს დაკითხვამდე:

(a) ინფორმირებულ იქნეს დაკითხვის დაწყებამდე, რომ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ მან ჩაიდინა სასამართლოს იურისდიქციაში შემაკალი დანაშაული;

(b) ღუმილის უფლება, და ასეთი ღუმილი მხედველობაში არ მიიღება ბრალეულობის ან უდანაშაულობის დადგენისას;

(c) უფლება ისარგებლოს მის მიერ შერჩეული სამართლებრივი დახმარებით, ან თუ ის არ სარგებლობს სამართლებრივი დახმარებით, ისარგებლოს ამგვარი დახმარებით ყველა შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები, და პირის მხრიდან ყოველგვარი გადასახადის გარეშე ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც პირს არ გააჩნია საკმარისი ანაზღაურების საშუალებები;

(d) უფლება დაკითხულ იქნეს ადვოკატის თანდასწრებით, თუ პირმა ნებაყოფლობით არ განაცხადა უარი ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლებაზე.

მუხლი 56. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის როლი გამოძიების უნიკალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებით

1. (a) თუ პროკურორი თვლის, რომ გამოძიებას გააჩნია უნიკალური შესაძლებლობა მიიღოს ჩვენებები ან განცხადება მოწმისაგან ან შეისწავლოს, შეაგროვოს ან შეამოწმოს მტკიცებულებები, რომელიც შემდგომში სავარაუდოდ აღარ იქნება ხელმისაწვდომი სასამართლო წარმოების მიზნებისათვის, პროკურორი ამის შესახებ აცნობებს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას;

(b) ამ შემთხვევაში წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე მიიღოს ზომები, რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს სისხლისსამართლებრივი ეფექტურობის და ერთიანობის უზრუნველყოფისათვის და, კერძოდ, უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;

(c) თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა სხვაგვარად არ მიუთითებს, პროკურორი უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას პირისათვის, რომელიც დაკავებული არის ან გამოცხადდა სასამართლო უწყების საპასუხოდ (a) პუნქტის შესაბამისად მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ ის მოსმენილ იქნეს.

2. 1(b) ქვეპუნქტში აღნიშნული ზომები შეიძლება იყოს შემდეგი:

(a) რეკომენდაციების ან განკარგულებების გაცემა შემდგომი პროცედურების თაობაზე;

(b) მითითება სასამართლო წარმოების ოქმის შედგენის შესახებ;

(c) დახმარების მიზნით ექსპერტის დანიშვნა;

(d) დაკავებული ან სასამართლო უწყების საპასუხოდ გამოცხადებული პირის დამცველისათვის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის დავალება, ან, თუ ჯერ ადგილი

არ ჰქონია დაკავებას ან პირი სასამართლოში არ გამოცხადდა ან დამცველი ჯერ არ არის დანიშნული, სხვა დამცველის დანიშვნა სასამართლო განხილვაში მონაწილეობისა და დაცვის ინტერესების წარმოდგენისათვის;

(e) ერთ-ერთი თავისი წევრის ან, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი სასამართლო წარმოების და სასამართლო განყოფილების რომელიმე მოსამართლის დანიშვნა ზედამხედველობისა და მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის, ასევე პირთა დაკითხვის შესახებ რეკომენდაციების ან ბრძანებების განხილვისა და შედგენის მიზნით;

(f) სხვა საჭირო ზომების მიღება მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვისათვის.

3. (a) თუ პროკურორი არ მოითხოვს ამ მუხლში გათვალისწინებული ზომების მიღებას, მაგრამ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა თვლის, რომ ამგვარი ზომები აუცილებელია მნიშვნელოვანი მტკიცებულებების შენახვისათვის და სასამართლო განხილვის დროს დაცვის ინტერესების უზრუნველსაყოფად, ის მოითხოვს პროკურორთან იმ მიზნით, რათა დაადგინოს, არის თუ არა საკმარისი საფუძველი ამ ზომების მიუღებლობის. თუ თათბირის შედეგად წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დაასკვნის, რომ პროკურორის მიერ შესაბამისი ზომების მიუღებლობა დაუსაბუთებელია, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა ამ ზომებს მიიღებს საკუთარი ინიციატივით.

(b) პროკურორს შეუძლია გაასაჩივროს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის ამ პუნქტის თანახმად მიღებული გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით მოქმედების შესახებ. საჩივარი განხილულ უნდა იქნეს დაჩქარებული წესით.

4. ამ მუხლის შესაბამისად შენახული ან შეგროვებული მტკიცებულებების ან მათი შემცველი სასამართლო ოქმის დაშვებადობა განისაზღვრება სასამართლო განხილვის დროს 69-ე მუხლის შესაბამისად, და მათი მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიეცემა სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით.

მუხლი 57. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ წესდებით, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა განახორციელებს თავის ფუნქციებს ამ მუხლის დებულებების შესაბამისად.

2. (a) მე-15, მე-18, მე-19, 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-7 პუნქტის, და 72-ე მუხლის შესაბამისად გამოტანილი წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის დადგენილებები ან განკარგულებები მიიღება მასში შემავალ მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით;

(b) ყველა სხვა შემთხვევაში წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მოსამართლეს შეუძლია წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის ფუნქციების შესრულება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული პრიცედურისა და მტკიცების

წესებით ან გადაწყვეტილი წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ;

3. ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების გარდა წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია:

(a) პროკურორის მოთხოვნით, გასცეს ისეთი განკარგულებები ან ორდერები, რომლებიც აუცილებელია გამოძიების წარმოების მიზნებისათვის;

(b) 58-ე მუხლის თანახმად დაკავებული ან სასამართლო უწყებასთან დაკავშირებით გამოცხადებული პირის თხოვნის საფუძველზე, გასცეს ისეთი განკარგულებები, მათ შორის 56-ე მუხლში ჩამოთვლილი ზომების მიღების ან მე-9 ნაწილით გათვალისწინებული თანამშრომლობის უზრუნველყოფის თაობაზე, რომლებიც პირს დაეხმარება მისი დაცვის მომზადებაში;

(c) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დაზარალებულთა და მოწმეთა პირადი ცხოვრების დაცვა და ხელშეუხებლობა, მტკიცებულებათა შენახვა, დაკავებული ან სასამართლო უწყების საპასუხოდ გამოცხადებულ პირთა და ეროვნული უშიშროებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა;

(d) მიანიჭოს პროკურორს უფლებამოსილება მიიღოს განსაკუთრებული საგამოძიებო ზომები მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოს მე-9 ნაწილით გათვალისწინებული თანამშრომლობაზე თანხმობის გარეშე თუ, დაინტერესებული სახელმწიფოს მოსაზრებათა შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დაადგენს, რომ სახელმწიფოს აშკარად არ ძალუძს შეასრულოს მე-9 ნაწილით გათვალისწინებული თანამშრომლობის მოთხოვნაზე თანხმობის გაცემის კომპეტენციის მქონე რომელიმე ხელისუფლების ან სასამართლო სისტემის შემადგენელი სტრუქტურის უქონლობის გამო.

(e) თუ გაცემულია დაკავების ორდერი ან სასამართლო უწყება 58-ე მუხლის თანახმად, მტკიცებულების ძალის და დაინტერესებული მონაწილეების უფლებების სათანადოდ მხედველობაში მიღებით, როგორც ამას ითვალისწინებს ეს წესდება და პროცედურისა და მტკიცების წესები, მოითხოვოს სახელმწიფოსთან თანამშრომლობას 93-ე მუხლის 1(j) პუნქტის თანახმად, რათა მიიღოს დაცვითი ზომები კონფისკაციის მიზნით, კერძოდ, დაზარალებულთა ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

მუხლი 58. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ დაკავების ორდერის ან სასამართლო უწყების გაცემა

1. გამოძიების დაწყების შემდეგ ნებისმიერ დროს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა პროკურორის განცხადების საფუძველზე, გასცემს დაკავების ორდერს, თუ განცხადების და მტკიცებულებების, ან პროკურორის მიერ წარდგენილი სხვა ინფორმაციის შესწავლის შედეგად ის დარწმუნდება, რომ:

(a) არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისა, რომ პირმა ჩაიდინა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული; და

(b) პირის დაკავება წარმოადგენს აუცილებლობას:

(i) რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირის დასწრება სასამართლო განხილვაზე,

(ii) რათა პირმა ხელი არ შეუშალოს ან საფრთხე არ შეუქმნას გამოძიებას ან სასამართლო განხილვას,

(iii) როდესაც საჭიროა, რათა თავიდან აცილებულ იქნას პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გაგრძელება ან მასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენა, რომელიც შედის სასამართლოს იურისდიქციაში და აღმოცენდება იგივე გარემოებების საფუძველზე.

2. პროკურორის განცხადება უნდა შეიცავდეს:

(a) პირის სახელს ან სხვა სათანადო საიდენტიფიკაციო ინფორმაციას;

(b) კონკრეტულ მითითებას დანაშაულებზე, რომლებიც შედიან სასამართლოს იურისდიქციაში და რომელთა ჩადენაში პირი არის ეჭვმიტანილი;

(c) იმ ფაქტების მოკლე გადმოცემას, რომლებიც სავარაუდოდ შეადგენენ ზემოხსენებულ დანაშაულებს;

(d) მტკიცებულებების და სხვა ინფორმაციის მოკლე გადმოცემა, რომელიც საკმარის საფუძველს ქმნის, რათა ჩაითვალოს, რომ პირმა ჩაიდინა ზემოხსენებული დანაშაულები; და

(e) მიზეზს იმისა, თუ რატომ არის პროკურორი დარწმუნებული პირის დაკავების აუცილებლობაში.

3. დაკავების ორდერი უნდა შეიცავდეს:

(a) პირის სახელს ან სხვა სათანადო საიდენტიფიკაციო ინფორმაციას;

(b) კონკრეტულ მითითებას სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე, რომელთათვისაც გაცემულია პირის დაკავების ორდერი; და

(c) იმ ფაქტების მოკლე გადმოცემას, რომლებიც სავარაუდოდ შეადგენენ ზემოხსენებულ დანაშაულებს.

4. დაკავების ორდერი ძალაში რჩება მანამდე, სანამ სასამართლო სხვაგვარად არ მიუთითებს.

5. დაკავების ორდერის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს პირის წინასწარი დაკავება ან პირის დაკავება და გადაცემა მე-9 ნაწილის თანახმად.

6. პროკურორს შეუძლია თხოვნით მიმართოს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, რათა მან შეიტანოს შესწორებები დაკავების ორდერში, მასში განსაზღვრული დანაშაულების შეცვლის ან სხვა დანაშაულების დამატების გზით. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა ორდერში შესწორებებს შეიტანს იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისა, რომ პირმა ჩაიდინა ამგვარი სახით განსაზღვრული დანაშაულები.

7. პროკურორს შეუძლია, დაკავების ორდერის გაცემის მოთხოვნის ალტერნატივის სახით, თხოვნით მიმართოს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, რათა ამ უკანასკნელმა გასცეს სასამართლო ორდერი ამ პირის სასამართლოში გამოცხადების შესახებ; თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დარწმუნებულია, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და სასამართლო ორდერი საკმარისია პირის გამოცხადების უზრუნველყოფისათვის, ის გასცემს სასამართლო ორდერის პირის სასამართლოში გამოცხადების შესახებ, გარკვეული პირობებით ან პირობების გარეშე, თავისუფლების აღკვეთის გარდა, თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული სამართლით. სასამართლო ორდერი უნდა შეიცავდეს:

- (a) პირის სახელს ან სხვა სათანადო საიდენტიფიკაციო ინფორმაციას;
- (b) პირის გამოცხადების განსაზღვრულ თარიღს;
- (c) კონკრეტულ მითითებას სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენაში პირი არის ეჭვმიტანილი; და
- (d) იმ ფაქტების მოკლე გადმოცემას, რომლებიც სავარაუდოდ შეადგენენ დანაშაულს.

სასამართლო ორდერი ზემოაღნიშნულ პირს უნდა გადაეცეს უშუალოდ.

მუხლი 59. დაკავების პროცედურები დამკავებელ სახელმწიფოში

1. მონაწილე სახელმწიფო, რომელმაც მიიღო წინასწარი დაკავების ან დაკავებისა და გადაცემის მოთხოვნა, დაუყონებლივ მიიღებს შესაბამისი პირის დაკავების ზომებს, თავისი კანონმდებლობის და მე-9 ნაწილის დებულებების შესაბამისად.

2. დაკავებული პირი დაუყონებლივ უნდა წარსდგეს დამკავებელ სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლო ხელისუფლების წინაშე, რომელიც ამ სახელმწიფოს კანონების შესაბამისად დაადგენს, რომ:

- (a) სასამართლო ორდერი ეხება მხოლოდ ამ პირს;
- (b) პირი დაკავებულ იქნა სათანადო პროცედურის დაცვით;

(c) დაცული იქნა პირის უფლებები.

3. დაკავებულ პირს უფლება აქვს მიმართოს დამკავებელ სახელმწიფოს სათანადო ხელისუფლებას სასამართლოსადმი მის გადაცემამდე დროებითი გათავისუფლების თხოვნით.

4. ასეთი განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, დამკავებელი სახელმწიფოს უფლებამოსილმა ხელისუფლებამ უნდა განიხილოს, სავარაუდო დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, არის თუ არა გადაუდებელი და განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ამართლებენ დროებით გათავისუფლებას და არსებობს თუ არა აუცილებელი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამკავებელ სახელმწიფოს მიერ პირის სასამართლოსადმი გადაცემის ვალდებულების შესრულებას. დამკავებელ სახელმწიფოს უფლებამოსილ ხელისუფლებას არა აქვს უფლება განიხილოს, იქნა თუ არა დაკავების ორდერი სათანადო წესით გაცემული 58-ე მუხლის პირველი პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტების თანახმად.

5. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას უნდა ეცნობოს დროებითი გათავისუფლების ნებისმიერი თხოვნის შესახებ და ის გასცემს რეკომენდაციებს დამკავებელ სახელმწიფოს უფლებამოსილ ხელისუფლებისთვის. დამკავებელ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლება სრული მოცულობით შეისწავლის ამგვარ რეკომენდაციებს, მათ შორის რეკომენდაციებს პირის გაქცევის თავიდან აცილების ზომების თაობაზე, თავისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

6. თუ პირი დროებით გათავისუფლებულ იქნა, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია მოითხოვოს პერიოდული მოხსენებები დროებითი გათავისუფლების სტატუსის თაობაზე.

7. დამკავებელ სახელმწიფოს მიერ გადაცემის ბრძანების შემთხვევაში, პირი სასამართლოს უნდა გადაეცეს რაც შეიძლება მალე.

მუხლი 60. წინასწარი სასამართლო წარმოება

1. პირის სასამართლოსადმი გადაცემის, ან პირის სასამართლოში ნებაყოფლობით ან სასამართლო უწყების საპასუხოდ გამოცხადებისას, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა უნდა დარწმუნდეს, რომ პირს უკვე ეცნობა იმ დანაშაულების შესახებ, რომელთა ჩადენაში ის არის ეჭვმიტანილი, და წესდებით გათვალისწინებული მისი უფლებების შესახებ, მათ შორის სასამართლო განხილვამდე დროებითი გათავისუფლების თხოვნით მიმართვის უფლების შესახებ.

2. დაკავების ორდერის საფუძველზე დაკავებულ პირს აქვს უფლება მოითხოვოს სასამართლო განხილვამდე დროებითი გათავისუფლება. თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დარწმუნდება, რომ 58-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი პირობები დაკმაყოფილებულია, პირი ისევ პატიმრობაში რჩება. თუ პირობები არ არის დაკმაყოფილებული, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა პირს გაათავისუფლებს, გარკვეული პირობებით ან პირობების გარეშე.

3. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა პერიოდულად გადასინჯავს თავის დადგენილებას პირის გათავისუფლების ან დაკავების შესახებ, და ამგვარად მოიქცევა ნებისმიერ დროს პროკურორის ან პირის მიერ თხოვნის წარდგენის შემთხვევაში. გადასინჯვის შედეგად, მას შეუძლია შეცვალოს თავისი დადგენილება დაკავების, გათავისუფლების ან გათავისუფლების პირობების შესახებ, თუ ის დარწმუნდება, რომ შეცვლილი გარემოებები ამას მოითხოვენ.

4. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა უნდა დარწმუნდეს, რომ პირი არ იმყოფება სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში გაუმართლებლად დიდი დროის განმავლობაში პროკურორის მიერ არასაპატიო დაყოვნების გამო. ამგვარი დაყოვნების შემთხვევაში, სასამართლო განიხილავს პირის გათავისუფლების საკითხს, გარკვეული პირობებით ან პირობების გარეშე.

5. საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია გასცეს დაკავების ორდერი, რათა უზრუნველყოს გათავისუფლებული პირის დასწრება.

მუხლი 61. სასამართლო განხილვამდე ბრალდების დადასტურება

1. მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, პირის სასამართლოსადმი გადაცემის ან სასამართლოს წინაშე მისი ნებაყოფლობითი გამოცხადების შემდეგ სათანადო ვადაში, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა გამართავს საქმის მოსმენას იმ ბრალდებათა დადასტურების თაობაზე, რომელთა საფუძველზე პროკურორი აპირებს ბრალდებულის გასამართლებას. საქმის მოსმენა უნდა ჩატარდეს პროკურორის და ბრალდებული პირის, ასევე მისი დამცველის თანდასწრებით.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია, პროკურორის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, გამართოს საქმის მოსმენა იმ ბრალდებების დადასტურების თაობაზე, რომელთა საფუძველზეც პროკურორი აპირებს პირის გასამართლებას, ბრალდებული პირის დასწრების გარეშე, თუ:

(a) პირმა უარი თქვა სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლებაზე; ან

(b) პირი იმალება ან შეუძლებელია მისი ადგილსამყოფელის დადგენა და ამასთანავე ყველა სათანადო ზომა იქნა მიღებული პირის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფისა და მისთვის იმის შეტყობინებისთვის, თუ რა ბრალდებებია წაყენებული მის წინააღმდეგ და რომ ჩატარდება საქმის მოსმენა ბრალდებათა დადასტურების თაობაზე.

ამ შემთხვევაში, პირი წარმოდგენილ იქნება ადვოკატის მიერ, თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა გადაწყვეტს, რომ ეს ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს.

3. საქმის მოსმენამდე სათანადო ვადაში, პირს:

(a) გადაეცემა იმ ბრალდებათა შემცველი დოკუმენტის ასლი, რომელთა საფუძველზე პროკურორი აპირებს პირის გასამართლებას; და

(b) ეცნობება იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებზედაც პროკურორი აპირებს დაყრდნობას საქმის განხილვის დროს.

წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია გასცეს განკარგულებები საქმის მოსმენის მიზნებისათვის საჭირო ინფორმაციის გახსნის თაობაზე.

4. საქმის მოსმენამდე პროკურორს შეუძლია განაგრძოს გამოძიება და შეცვალოს ან მოხსნას ნებისმიერი ბრალდება. პირს საქმის მოსმენის დაწყებამდე ეძლევა სათანადო შეტყობინება რომელიმე ბრალდების შეცვლის ან მისი მოხსნის შესახებ. ბრალდების მოხსნის შემთხვევაში, პროკურორი წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას აცნობებს მოხსნის მიზეზების შესახებ.

5. საქმის მოსმენის დროს პროკურორმა ყველა ბრალდება უნდა დაადასტუროს სათანადო მტკიცებულებით, რათა შექმნას საკმარისი არსებითი საფუძველი ვარაუდისა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომელშიც მას ბრალი ედება. პროკურორი შეიძლება დაეყრდნოს დოკუმენტურ ან შეჯამებულ მტკიცებულებებს, და ამ შემთხვევაში არ არის საჭირო იმ მოწმეთა გამოძახება, რომლებიც შემდგომში ჩვენებებს მისცემენ სასამართლოში.

6. საქმის მოსმენის დროს პირს შეუძლია:

(a) უარყოს ბრალდება;

(b) ეჭვი შეიტანოს პროკურორის მიერ წარდგენილ მტკიცებულებაში; და

(c) წარადგინოს მტკიცებულება.

7. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა, საქმის მოსმენის შედეგად, გადაწყვეტს, არის თუ არა საკმარისი მტკიცებულება, რომელიც ქმნის არსებით საფუძველს ვარაუდისა, რომ პირმა ჩაიდინა თითოეული დანაშაული, რომლის ჩადენაში მას ბრალი ედება. თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა:

(a) ადასტურებს იმ ბრალდებებს, რომელთა მიმართაც ის დაადგენს საკმარისი მტკიცებულების არსებობას; და გადასცემს პირს სასამართლო პალატას დადასტურებული ბრალდებების საფუძველზე გასამართლების მიზნით;

(b) არ ადასტურებს იმ ბრალდებებს, რომელთა მიმართაც ის დაადგენს საკმარისი მტკიცებულების არარსებობას;

(c) გადადებს საქმის მოსმენას და პროკურორს მოსთხოვს დაადგინოს, აქვს თუ არა მას შესაძლებლობა:

(i) წარადგინოს დამატებითი მტკიცებულებები ან განაგრძოს გამოძიება ცალკეულ ბრალდებებთან დაკავშირებით; ან

(ii) შეცვალოს ბრალდება იმის გამო, რომ წარდგენილი მტკიცებულება სავარაუდოდ მიუთითებს სხვა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.

8. როდესაც წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა არ ადასტურებს ბრალდებას, ეს პროკურორისათვის წინააღმდეგობას არ ქმნის შემდგომში მოითხოვოს ბრალდების დადასტურება, თუ მისი მოთხოვნა დასაბუთებული იქნება დამატებითი მტკიცებულებებით.

9. ბრალდებების დადასტურების შემდეგ, სასამართლო განხილვის დაწყებამდე პროკურორს შეუძლია, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის ნებართვით და ბრალდებულისადმი შეტყობინების შემდეგ, შეცვალოს ბრალდებები. თუ პროკურორი აპირებს დამატებითი ბრალდებების წარდგენას ან არსებული ბრალდებების უფრო სერიოზული ბრალდებებით შეცვლას, ამ შემთხვევაში უნდა გაიმართოს ამ მუხლით გათვალისწინებული საქმის მოსმენა აღნიშნულ ბრალდებათა დადასტურების თაობაზე. სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ პროკურორს შეუძლია, სასამართლო პალატის ნებართვით, მოხსნას ბრალდებები.

10. ნებისმიერი წინათ გაცემული დაკავების ორდერი, რომელიც შეეხება წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ დაუმტკიცებელ ან პროკურორის მიერ მოხსნილ ბრალდებას, წყვეტს მოქმედებას.

11. როდესაც ბრალდებები დადასტურებულ იქნება ამ მუხლის თანახმად, პრეზიდენტი ნიშნავს სასამართლო პალატას, რომელიც, მე-8 პუნქტის და 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, პასუხისმგებელი იქნება შემდგომი სასამართლო განხილვის ჩატარებაზე და შეუძლია შეასრულოს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის ნებისმიერი ფუნქცია, რომელიც საქმეს შეეხება და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ განხილვის მსვლელობაში.

ნაწილი 6. სასამართლო წარმოება

მუხლი 62. სასამართლო წარმოების ადგილი

თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, სასამართლო წარმოების ადგილი არის სასამართლოს ადგილსამყოფელი.

მუხლი 63. სასამართლო წარმოება ბრალდებულის დასწრებით

1. ბრალდებული უნდა დაესწროს სამართალწარმოებას.

2. თუ ბრალდებული, რომელიც ესწრება სასამართლოს სხდომას, განაგრძობს სასამართლო წარმოებისთვის ხელის შეშლას, სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია გააძევოს ბრალდებული და დაადგინოს, რომ მან თვალი ადევნოს სხდომას და მისცეს მითითებები დამცველს სასამართლოს სხდომის დარბაზის გარედან, საჭიროების შემთხვევაში საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების გზით. ასეთი ზომები მიიღება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მას შემდეგ, რაც ყველა სხვა გონივრული ზომა ამოაღმორჩნდება და მხოლოდ ისეთი ხანგრძლივობით, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს.

მუხლი 64. სასამართლო წარმოების პალატის ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. ამ მუხლით გათვალისწინებული სასამართლო წარმოების პალატის ფუნქციები და უფლებამოსილებანი ხორციელდება ამ წესდებისა და პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

2. სასამართლო წარმოების პალატამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და დროული წარმოება, მისი წარმართვა ბრალდებულის უფლებათა სრული დაცვით და დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვისთვის ჯეროვანი ყურადღების დათმობით.

3. ამ წესდების შესაბამისად საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო პალატამ, რომელსაც განეკუთვნება ამ საქმის განხილვა, უნდა:

(a) შეთანხმდეს მონაწილეებთან და ჩაატაროს ისეთი პროცედურები, რაც საჭიროა საქმის წარმოების სამართლიანი და დროული წარმართვის ხელის შეწყობისთვის.

(b) განსაზღვროს სამართალწარმოებისას გამოსაყენებელი ენა ან ენები; და

(c) ამ წესდების სხვა შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით, სასამართლო წარმოების დაწყებამდე უზრუნველყოს იმ დოკუმენტების ან ინფორმაციის გახსნა, რომლებიც მანამდე არადაამაკმაყოფილებლად იქნა გახსნილი, სამართალწარმოებისთვის ადეკვატური მომზადების მიზნით.

4. სასამართლო წარმოების პალატას, თუ ამას მოითხოვს მისი ფუნქციონირების ეფექტურობა და სამართლიანობა, შეუძლია წინასწარი საკითხები გადასცეს წინასწარი წარმოების პალატას ან, საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი წარმოების განყოფილების სხვა ხელმისაწვდომ მოსამართლეს.

5. მონაწილეების შეტყობინებისას სასამართლო წარმოების პალატას, საქმის გარემოებათა მიხედვით, შეუძლია დაადგინოს, მოხდეს ერთზე მეტი ბრალდებულის მიმართ წაყენებული ბრალდებების გაერთიანება ან ცალ-ცალკე გამოყოფა.

6. სასამართლო წარმოების დაწყებამდე ან მისი მსვლელობისას საკუთარი ფუნქციების განხორციელებისას სასამართლო წარმოების პალატას საჭიროების მოხედვით შეუძლია:

(a) განახორციელოს 61-ე მუხლის მე-11 პუნქტში აღნიშნული წინასწარი წარმოების პალატის ნებისმიერი ფუნქცია;

(b) მოითხოვოს მოწმეთა გამოცხადება და მათ მიერ ჩვენების მიცემა, დოკუმენტების ან სხვა მტკიცებულების წარდგენა, საჭიროებისამებრ სახელმწიფოთა დახმარების გამოყენებით, ამ წესდებით გათვალისწინებული;

(c) უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა;

(d) გასცეს განკარგულება იმის შესახებ, რომ წარდგენილ იქნას სასამართლო წარმოების დაწყებამდე მონაწილეთა მიერ უკვე შეგროვებული ან წარმოდგენილი მტკიცებულებების დამატებითი მტკიცებულებები;

(e) უზრუნველყოს ბრალდებულის, დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვა; და

(f) გადაწყვიტოს საქმესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

7. სასამართლო წარმოება ტარდება საჯაროდ. მაგრამ სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია დაადგინოს, რომ განსაკუთრებული გარემოებები მოითხოვენ პროცესის დახურულ სხდომაზე წარმართვას 68-ე მუხლში აღნიშნული მიზნებისთვის, ან მტკიცებულებად წარსადგენი კონფიდენციალური ან სენსიტივე ინფორმაციის დაცვის მიზნით.

8. (a) სასამართლო წარმოების დაწყებისას სასამართლო წარმოების პალატამ ბრალდებულს უნდა გააცნოს წინასწარი წარმოების პალატის მიერ წინასწარ დადასტურებული ბრალდებები. სასამართლო წარმოების პალატა უნდა დარწმუნდეს, რომ ბრალდებულს შეგნებული აქვს ბრალდების შინაარსი. პალატამ უნდა მისცეს მას შესაძლებლობა 65-ე მუხლის შესაბამისად აღიაროს ბრალი ან არ ცნოს თავი დამნაშავედ.

(b) სამართალწარმოების პროცესში თავმჯდომარე მოსამართლეს შეუძლია მისცეს მითითება სამართალწარმოების წარმართვის, მათ შორის სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით. თავმჯდომარე მოსამართლის მითითებათა გათვალისწინებით, მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ მტკიცებულება ამ წესდების დებულებათა შესაბამისად.

9. სასამართლო წარმოების პალატა, გარდა ამისა, უფლება აქვს ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით:

(a) გადაწყვიტოს მტკიცებულების დასაშვებობის ან საქმესთან შესახებობის საკითხი; და

(b) მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქმის განხილვისას წესრიგის შენარჩუნებისათვის.

10. სასამართლო წარმოების პალატამ უნდა უზრუნველყოს სამართალწარმოების მსვლელობის ზუსტად ამსახველი დეტალური ოქმის შედგენა, რომლის შენახვა და დაცვა ევალება მდივანს.

მუხლი 65. სამართალწარმოება ბრალის აღიარებით

1. როდესაც ბრალდებული აღიარებს ბრალს 64-ე მუხლის მე-8 (ა) პუნქტის შესაბამისად, სასამართლო წარმოების პალატა განსაზღვრავს:

(ა) შეგნებული აქვს თუ არა ბრალდებულს ბრალის აღიარების ხასიათი და შედეგები;

(ბ) ნებაყოფლობით აღიარა თუ არა ბრალდებულმა ბრალი დამცველთან სათანადო კონსულტაციის შემდეგ;

(ც) დასტურდება თუ არა ბრალის აღიარება საქმის გარემოებებით, რომლებიც ასახულია:

ი. დოკუმენტში, რომელიც შეიცავს პროკურორის მიერ ფორმულირებულ ბრალდებას და რომელიც აღიარებულია ბრალდებულის მიერ;

იი. პროკურორის მიერ წარდგენილ ნებისმიერ მასალაში, რომლებიც მხარს უჭერენ ბრალდებას და რომლებსაც ადასტურებს ბრალდებული; და

იიი. ნებისმიერ სხვა მტკიცებულებაში, როგორცაა პროკურორის ან ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებები.

2. როდესაც სასამართლო წარმოების პალატა დაასკვნის, რომ დაცულია პირველ პუნქტში მითითებული პირობები, ის, ბრალის აღიარებას, ნებისმიერ წარდგენილ მტკიცებულებასთან ერთად, ჩათვლის ყველა იმ არსებითი გარემოების დადასტურებად, რაც საჭიროა იმ დანაშაულის ჩადენის დამტკიცებისთვის, რომელთან დაკავშირებითაც მოხდა ბრალის აღიარება და შეუძლია ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნოს ამ დანაშაულის ჩადენაში.

3. თუ სასამართლო წარმოების პალატა არ დაასკვნის, რომ დაცულია პირველ პუნქტში მითითებული პირობები, ის ჩათვლის, რომ ბრალის აღიარებას ადვილი არ ჰქონია და ამ შემთხვევაში გასცემს განკარგულებას სასამართლო წარმოების გაგრძელების შესახებ ამ წესდებით დადგენილი საქმის განხილვის ჩვეული წესის შესაბამისად და შეუძლია საქმე გადასცეს სასამართლო წარმოების სხვა პალატას.

4. თუ სასამართლო წარმოების პალატა თვლის, რომ მართლმსაჯულების, კერძოდ კი დაზარალებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა საქმის გარემოებათა სრული წარმოდგენა, სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია:

(a) სთხოვოს პროკურორს დამატებითი მტკიცებულების წარდგენა მოწმეთა ჩვენებების ჩათვლით; ან

(b) გასცეს განკარგულება სასამართლო წარმოების გაგრძელების შესახებ ამ წესდებით დადგენილი საქმის განხილვის ჩვეული წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ის ჩათვლის, რომ ბრალის აღიარებას ადგილი არ ჰქონია და შეუძლია საქმე გადასცეს სასამართლო წარმოების სხვა პალატას.

5. პროკურორსა და დამცველს შორის განხილვებს ბრალდების შეცვლასთან, ბრალის აღიარებასთან ან დასაკისრებელ სასჯელთან დაკავშირებით არ აქვთ სავალდებულო ძალა სასამართლოსთვის.

მუხლი 66. უდანაშაულობის პრეზუმფცია

1. ყველა ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალი არ დამტკიცდება სასამართლოში სამართლის წყაროების შესაბამისად.

2. ბრალის მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურორს.

3. ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისთვის სასამართლო უნდა დარწმუნდეს ბრალდებულს ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, რაც არ იწვევს გონივრულ ეჭვს.

მუხლი 67. ბრალდებულის უფლებები

1. ბრალდების განსაზღვრისას, ბრალდებულს აქვს საჯარო განხილვის უფლება ამ წესდების დებულებათა გათვალისწინებით, საქმის მიუკერძოებელი და სამართლიანი წარმოების უფლება და თანასწორ საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი მინიმალური გარანტიების უფლება:

(a) სწრაფად და დაწვრილებით მისთვის სრულად გასაგებ და სალაპარაკო ენაზე ეცნობოს მისთვის წაყენებული ბრალდების ხასიათი, საფუძვლები და შინაარსი;

(b) ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა მოემზადოს დაცვისთვის და ჰქონდეს თავისუფალი და კონფიდენციალური ურთიერთობა მის მიერ შერჩეულ დამცველთან;

(c) გასამართლდეს დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე;

(d) 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, დაესწროს სასამართლო სხდომებს და დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ დანიშნული დამცველის მეშვეობით. თუ ბრალდებული არ სარგებლობს დამცველის დახმარებით, ეცნობოს მას ამ უფლების შესახებ და ისარგებლოს სასამართლოს მიერ დანიშნული დამცველის დახმარებით ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ამას საჭიროებს მართლმსაჯულების ინტერესები და უსასყიდლოდ, თუ ბრალდებულს არ გააჩნია საკმარისი საშუალება დამცველის მომსახურების ასანაზღაურებლად;

(e) დაკითხოს ან დაკითხულ იქნას მოწმე, რომელიც მის წინააღმდეგ გამოდის, აგრეთვე გამოიძახოს და დაკითხოს მოწმეების, რომლებიც მის მონაწილეზე გამოდიან იგივე პირობებით, რომლითაც მისი მოწინააღმდეგე მოწმე სარგებლობს. ბრალდებულს ასევე აქვს უფლება წარმოადგინოს თავდაცვის არგუმენტები და სხვა მტკიცებულება, რომელიც, ამ წესდების თანახმად, დასაშვებია;

(f) უსასყიდლოდ ისარგებლოს კვალიფიციური თარჯიმნის დახმარებით და მიიღოს თარგმნილი მასალები, რაც აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განხილვისას დოკუმენტის შესადგენად გამოყენებული ენა არ არის ბრალდებულისთვის სრულად გასაგები და არ წარმოადგენს მის სალაპარაკო ენას;

(g) არ აიძულონ, მისცეს ჩვენება ან სცნოს თავი დამნაშავედ, ჰქონდეს დუმილის უფლება. ამასთან, დუმილი მხედველობაში არ მიიღება ბრალის ან უდანაშაულობის დადგენისას;

(h) ფიცის გარეშე გააკეთოს ზეპირი ან წერილობითი განცხადება საკუთარი თავის დასაცავად; და

(i) არ დაეკისროს საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი ან გაქარწყლების ვალდებულება.

2. ინფორმაციის გახსნის სხვა შემთხვევის გარდა, რომელიც გათვალისწინებულია ამ წესდებით, პროკურორი შეძლებისდაგვარად სწრაფად წარუდგენს დაცვას მის განკარგულებაში ან მისი კონტროლის ქვეშ არსებულ მტკიცებულებებს, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებენ ან უნდა ადასტურებდნენ ბრალდებულის უდანაშაულობას ან ბრალდებულის ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებებს ან შეიძლება გავლენა მოახდინონ ბრალდების მტკიცებულებათა სარწმუნოებაზე. ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვი წყდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 68. მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა და მათი მონაწილეობა სამართალწარმოებაში

1. სასამართლო იღებს სათანადო ზომებს, რათა დაიცვას მსხვერპლთა და დაზარალებულთა უსაფრთხოება, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ამ ფუნქციის განხორციელებისას სასამართლო მხედველობაში იღებს საქმესთან დაკავშირებულ ყველა ფაქტორს, მათ შორის ასაკს, სქესობრივ ფაქტორს, როგორც ეს განსაზღვრულია მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით და ჯანმრთელობის მდგომარეობას, დანაშაულის ხასიათს, განსაკუთრებით, როდესაც დანაშაული შეიცავს სექსუალურ ძალადობას, სქესობრივ ძალადობას ან ძალადობას ბავშვების წინააღმდეგ, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ გარემოებებით. პროკურორი იღებს ამგვარ ზომებს განსაკუთრებით აღნიშნული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას. ეს ღონისძიებები ზიანს არ უნდა

აყენებდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ბრალდებულის უფლებებს და სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო წარმოების პრინციპებს.

2. 67-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო განხილვის პრინციპის გამონაკლისის სახით, სასამართლო პალატებს შეუძლიათ დაზარალებულთა და მოწმეთა ან ბრალდებულის დაცვის მიზნით, სასამართლო წარმოების ნებისმიერი ნაწილი წარმართონ ინ ცამერა და დართონ მტკიცებულების წარდგენის ნება ელექტრონული ან სხვა სპეციალური საშუალებით. კერძოდ, ასეთი ღონისძიებები გატარდება გენდერული ძალადობის მსხვერპლის ან იმ ბავშვის შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს დაზარალებულს ან მოწმეს, თუ სხვაგვარად არ მიუთითებს სასამართლო, ყველა გარემოების, განსაკუთრებით, დაზარალებულის ან მოწმის მოსაზრებათა გათვალისწინებით.

3. თუ დაზარალებულთა პირად ინტერესებს ადგება ზიანი, სასამართლო ნებას რთავს, მათი მოსაზრებები და ინტერესები წარმოდგენილი და განხილული იქნას სასამართლო წარმოების იმ ეტაპზე, რომელზეც სასამართლო საჭიროდ ჩათვლის და ისეთი ფორმით, რაც ზიანს არ აყენებს ან არ ეწინააღმდეგება ბრალდებულის უფლებებსა და სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლო წარმოებას. თუ სასამართლო მისაღებად ჩათვლის, ამგვარი მოსაზრებები და ინტერესები შეიძლება წარმოდგენილი იქნას დაზარალებულთა იურიდიული წარმომადგენლის მიერ, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

4. დაზარალებულთა და მოწმეთა ქვეგანყოფილებას შეუძლია პროკურორსა და სასამართლოს რჩევები მიაწოდოს დაცვის ზომების, უსაფრთხოების ღონისძიებების, კონსულტაციის და დახმარების გაწევის თაობაზე, როგორც ეს მითითებულია 43-ე მუხლის მე-6 პუნქტში.

5. თუ ამ წესდების შესაბამისად მტკიცებულების ან ინფორმაციის გახსნა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოწმის ან მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებას, პროკურორს შეუძლია, სასამართლო წარმოების დაწყებამდე ჩატარებული ნებისმიერი სამუშაოს მიზნებისთვის, არ გამოააშკარავოს ასეთი მტკიცებულება ან ინფორმაცია ან მის ნაცვლად წარმოადგინოს მისი რეზიუმე. ამგვარი ზომები ტარდება ისეთი ფორმით, რაც ზიანს არ აყენებს ან არ ეწინააღმდეგება ბრალდებულის უფლებებსა და სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლო წარმოებას.

6. სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს განცხადება იმ აუცილებელი ზომების შესახებ, რომლებიც უნდა იქნას მიღებული მისი ქვეშევრდომების ან აგენტების დაცვასა და კონფიდენციალური ან დელიკატურ ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით.

მუხლი 69. მტკიცებულება

1. ჩვენების მიცემამდე ყოველი მოწმე პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად ვალდებულია იღებს წარმოადგინოს ნამდვილი მტკიცებულება.

2. სასამართლო წარმოებისას ჩვენება მიცემული უნდა იქნას პირადად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი 68-ე მუხლითა და პროცედურისა და მტკიცების წესებით. სასამართლოს

ასევე შეუძლია დართოს მოწმის ჩვენების მიცემის ნება ვივა ვოცე (ზეპირი) ვიდეო ან აუდიო ტექნოლოგიის გამოყენებით გაკეთებული ჩანაწერის სახით, აგრეთვე დოკუმენტების ან წერილობითი ასლების წარდგენის ნება, ამ წესდების გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად. ეს ღონისძიებები ზიანს არ უნდა აყენებდეს ან ეწინააღმდეგებოდეს ბრალდებულის უფლებებს.

3. მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულება 64-ე მუხლის შესაბამისად. სასამართლო უფლებამოსილია, მოითხოვოს ყველა იმ მტკიცებულების წარდგენა, რომელსაც ჩათვლის საჭიროდ ჭეშმარიტების დასადგენად.

4. სასამართლოს შეუძლია პროცედურისა და მტკიცებულების წესების შესაბამისად გამოიტანოს დადგენილება ნებისმიერი მტკიცებულების საქმესთან მართებულობის ან დასაშვებობის შესახებ; დადგენილების გამოტანისას მხედველობაში მიიღება მტკიცებულების ძალა და ნებისმიერი ზიანი, რომელიც შეიძლება ამ მტკიცებულებამ მიაყენოს სამართლიან სასამართლო წარმოებას ან მოწმის ჩვენების სამართლიან შეფასებას.

5. სასამართლომ პატივი უნდა სცეს და დაიცვას კონფიდენციალობასთან დაკავშირებული პრივილეგიები, რაც გათვალისწინებულია პროცედურისა და მტკიცების წესებით.

6. სასამართლომ არ უნდა მოითხოვოს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების მტკიცება, მაგრამ საპროცესო წესით უნდა აღნიშნოს ისინი.

7. ამ წესდების ან საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ითვლება დაუშვებლად, თუ:

(a) დარღვევა წარმოშობს არსებით ეჭვს მტკიცებულების სარწმუნოების თაობაზე; ან

(b) მტკიცებულების დაშვება პირდაპირ ეწინააღმდეგება და სერიოზულ ზიანს მიაყენებს სამართალწარმოების კეთილსინდისიერებას.

8. სახელმწიფოს მიერ შეგროვებული მტკიცებულების საქმესთან მართებულობის ან დასაშვებობის დადგენისას სასამართლომ არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

მუხლი 70. მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დარღვევები

1. სასამართლო ახორციელებს იურისდიქციას ქვემოთ ჩამოთვლილ დანაშაულებზე, რომლებიც მიმართულია მართლმსაჯულების განხორციელების წინააღმდეგ და ჩადენილია განზრახ:

(a) ცრუ ჩვენების მიცემა იმის მიერ, ვისაც ეკისრებოდა სიმართლის თქმის ვალდებულება 69-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად;

(b) მხარის მიერ წინასწარი შეცნობით ცრუ ან ყალბი მტკიცებულების წარდგენა;

(c) მოწმეზე კორუფციული ზეგავლენის მოხდენა, მოწმის დასწრებისთვის ან ჩვენების მიცემისთვის ხელის შეშლა ან დაბრკოლების შექმნა, მოწმეზე შურისგება მის მიერ ჩვენების მიცემის გამო ან მტკიცებულების განადგურება ანდა მისი შეგროვებისთვის ხელის შეშლა ან დაბრკოლების შექმნა;

(d) სასამართლოს თანამდებობის პირისთვის ხელის შეშლა, მისი დაშინება ან მასზე კორუფციული ზეგავლენის მოხდენა, ამ თანამდებობის პირის იძულების ან გადაბირების მიზნით, რათა მან არ შეასრულოს ან არასათანადოდ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობანი;

(e) სასამართლოს თანამდებობის პირზე შურისგება ამ ან სხვა თანამდებობის პირის მიერ მოვალეობის შესრულების გამო;

(f) სასამართლოს თანამდებობის პირის, როგორც სასამართლოს მოხელის, მიერ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ქრთამის გამოძალვა ან ქრთამის აღება.

2. ამ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სასამართლოს მიერ იურისდიქციის განხორციელების პრინციპები და პროცედურები განსაზღვრულია პროცედურისა და მტკიცების წესებით. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე საქმეთა წარმოების სფეროში სასამართლოსთან საერთაშორისო თანამშრომლობის პირობები რეგულირდება შესაბამისი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.

3. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ვადით არაუმეტეს ხუთი წლისა ან ჯარიმა თანახმად პროცედურისა და მტკიცების წესებისა, ან ორივე ერთად.

4. (a) თავის სისხლის სამართლის კანონმდებლობას, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს საგამომიებო ან სასამართლო წარმოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის, ყოველი მონაწილე სახელმწიფო გაავრცელებს ამ მუხლში აღნიშნულ მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილი იქნა მის ტერიტორიაზე ან მის მოქალაქეთა მიერ;

(b) თუ სასამართლო საჭიროდ ჩათვლის, მისი თხოვნით სახელმწიფომ საქმე უნდა გადასცეს თავის კომპეტენტურ ორგანოებს სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. აღნიშნული ორგანოები გულისხმობენ ეკიდებიან ამგვარი საქმეების განხილვას და გამოყოფენ საკმარის რესურსებს მათი ეფექტური წარმართვისთვის.

მუხლი 71. სანქციები სასამართლოს უპატივცემულობისთვის

1. სასამართლოში გამოცხადებულ პირებს, რომელთაც ჩაიდინეს სასამართლოს უპატივცემულობა, მათ შორის სასამართლო განხილვისთვის ხელის შეშლა ან სასამართლო

მითითებებისადმი შეგნებულად დაუმორჩილებლობა, სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს სანქცია ადმინისტრაციული ზომების სახით, გარდა თავისუფლების აღკვეთისა, როგორცაა სასამართლო სხდომის დარბაზიდან დროებით ან მუდმივად გაძევება, ჯარიმა ან პროცედურისა და მტკიცების წესებით გათვალისწინებული სხვა მსგავსი ზომები.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზომების გამოყენების წესი განისაზღვრება პროცედურისა და მტკიცების წესებით.

მუხლი 72. სახელმწიფო უშიშროების შემცველი ინფორმაციის დაცვა

1. ეს მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს ინფორმაციის ან დოკუმენტების გახსნა, ამ სახელმწიფოს მოსაზრებით, ზიანს მიაყენებს მისი სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს. ასეთად ჩაითვლება ასევე ის შემთხვევები, რომლებიც ხვდება შემდეგი მუხლების რეგულირების სფეროში: მუხლი 56 პუნქტები 2 და 3, მუხლი 61 პუნქტი 3, მუხლი 64 პუნქტი 3, მუხლი 67 პუნქტი 2, მუხლი 68 პუნქტი 6, მუხლი 87 პუნქტი 6 და მუხლი 93; ასევე ის შემთხვევები, რომლებიც წარმოიშობა საქმის წარმოების ნებისმიერ სხვა ეტაპზე, როდესაც ასეთი გახსნის საკითხი შეიძლება წარმოიშვას.

2. ეს მუხლი ასევე გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ პირი უარს აცხადებს მოთხოვნილი ინფორმაციის ან მტკიცებულების მიცემაზე, ან გადასცემს საკითხს სახელმწიფოს იმ მოტივით, რომ გახსნა ზიანს მიაყენებს ამ სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებს და დაინტერესებული სახელმწიფო დაადასტურებს, რომ, მისი მოსაზრებით, გახსნა ზიანს მიაყენებს მისი ეროვნული უშიშროების ინტერესებს.

3. ამ მუხლში არაფერი აყენებს ზიანს 54-ე მუხლის 3 (e) და (f) გათვალისწინებულ კონფიდენციალობის მოთხოვნებს ან 73-ე მუხლის გამოყენებას.

4. თუ სახელმწიფო შეიტყობს, რომ საქმის წარმოების რომელიმე ეტაპზე გახსნის პროცესშია ან შეიძლება გაიხსნას ამ სახელმწიფოს ინფორმაცია ან დოკუმენტები, რაც, მისი მოსაზრებით, ზიანს მიაყენებს მისი სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს, ამ სახელმწიფოს აქვს ჩარევის უფლება იმ მიზნით, რომ მიაღწიოს საკითხის გადაწყვეტას ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.

5. თუ სახელმწიფოს მოსაზრებით ინფორმაციის გახსნა ზიანს მიაყენებს მისი სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს, ამ სახელმწიფომ პროკურორთან, დაცვასთან ან წინასწარი წარმოების პალატასთან ანდა სასამართლო წარმოების პალატასთან თანამშრომლობით, შესაბამისად კონკრეტული საქმის მიხედვით, უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა საკითხის გადაჭრისთვის თანამშრომლობის გზით. ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს:

(a) მოთხოვნის შეცვლას ან დაზუსტებას;

(b) სასამართლოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ან მტკიცებულების საქმეში დაშვებადობის საკითხის დადგენას, ან იმის დადგენას, შეიძლება თუ არა მოპოვებული იქნას

ან თუნდაც უკვე მოპოვებულია თუ არა, საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულება, შესაბამისი სახელმწიფოს გარდა სხვა წყაროს მეშვეობით.

(c) ინფორმაციის ან მტკიცებულების მოპოვებას სხვა წყაროს მეშვეობით ან სხვა ფორმით; ან

(d) შეთანხმების მიღწევას დახმარების გაწევის პირობებზე, მათ შორის, გარდა სხვა საკითხებისა, ინფორმაციის მიწოდება რეზიუმეს ან გადამუშავებული სახით, გახსნასთან დაკავშირებით შეზღუდვების დაწესება, საქმის წარმოება ინ ცამერა ან ეხ პარტე ან ამ წესდებით ან წესებით დაშვებული სხვა დაცვითი ზომები.

6. თანამშრომლობის გზით საკითხის გადაჭრისთვის ყველა გონივრული ზომის მიღების შემდეგ, თუ სახელმწიფო თვლის, რომ არ არსებობს არავითარი საშუალება ან პირობა იმისათვის, რომ ინფორმაცია ან დოკუმენტები მოპოვებული ან გახსნილი იქნას მისი სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისთვის ზიანის მიუყენებლად, მან უნდა აცნობოს პროკურორს ან სასამართლოს მის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული მიზეზები, თუ მიზეზების კონკრეტული ასახვა თავად არ გამოიწვევს ზიანის მიყენებას ამ სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებისთვის.

7. თუ ამის შემდგომ სასამართლო დაადგენს, რომ მტკიცებულებას აქვს საქმესთან შეხება, და საჭიროა ბრალდებულის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის დასადგენად, სასამართლოს შეუძლია მიიღოს შემდეგი ზომები:

(a) თუ ინფორმაციის ან დოკუმენტის გახსნის შესახებ თხოვნა გაკეთდა მე-9 ნაწილით გათვალისწინებული თანამშრომლობის თხოვნის ან მე-2 პუნქტში აღნიშნულ გარემოებათა შესაბამისად, და სახელმწიფომ წარმოადგინა 93-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უარის საფუძველი:

ი. სასამართლოს შეუძლია, მე-7 (a)(ii) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რაიმე დასკვნის გამოტანამდე მოითხოვოს შემდგომი კონსულტაციები სახელმწიფოს არგუმენტების განხილვის მიზნით, რაც შეიძლება საქმის გარემოებათა მიხედვით, გულისხმობდეს განხილვას ინ ცამერა და ეხ პარტე.

იი. თუ სასამართლო დაასკვნის, რომ მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო, წარმოადგენს რა 93-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უარის საფუძველს, არ მოქმედებს ამ წესდებით დადგენილ ვალდებულებათა შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველების მითითებით ეს საკითხი გადასცეს 87-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად; და

იიი. ბრალდებულთან დაკავშირებით სამართალწარმოების პროცესში, სასამართლოს ფაქტის არსებობის ან არარსებობის თაობაზე შეუძლია გამოიტანოს ისეთი დასკვნა, როგორც გამართლებული იქნება მოცემულ გარემოებებში; ან

(b) ყველა სხვა სახის გარემოებისას:

ი. გაცეს ბრძანება გახსნის შესახებ; ან

იი. იმ ნაწილთან დაკავშირებით, რაზედაც არ გაცემულა გახსნის შესახებ ბრძანება, ბრალდებულთან დაკავშირებულ სამართალწარმოების პროცესში, ფაქტის არსებობის ან არარსებობის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს ისეთი დასკვნა, როგორც გამართლებული იქნება მოცემულ გარემოებებში.

მუხლი 73. მესამე მხარის ინფორმაცია ან დოკუმენტები

თუ სასამართლო მონაწილე სახელმწიფოს სთხოვს, მიაწოდოს მისი გამგებლობის, განკარგულების ან კონტროლის ქვეშ არსებული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფომ, მთავრობათაშორისმა ორგანიზაციამ ან საერთაშორისო ორგანიზაციამ გაუხსნა მას კონფიდენციალურად, ეს სახელმწიფო სთხოვს მიმწოდებელს ამ დოკუმენტის ან ინფორმაციის გახსნის თანხმობას. თუ მიმწოდებელი მონაწილე სახელმწიფოა, ის უნდა დათანხმდეს ინფორმაციის ან დოკუმენტის გახსნაზე ან აიღოს გახსნის საკითხის სასამართლოსთან ერთად გადაჭრის ვალდებულება, 72-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. თუ მიმწოდებელი არ არის მონაწილე სახელმწიფო და უარს აცხადებს გახსნის თანხმობის მიცემაზე, შესაბამისმა სახელმწიფომ სასამართლოს უნდა აცნობოს, რომ მას არ შეუძლია ინფორმაციის ან დოკუმენტის მიწოდება მასზე მანამდე დაკისრებული კონფიდენციალობის ვალდებულების გამო.

მუხლი 74. მოთხოვნები გადაწყვეტილების მიღებისთვის

1. სასამართლო წარმოების პალატის ყველა მოსამართლე ესწრება სასამართლო წარმოების ყველა ეტაპს და თათბირს. პრეზიდიუმს შეუძლია, საქმეთა თანმიმდევრული განხილვის პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებლობის მიხედვით დანიშნოს შემცველი მოსამართლე, რომელიც დაესწრება სასამართლო წარმოების ყოველ ეტაპს და შეცვლის სასამართლო წარმოების პალატის წევრს, თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია დასწრების გაგრძელება.

2. სასამართლო წარმოები ს პალატის გადაწყვეტილება მიიღება მის მიერ მტკიცებულებებისა და მთელი საქმის წარმოების შეფასების საფუძველზე. გადაწყვეტილება არ უნდა სცილდებოდეს ბრალდებების შემცველ დოკუმენტში ან ამ დოკუმენტის შესწორებებში ასახულ ფაქტებისა და გარემოებების ფარგლებს. სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს მხოლოდ იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც მის წინაშე წარმოდგენილი და განხილული იქნა სამართალწარმოების პროცესში.

3. მოსამართლეები უნდა ეცადონ, გადაწყვეტილების გამოტანისას მიღწეულ იქნას ერთსულოვნება, რომლის არარსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ.

4. სასამართლო წარმოების პალატის თათბირები რჩება ფარული.

5. გადაწყვეტილება მიიღება წერილობითი ფორმით და მოიცავს სასამართლო წარმოების პალატის სრულ და დასაბუთებულ დადგენილებას მტკიცებულებისა და დასკვნების თაობაზე. სასამართლო წარმოების პალატას გამოაქვს ერთი გადაწყვეტილება. ერთსულოვნების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს უმრავლესობისა და უმცირესობის მოსაზრებებს. გადაწყვეტილება ან მისი რეზიუმე ცხადდება სასამართლოს ღია სხდომაზე.

მუხლი 75. დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურება

1. სასამართლო აწესებს პრინციპებს დაზარალებულთათვის ან მათთან მიმართებით ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც შედგება რესტიტუციის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციისაგან. ამ საფუძველზე თავის გადაწყვეტილებაში სასამართლოს შეუძლია, წარდგენილი მოთხოვნის ან გამონაკლის შემთხვევებში საკუთარი ინიციატივით, დაადგინოს დაზარალებულთათვის ან მათთან დაკავშირებით მიყენებული ზარალის, დანაკარგის ან ზიანის ფარგლები და მოცულობა და მიუთითოს იმ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც მოქმედებს.

2. სასამართლოს შეუძლია დადგენილებით უშუალოდ მსჯავრდებულს დააკისროს დაზარალებულთათვის ან მათთან დაკავშირებით შესაბამისი ზიანის ანაზღაურება, მათ შორის, რესტიტუციის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის სახით. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დადგენილება იმის თაობაზე, რომ ზიანის ანაზღაურება მოხდეს 79-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნობრივი ფონდიდან.

3. ამ მუხლის შესაბამისად დადგენილების გამოტანამდე, სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს მსჯავრდებული, დაზარალებულნი, სხვა დაინტერესებული პირები და დაინტერესებული სახელმწიფოები და მხედველობაში უნდა მიიღოს წარდგინებები.

4. ამ მუხლის შესაბამისად თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სასამართლოს, სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩადენისთვის პირის დამნაშავედ ცნობის შემდეგ, შეუძლია დაადგინოს, არის თუ არა საჭირო 93-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღება ამ მუხლის შესაბამისად მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისთვის.

5. მონაწილე სახელმწიფო ამ მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას შეასრულებს ისე, რომ 109-ე მუხლის დებულებები გამოიყენებოდეს ამ მუხლის მიმართ.

6. ამ მუხლში არაფერი შეიძლება განიმარტოს, როგორც ზიანის მიყენება დაზარალებულთა უფლებებისთვის, რომლებიც ეროვნული ან საერთაშორისო სამართლითაა აღიარებული.

მუხლი 76. სასჯელის დანიშვნა

1. დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, სასამართლო წარმოების პალატა განიხილავს შესაბამისი სასჯელის დანიშვნის საკითხს და მხედველობაში იღებს სასამართლო

წარმოებისას წარმოდგენილ მტკიცებულებებს და სხვა წარდგინებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ სასჯელის დანიშვნისთვის.

2. 65-ე მუხლის გამოყენების შემთხვევის გარდა, სასამართლო წარმოების დასრულებამდე, სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია საკუთარი ინიციატივით და პროკურორის ან ბრალდებულის მოთხოვნით ვალდებულია ჩაატაროს დამატებითი სხდომები ნებისმიერ დამატებით მტკიცებულების ან წარდგინების განსახილველად, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ სასჯელის დანიშვნისთვის, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

3. მე-2 პუნქტის გამოყენების შემთხვევაში, 75-ე მუხლის საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი წარდგინება განიხილება მე-2 პუნქტში აღნიშნულ დამატებით სხდომაზე და, თუ საჭიროა, რომელიმე ახალ სხდომაზე.

4. სასჯელი ცხადდება საჯაროდ და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ბრალდებულის დასწრებით.

ნაწილი 7. სასჯელები

მუხლი 77 გამოყენებადი სასჯელები

1. 110-ე მუხლის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია ამ წესდებას მე-5 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირს შეუფარდოს შემდეგი სასჯელები:

(a) თავისუფლების აღკვეთა წლების განსაზღვრული რაოდენობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს; ან

(b) უვადო თავისუფლების აღკვეთა, როდესაც ეს გამართლებულია დანაშაულის უკიდურესი სიმძიმით და დამნაშავის ინდივიდუალური გარემოებებით.

2. თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს:

(a) ჯარიმა, რომლის ზომის დადგენის კრიტერიუმები განსაზღვრულია პროცედურისა და მტკიცების წესებით;

(b) ჩადენილი დანაშაულიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მიღებული მოგების, ქონების ან აქტივების კონფისკაცია, ბონა ფიდე მესამე მონაწილეთა უფლებათა დაცვით.

მუხლი 78 სასჯელის განსაზღვრა

1. სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად, მხედველობაში მიიღებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა დანაშაულის სიმძიმე და დამნაშავის პირადი გარემოებები.

2. თავისუფლების აღკვეთის სასჯელის განსაზღვრისას, სასამართლო მას ჩაუთვლის სასამართლოს ბრძანების საფუძველზე პატიმრობაში ყოფნის დროს. სასამართლოს შეუძლია ჩათვალოს დანაშაულის საფუძველის შემადგენელ ქმედებასთან დაკავშირებით პატიმრობაში ყოფნის ნებისმიერი სხვა დრო.

3. პირის რამოდენიმე დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს სასჯელს თითოეული დანაშაულისათვის და ერთობლივ სასჯელს, რომლითაც განსაზღვრულია თავისუფლების აღკვეთის მთლიანი ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს დანიშნულ უმაღლეს ინდივიდუალურ სასჯელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 30 წლით თავისუფლების აღკვეთის ან 77-ე მუხლის 1 (b) პუნქტის შესაბამისად დანიშნულ უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელს.

მუხლი 79 მიზნობრივი ფონდი

1. მიზნობრივი ფონდი დაარსდება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის გადაწყვეტილებით, სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებისაგან დაზარალებულთა და მათი ოჯახების სასარგებლოდ.

2. სასამართლოს შეუძლია გასცეს განკარგულება ჯარიმების ან კონფისკაციის გზით შეგროვებული ფულადი თანხების და სხვა ქონების მიზნობრივი ფონდისათვის გადაცემის თაობაზე.

3. მიზნობრივი ფონდის მართვა წარმოებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 80 შიდასახელმწიფოებრივ სასჯელთა და ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებისათვის ზიანის მიყენების დაუშვებლობა

არაფერი წესდების ამ ნაწილში ზიანს არ აყენებს როგორც სახელმწიფოთა ეროვნული სამართლით გათვალისწინებული სასჯელების გამოყენებას, ასევე სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას, რომელიც არ ითვალისწინებს ამ ნაწილში განსაზღვრულ სასჯელებს.

ნაწილი 8. გასაჩივრება და გადასინჯვა

მუხლი 81 გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის ან სასჯელის გასაჩივრება

1. 74-ე მუხლის თანახმად გამოტანილი განაჩენი შეიძლება სააპელაციო წესით გასაჩივრდეს პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად შემდეგი სახით:

(a) პროკურორს შეუძლია აპელაცია შეიტანოს შემდეგი საფუძვლებით:

(i) პროცესუალური შეცდომა,

(ii) შეცდომა ფაქტში,

(iii) შეცდომა კანონში;

(b) დამნაშავედ ცნობილ პირს ან მისი სახელით მოქმედ პროკურორს შეუძლია აპელაცია შეიტანოს შემდეგი საფუძვლებით:

(i) პროცესუალური შეცდომა,

(ii) შეცდომა ფაქტში,

(iii) შეცდომა კანონში, ან

(iv) სხვა ნებისმიერი საფუძვლით, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლო წარმოების ან განაჩენის სამართლიანობას ან სანდოობას.

2. (a) სასჯელი, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად, შეიძლება სააპელაციო წესით გასაჩივრებულ იქნეს პროკურორის ან დამნაშავედ ცნობილი პირის მიერ დანაშაულისა და განაჩენის არაადეკვატურობის საფუძვლით;

(b) თუ განაჩენის გასაჩივრების განხილვისას სასამართლო ჩათვლის, რომ არსებობს დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების საფუძველი, მას შეუძლია შესთავაზოს პროკურორს და დამნაშავედ ცნობილ პირს, წარადგინონ 81-ე მუხლის პირველი პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები, და შეუძლია გამოიტანოს დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილება 83-ე მუხლის თანახმად;

(c) იგივე პროცედურა გამოიყენება, როდესაც, მე-2(a) პუნქტის შესაბამისად განხილვისას, სასამართლო ჩათვლის, რომ არსებობს სასჯელის შემცირების საფუძვლები.

3. (a) თუ სასამართლო პალატა სხვაგვარად არ მიუთითებს, დამნაშავედ ცნობილი პირი პატიმრობაში რჩება აპელაციის განხილვამდე;

(b) როდესაც დამნაშავედ ცნობილი პირის პატიმრობაში ყოფნის დრო აღემატება დანიშნული თავისუფლების აღკვეთის სასჯელს, პირი უნდა გათავისუფლდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროკურორს ასევე შეაქვს აპელაცია და გათავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ქვემოთმოყვანილი (c) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

(c) გამართლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, შემდეგი პირობებით:

(i) განსაკუთრებულ გარემოებებში, და, სხვათა ინტერ ალია, გაქცევის კონკრეტული საფრთხის, წაყენებული ბრალდების სერიოზულობისა და აპელაციის წარმატების შესაძლებლობის გათვალისწინებით სასამართლო პალატას, პროკურორის მოთხოვნით, შეუძლია გაახანგრძლივოს პირის დაკავება აპელაციის განხილვამდე,

(ii) (c)(i) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

4. მე-3 პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტების დებულებების გათვალისწინებით, განაჩენისა და სასჯელის აღსრულება უნდა იქნეს შეჩერებული გასაჩივრებაზე გათვალისწინებული პერიოდის და სააპელაციო განხილვის დროის განმავლობაში.

მუხლი 82 სხვა გადაწყვეტილებათა გასაჩივრება

1. ორივე მონაწილეს, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად, შეუძლია შემდეგი გადაწყვეტილებების გასაჩივრება:

(a) გადაწყვეტილება იურისდიქციისა და დაშვებადობის შესახებ;

(b) გადაწყვეტილება იმ პირის გათავისუფლების ან გათავისუფლებაზე უარის თქმის თაობაზე, რომელიც გამოძიების ქვეშ იმყოფება ან რომლის მიმართაც აღძრულია სისხლისსამართლებრივი დევნა;

(c) 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გამოტანილი წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით მოქმედების შესახებ;

(d) გადაწყვეტილება იმ საკითხის თაობაზე, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სასამართლო წარმოების სამართლიან და დაუყოვნებელ ჩატარებაზე ან შედეგზე, ან რომელთანაც დაკავშირებით სააპელაციო პალატის დაუყოვნებელ გადაწყვეტილებას შეუძლია, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის ან სასამართლო პალატის აზრით, ხელი შეუწყოს საქმის განხილვის არსებით წინსვლას.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ 57-ე მუხლის მე-3(d) პუნქტის თანახმად გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული სახელმწიფოს ან პროკურორის მიერ, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის ნებართვით. აპელაცია განიხილება დაჩქარებული წესით.

3. გასაჩივრებას თავისთავად არა აქვს სასამართლო განხილვის შემაჩერებელი ძალა სააპელაციო პალატის დადგენილების გარეშე, რომელიც გაიცემა მოთხოვნის საფუძველზე, პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

4. დაზარალებულთა კანონიერ წარმომადგენელს, მსჯავრდებულს ან ქონების ბონა ფიდე მესაკუთრეს, რომელთა ინტერესებს ზიანი მიადგათ 73-ე მუხლის თანახმად გამოტანილი გადაწყვეტილების შედეგად, შეუძლიათ გაასაჩივრონ დადგენილება მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, როგორც გათვალისწინებულია პროცედურისა და მტკიცების წესებით.

მუხლი 83 სააპელაციო სასამართლო სხდომები

1. 81-ე და ამ მუხლის შესაბამისად სასამართლო წარმოების მიზნებისათვის, სააპელაციო პალატას ენიჭება სასამართლო პალატის ყველა უფლებამოსილება.

2. თუ სააპელაციო პალატა დაასკვნის, რომ გასაჩივრებული სასამართლო განხილვა არასამართლიანი იყო, იმ გაგებით, რომ მან ეჭვქვეშ დააყენა გადაწყვეტილების ან განაჩენის სანდობა, ან რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან განაჩენი წარმოადგენდა ფაქტში, კანონში ან პროცესუალური შეცდომის შედეგს, მას შეუძლია:

(a) გააუქმოს ან შეცვალოს გადაწყვეტილება ან განაჩენი;

(b) დანიშნოს ახალი სასამართლო განხილვა სხვა სასამართლო პალატის წინაშე. ამ მიზნებისათვის, სააპელაციო პალატას შეუძლია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული სადაო საკითხი დაუბრუნოს თავდაპირველ სასამართლო პალატას, მისი გადაწყვეტის და შემდგომ სააპელაციო პალატისადმი შესაბამისი დასკვნის წარდგენის მიზნით, ან თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულება სადაო საკითხის გადასაწყვეტად. როდესაც გადაწყვეტილება ან განაჩენი გასაჩივრებული არის მხოლოდ მსჯავრდებულის ან მისი სახელით მოქმედი პროკურორის მიერ, არ შეიძლება მასში შესწორება შეტანილ იქნას ამ პირის საზიანოდ.

3. თუ განაჩენის გასაჩივრების განხილვისას სააპელაციო პალატა დაასკვნის, რომ განაჩენი დანაშაულთან არაადეკვატურია, მას შეუძლია შეცვალოს განაჩენი მე-7 ნაწილის შესაბამისად.

4. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მიიღება მოსამართლეთა ხმების უმრავლესობის მიერ და გამოცხადებულ უნდა იქნეს ღია სასამართლო სხდომაზე. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია მისი გამოტანის საფუძვლები. როდესაც ერთსულოვნება ვერ იქნება მიღწეული, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს უმრავლესობისა და უმცირესობის შეხედულებებს, მაგრამ ყოველ მოსამართლეს შეუძლია გამოთქვას ცალკეული ან განსხვავებული მოსაზრება სამართლებრივ საკითხებზე.

5. სააპელაციო პალატას შეუძლია თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადოს გამართლებული ან დამნაშავედ ცნობილი პირის დასწრების გარეშე.

მუხლი 84 გამამტყუნებელი განაჩენის ან სასჯელის გადასინჯვა

1. დამნაშავედ ცნობილი პირის ან, მისი გარდაცვალების შემდეგ, მეუღლეს, შვილებს, მშობლებს ან პირს, რომელიც ბრალდებულის გარდაცვალების დროს ცოცხალი იყო და რომელმაც ბრალდებულისგან მიიღო აშკარად გამოხატული წერილობითი მითითება ამგვარი სარჩელის შეტანაზე, შეუძლიათ მიმართონ სააპელაციო პალატას გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების ან სასჯელის გადასინჯვის მოთხოვნით, შემდეგი საფუძვლებით:

(a) აღმოჩენილ იქნა ახალი მტკიცებულებები, რომლებიც:

(i) არ იყო ხელმისაწვდომი სასამართლო განხილვის დროს, და პასუხისმგებლობა ამგვარი ხელმიუწვდომლობისათვის არ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განმცხადებელ მონაწილეს დაეკისროს; და

(ii) არის საკმარისი მნიშვნელოვანი, ვინაიდან, სასამართლო განხილვაზე მათი წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანდა სხვაგვარ განაჩენს;

(b) დადგინდა, რომ გადაწყვეტი მტკიცებულება, რომელიც მხედველობაში იქნა მიღებული სასამართლო განხილვის დროს და რომლის საფუძველზეც იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, იყო მცდარი, გაყალბებული ან მოტყუების მიზნით შექმნილი;

(c) თუ ერთმა ან რამოდენიმე მოსამართლემ, რომლებიც მონაწილეობდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაში ან ბრალდების დადასტურებაში, ამ საქმის განხილვის დროს ჩაიდინა სერიოზული გადაცდომა ან თავისი ვალდებულებების სერიოზული დარღვევა, რომლის სიმძიმე საკმარისია, რათა საფუძველად დაედოს ამ მოსამართლის ან მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლებას, 46-ე მუხლის თანახმად.

4. სააპელაციო პალატას შეუძლია უარყოს განცხადება მისი დაუსაბუთებლობის გამო. თუკი ის გადაწყვეტს, რომ განცხადება დასაბუთებულია, მას შესაბამისად შეუძლია:

(a) განმეორებით მოიწვიოს თავდაპირველი სასამართლო პალატა;

(b) შეადგინოს ახალი სასამართლო პალატა; ან

(c) დაიტოვოს იურისდიქცია ამ საქმის მიმართ, იმ მიზნით რათა, პროცედურისა და მტკიცების წესებში მოცემული წესით მონაწილეთა მოსმენის შემდეგ, მივიდეს გადაწყვეტილებამდე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე.

მუხლი 85 კომპენსაცია დაპატიმრებული ან დამნაშავედ ცნობილი პირის მიმართ

1. ნებისმიერ პირს, რომელიც გახდა უკანონო დაპატიმრების ან თავისუფლების აღკვეთის მსხვერპლი, გააჩნია სასარჩელო ძალის მქონე კომპენსაციის უფლება.

2. როდესაც პირი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დამნაშავედ იქნა ცნობილი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, და თუ შემდგომში მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმდა იმ საფუძველზე, რომ ახალი ან ახლად აღმოჩენილი ფაქტი სარწმუნოდ მიუთითებს სასამართლო შეცდომის არსებობაზე, პირს, რომელიც სასჯელს იხდიდა ამგვარი გამამტყუნებელი განაჩენის შედეგად, მიეცემა კანონიერი კომპენსაცია, თუ არ დამტკიცდა, რომ თავის დროზე უცნობი ფაქტის აღმოუჩენლობა მთლიანად ან ნაწილობრივ ამ პირის ბრალით მოხდა.

3. განსაკუთრებულ გარემოებებში, როდესაც სასამართლო დაადგენს სარწმუნო ფაქტებს, რომლებიც მიუთითებენ სერიოზული და აშკარა სასამართლო შეცდომის არსებობას, მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ, პროცედურისა და მტკიცების წესებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კომპენსაცია დაუნიშნოს პირს, რომელიც პატიმრობიდან გათავისუფლებულ იქნა საბოლოო გამამართლებელი გადაწყვეტილების საფუძველზე ან ამ მიზეზით სასამართლო განხილვის დასრულების შედეგად.

ნაწილი 9. საერთაშორისო თანამშრომლობა და სამართლებრივი დახმარება

მუხლი 86 თანამშრომლობის ზოგადი ვალდებულება

მონაწილე სახელმწიფოები, ამ წესდების დებულებების შესაბამისად, ყოველმხრივ თანამშრომლობენ სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების გამოძიების ჩატარების და სისხლისსამართლებრივი წესით დევნის პროცესებში.

მუხლი 87 თანამშრომლობის მოთხოვნა: ზოგადი დებულებები

1. (a) სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება თანამშრომლობის მოთხოვნით მიმართოს მონაწილე სახელმწიფოს. ამგვარი მოთხოვნები გადაიცემა დიპლომატური არხებით ან რომელიმე სხვა სათანადო არხით, რომელიც განსაზღვრულია ყოველი მონაწილე სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთებისას.

ამგვარი განსაზღვრების შემდგომი ცვლილებები მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

(b) საჭიროების შემთხვევაში, (a) ქვეპუნქტის დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მოთხოვნები შეიძლება გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციის ან სხვა სათანადო რეგიონალური ორგანიზაციის მეშვეობით.

2. მოთხოვნები თანამშრომლობის შესახებ და მოთხოვნის მხარდამჭერი ყველა დოკუმენტი შედგენილ უნდა იქნას შესაბამისი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან სასამართლოს რომელიმე სამუშაო ენაზე, ამ სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთებისას გაკეთებული არჩევნის შესაბამისად, ან მას თან უნდა ერთვოდეს ერთ-ერთ ამგვარ ენაზე გაკეთებული თარგმანი.

ამგვარი არჩევნის შემდგომი ცვლილებები უნდა გაკეთდეს პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

3. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო უზრუნველყოფს თანამშრომლობის მოთხოვნის და მოთხოვნის მხარდამჭერი დოკუმენტების კონფიდენციალურობას, იმ მოცულობით, რამდენადაც მათი გახსნა საჭიროა მოთხოვნის შესრულებისათვის.

4. მე-9 ნაწილის თანახმად წარდგენილი დახმარების მოთხოვნის მიმართ სასამართლოს შეუძლია მიიღოს ისეთი ზომები, მათ შორის ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებული ზომები, რომლებიც საჭიროა დაზარალებულთა, პოტენციალურ მოწმეთა და მათი ოჯახების უსაფრთხოების ან ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის. სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია მე-9 თავის თანახმად, გადაცემულ და გამოყენებულ იქნას იმგვარად, რომ დაცულ იქნას დაზარალებულთა, პოტენციალურ მოწმეთა და მათი ოჯახების უსაფრთხოება ან ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა.

5. სასამართლოს შეუძლია რომელიმე სახელმწიფოს, რომელიც არ წარმოადგენს ამ წესდების მონაწილეს, შესთავაზოს ამ ნაწილით გათვალისწინებული დახმარების გაწევა ად ჰოც შეთანხმების, ამგვარ სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადების ან რომელიმე სხვა სათანადო საფუძველზე.

თუ ამ წესდების არამონაწილე სახელმწიფო, რომელმაც დადო ად ჰოც შეთანხმება ან ხელშეკრულება სასამართლოსთან, არ შეასრულებს ამგვარი შეთანხმებით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომლობის მოთხოვნებს, სასამართლოს შეუძლია ამის შესახებ მოახსენოს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას ან, უშიშროების საბჭოს, თუ სასამართლოს საქმეს განსახილველად გადასცემს უშიშროების საბჭო.

6. სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს რომელიმე სამთავრობათშორისო ორგანიზაციას ინფორმაციის ან დოკუმენტების მოწოდება. სასამართლოს ასევე შეუძლია მოითხოვოს თანამშრომლობა და დახმარების გაწევა სხვა ფორმით, რომელიც შეიძლება შეთანხმებული იყოს ამ ორგანიზაციასთან და რომელიც შეესაბამება მის კომპეტენციასა და მანდატს.

7. თუ მონაწილე სახელმწიფო ამ წესდების დებულებების საწინააღმდეგოდ არ ასრულებს სასამართლოს მიერ წარდგენილ მოთხოვნას თანამშრომლობის შესახებ, და ამგვარად ხელს უშლის სასამართლოს წესდებით დადგენილი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესრულებაში, სასამართლოს ამასთან დაკავშირებით შეუძლია გამოიტანოს დასკვნა და საქმე განსახილველად გადასცეს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას ან, უშიშროების საბჭოს, როდესაც სასამართლოს საქმეს განსახილველად გადასცემს უშიშროების საბჭო.

მუხლი 88 ეროვნულ სამართალით გათვალისწინებული პროცედურების არსებობა

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მათ ეროვნულ სამართალში ამ ნაწილით განსაზღვრული თანამშრომლობის ყველა ფორმისათვის პროცედურების არსებობას.

მუხლი 89 პირების გადაცემა სასამართლოსადმი

1. სასამართლოს შეუძლია პირის დაკავების და გადაცემის მოთხოვნა 91-ე მუხლში მითითებულ მხარდამჭერ მასალებთან ერთად, გადასცეს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ეს პირი შეიძლება იმყოფებოდეს და მოსთხოვოს ამ სახელმწიფოს თანამშრომლობა ამ პირის დაკავებასა და გადაცემაში. მონაწილე სახელმწიფოებმა, ამ ნაწილის და თავიანთი ეროვნული სამართლით განსაზღვრული პროცედურის თანახმად, უნდა შეასრულონ დაკავების და გადაცემის მოთხოვნები.

2. იმ შემთხვევაში თუ პირი, რომლის გადაცემასაც ითხოვენ, ასაჩივრებს მოთხოვნას ეროვნულ სასამართლოში მე-20 მუხლში ჩამოყალიბებული ნე ბის ინ იდემ პრინციპის საფუძველზე, მოთხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს სასამართლოსთან იმის თაობაზე, არსებობს თუ არა შესაბამისი დადგენილება დაშვებადობის შესახებ. თუ საქმე დასაშვებად არის ცნობილი, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო იწყებს მოთხოვნის შესრულებას. თუ დადგენილება დაშვებადობის შესახებ ჯერ არ არის გამოტანილი, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია პირის გადაცემის შესახებ მოთხოვნის შესრულება გადადოს გარკვეული ვადით, მანამდე, სანამ სასამართლო გამოიტანს დადგენილებას დაშვებადობის შესახებ.

3. (a) მონაწილე სახელმწიფო, თავისი ეროვნული საპროცესო სამართლის შესაბამისად, ნებას რთავს სხვა სახელმწიფოს მიერ სასამართლოსადმი გადაცემული პირის გადაყვანაზე საკუთარი ტერიტორიის გავლით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამ სახელმწიფოს ტერიტორიით გადაყვანა ხელს უშლის ან აფერხებს გადაცემას.

(b) სასამართლოს მიერ წარდგენილი მოთხოვნა გადაყვანის შესახებ გადაცემულ უნდა იქნეს 87-ე მუხლის შესაბამისად. მოთხოვნა გადაყვანის შესახებ უნდა შეიცავდეს:

(i) გადასაყვანი პირის აღწერას;

(ii) საქმის გარემოებების მოკლე გადმოცემას და მათ სამართლებრივ კვალიფიკაციას;
და

(iii) დაკავებისა და გადაცემის ორდერს;

(c) გადასაყვანი პირი პატიმრობაში რჩება გადაყვანის პერიოდში;

(d) ნებას რთავს არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც პირი გადაჰყავთ საჰაერო ხომალდით და არ არის გათვალისწინებული დაშვება სატრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

(e) სატრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გათვალისწინებული დაშვების შემთხვევაში ამ სატრანზიტო სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს წარადგინოს (b) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა გადაყვანის შესახებ. სატრანზიტო სახელმწიფო გადასაყვან პირს ტოვებს პატიმრობაში, სანამ არ იქნება

მიღებული მოთხოვნა გადაყვანის შესახებ და გადაყვანა შესრულებული, იმ პირობით რომ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის პატიმრობა არ უნდა აღემატებოდეს 96 საათს გაუთვალისწინებელი დაშვების მომენტიდან, თუ მოთხოვნა არ იქნა მიღებული ამ დროის განმავლობაში.

4. თუ ძებნაში მყოფი პირის მიმართ აღძრულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან ის იხდის სასჯელს მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში არა იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის უნდა გადაეცეს სასამართლოს, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო, გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მოითათბირებს სასამართლოსთან ამ საკითხზე.

მუხლი 90 კოლიზიური მოთხოვნები

1. მონაწილე სახელმწიფო, რომელიც სასამართლოსაგან მიიღებს მოთხოვნას პირის გადაცემის შეახებ 89-ე მუხლის შესაბამისად, და ამასთანავე რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან მიიღებს მოთხოვნას იმავე პირის ექსტრადიციის შესახებ იგივე ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენს იმ დანაშაულის საფუძველს, რომლისთვისაც სასამართლო მოითხოვს პირის გადაცემას, ამის შესახებ შეატყობინებს სასამართლოს და მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს.

2. თუ მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფო მონაწილე სახელმწიფოა, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს სასამართლოს მოთხოვნას თუ:

(a) სასამართლო, მე-18 და მე-19 მუხლების შესაბამისად, გამოიტანს დადგენილებას საქმის, რომლის მიმართაც წარდგენილია გადაცემის მოთხოვნა, დაშვებადობის შესახებ და ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებს ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს მიერ თავის მოთხოვნასთან დაკავშირებით ჩატარებულ გამოძიებას ან ბრალდებას; ან

(b) სასამართლოს გამოაქვს (a) ქვეპუნქტში მითითებული დადგენილება მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ პირველი პუნქტის თანახმად გაკეთებული შეტყობინების მიმართ.

3. თუ არ არის გამოტანილი მე-2(a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დადგენილება, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს, თავის შეხედულებისამებრ, მე-2(b) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლოს დადგენილების გამოტანამდე შეუძლია დაიწყოს მოთხოვნის განხილვა რომელიც წარადგინა სახელმწიფომ ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნის, მაგრამ სახელმწიფო პირს არ გადასცემს მანამ, სანამ სასამართლო არ გამოიტანს დადგენილებას საქმის დაუშვებლობის შესახებ. სასამართლოს დადგენილება გამოაქვს დაჩქარებული წესით.

4. თუ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო არ არის ამ წესდების მონაწილე სახელმწიფო, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო, თუ მას არ გააჩნია საერთაშორისო ვალდებულება გადასცეს პირი მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს, უპირატესობას ანიჭებს სასამართლოს მოთხოვნას პირის გადაცემის შესახებ, თუ სასამართლო არ გამოიტანს დადგენილებას საქმის დაუშვებლობის შესახებ.

5. თუ მე-4 პუნქტის შესაბამისად სასამართლომ არ გამოიტანა დადგენილება საქმის დაშვებადობის შესახებ, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს, მისი შეხედულებისამებრ, შეუძლია დაიწყოს მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნის განხილვა.

6. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება მე-4 პუნქტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს გააჩნია საერთაშორისო ვალდებულება გადასცეს პირი მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს, რომელიც არ არის ამ წესდების მონაწილე სახელმწიფო, მოთხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, სასამართლოს გადასცეს პირი თუ მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს. გადაწყვეტილების მიღებისას, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო მხედველობაში მიიღებს ყველა შესაბამის ფაქტორს, მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტორებით არ შემოიფარგლება:

(a) მოთხოვნათა წარდგენის შესაბამისი თარიღები;

(b) მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს ინტერესები, მათ შორის, თუ ეს მიზანშეწონილია, ჩადენილ იქნა თუ არა დანაშაული მის ტერიტორიაზე და დაზარალებულთა და გადასაცემი პირის მოქალაქეობას; და

(c) სასამართლოსა და მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს შორის შემდგომი გადაცემის შესაძლებლობა.

7. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც სასამართლოსაგან მიიღებს მოთხოვნას პირის გადაცემის შესახებ, ასევე მიიღებს მოთხოვნას რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან იმავე პირის ექსტრადიციის შესახებ იმ ქმედებისათვის, რომელიც არ წარმოადგენს იმ დანაშაულის შემადგენლობას, რომლისთვისაც სასამართლო მოითხოვს პირის გადაცემას:

(a) მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო, თუ მას არ გააჩნია არსებული საერთაშორისო ვალდებულება გადასცეს პირი მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს, უპირატესობას ანიჭებს სასამართლოს მოთხოვნას;

(b) მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო, თუ მას გააჩნია არსებული საერთაშორისო ვალდებულება გადასცეს პირი მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს, დაადგენს, პირი სასამართლოს გადასცეს თუ მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფოს. გადაწყვეტილების მიღებისას შესაბამისი სახელმწიფო მხედველობაში იღებს საქმესთან დაკავშირებულ ყველა, მათ შორის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ფაქტორებს (მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტორებით არ შემოიფარგლება), და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აღნიშნული ქმედების შედარებით ხასიათსა და სიმძიმეს.

8. როდესაც ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიმართ სასამართლო მიიღებს დადგენილებას საქმის დაუშვებლობის შესახებ, და შემდგომი ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოსათვის პირის მისადმი გადაცემაზე უარს, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო სასამართლოს აცნობებს ამ გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 91 დაკავებისა და გადაცემის შესახებ მოთხოვნის შემადგენლობა

1. დაკავებისა და გადაცემის შესახებ მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით. გადაუდებელ შემთხვევებში, მოთხოვნა შეიძლება გაკეთდეს სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა წერილობითი ჩანაწერის გადაცემის შესაძლებლობას, იმ პირობით, რომ მოთხოვნა დადასტურებულ უნდა იქნეს 87-ე მუხლის 1(a) პუნქტით გათვალისწინებული არხების მიერ.

2. იმ პირის, რომლის მიმართაც წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ გაცემულ იქნა დაკავების ორდერი 58-ე მუხლის თანახმად, დაკავებისა და გადაცემის შესახებ მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნა უნდა შეიცავდეს ან მას უნდა ერთვოდეს:

(a) ძებნილი პირის აღწერილობითი ინფორმაცია, რომელიც საკმარისია პირის იდენტიფიკაციისათვის, და ინფორმაციას ამ პირის შესაძლებელი ადგილსამყოფელის შესახებ;

(b) დაკავების ორდერის ასლი; და

(c) ისეთი დოკუმენტები, განცხადებები ან ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს გადაცემის პროცესის პირობები მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში, იმ პირობით რომ ეს პირობები არ უნდა იყოს შესასრულებლად უფრო რთული, ვიდრე ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნებისადმი წაყენებული პირობები, რომლებიც გამომდინარეობენ მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან ან შეთანხმებებიდან, და, შეძლებისდაგვარად უნდა იყოს შესასრულებლად ნაკლებად რთული, სასამართლოს განსაკუთრებული ხასიათის მხედველობაში მიღებით.

3. დამნაშავედ ცნობილი პირის დაკავებისა და გადაცემის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნა უნდა შეიცავდეს ან მას თან უნდა ერთვოდეს:

(a) ამ პირის მიმართ გაცემული დაკავების ორდერის ასლი;

(b) დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ასლი;

(c) ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ძებნილი პირი არის ის, ვინც მოხსენებულია დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში;

(d) თუ ძებნილი პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი, გამოტანილი განაჩენის ასლი, და თავისუფლების აღკვეთის სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში - განაცხადი პატიმრობაში ყოფნის და დარჩენილი დროის შესახებ.

4. სასამართლოს მოთხოვნის მიღების შემდეგ, მონაწილე სახელმწიფო მოითხოვს სასამართლოსთან, ზოგადად ან კონკრეტულ საკითხზე, მისი ეროვნული სამართლით გათვალისწინებული პირობების თაობაზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ მე-2(c) პუნქტის თანახმად. თათბირის მსვლელობისას, მონაწილე სახელმწიფო რჩევას მიაწოდებს

სასამართლოს მისი ეროვნული სამართლით გათვალისწინებული განსაზღვრული პირობების თაობაზე.

მუხლი 92 წინასწარი პატიმრობა

1. გადაუდებელ შემთხვევებში, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ძებნილი პირის წინასწარი დაკავება, 91-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცემის შესახებ მოთხოვნის და მოთხოვნის თანდართული დოკუმენტების წარდგენამდე.

2. წინასწარი დაკავების მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ისეთი საშუალებით, რომელიც შემდგომში იძლევა წერილობითი ჩანაწერის გადაცემის შესაძლებლობას და უნდა შეიცავდეს:

(a) ძებნილი პირის აღწერილობით ინფორმაციას, რომელიც საკმარისია პირის ამოცნობისათვის, და ინფორმაციას ამ პირის შესაძლებელი ადგილსამყოფელის შესახებ;

(b) იმ დანაშაულების მოკლე გადმოცემას, რომელთა ჩადენისათვის მოთხოვნილია პირის დაკავება და იმ ფაქტების მოკლე გადმოცემას, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ ისინი შეადგენენ ამ დანაშაულებს, მათ შორის, თუ შესაძლებელია, დანაშაულის ჩადენის თარიღსა და ადგილს;

(c) განცხადებას ძებნილი პირის მიმართ გაცემული დაკავების ორდერის ან დამნაშავედ ცნობის შესახებ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შესახებ;

(d) განცხადებას იმის თაობაზე, რომ ძებნილი პირის გადაცემის შესახებ მოთხოვნა შემდგომში წარდგენილი იქნება.

3. პირი, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, შეიძლება პატიმრობიდან გათავისუფლებულ იქნეს, თუ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო არ მიიღებს 91-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცემის შესახებ მოთხოვნას და მოთხოვნის თანდართულ დოკუმენტებს პროცედურისა და მტკიცების წესებით დადგენილ ვადაში. თუმცა, პირს შეუძლია საკუთარი ნებით ჩაბარდეს ამ ვადის ამოწურვამდე, თუ ეს დაშვებულია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით. ამ შემთხვევაში, მოთხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის რაც შეიძლება სწრაფად გადაცემა სასამართლოსადმი.

4. ძებნილი პირის მე-3 პუნქტის თანახმად პატიმრობიდან გათავისუფლების ფაქტი ხელს არ უშლის ამ პირის შემდგომ დაკავებასა და გადაცემას, თუ მოთხოვნა გადაცემის შესახებ და მოთხოვნის თანდართული დოკუმენტები მიღებულია მოგვიანებით.

მუხლი 93. თანამშრომლობის სხვა ფორმები

1. მონაწილე სახელმწიფოები, ამ ნაწილის დებულებების შესაბამისად და ეროვნული სამართლით გათვალისწინებული პროცედურების თანახმად, ასრულებენ სასამართლოს

მოთხოვნებს გამოძიებასთან ან სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით შემდეგი დახმარების გაწევის შესახებ:

(a) პირთა იდენტიფიკაცია და ადგილსამყოფელის ან საგნების ადგილმდებარეობის დადგენა;

(b) მტკიცებულებების მოპოვება, ფიცის ქვეშ მიღებული ჩვენებების ჩათვლით და მტკიცებულებათა შეგროვება, მათ შორის სასამართლოსთვის საჭირო ექსპერტთა დასკვნები და მოხსენებები;

(c) ნებისმიერი გამოძიების ქვეშ მყოფი ან სისხლისსამართლებრივი წესით დევნილი პირის დაკითხვა;

(d) დოკუმენტების, მათ შორის სასამართლო დოკუმენტების წარდგენა;

(e) სასამართლოს წინაშე პირთა, მოწმეთა და ექსპერტთა სახით, ნებაყოფლობით გამოცხადებისთვის ხელის შეწყობა;

(f) პირთა დროებითი გადმოცემა, როგორც ეს მე-7 პუნქტით არის გათვალისწინებული;

(g) ადგილებისა და ობიექტების დათვალიერება, მათ შორის ექსპერტის ჩატარება და სამარხების დათვალიერება;

(h) ჩხრეკის ჩატარება და ქონებაზე ყადაღის დადება; ოქმებითა და დოკუმენტებით უზრუნველყოფა, ოფიციალური ოქმებისა და დოკუმენტების ჩათვლით;

(j) დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვა და მტკიცებულებათა შენახვა;

(k) მიღებული თანხების, ქონების და მოგების აღმოჩენა, ძიება და გაყინვა ან ყადაღის დადება მათი შემდგომი კონფისკაციის მიზნით, ბონა ფიდე მესამე მონაწილეთა უფლებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე; და

(l) დახმარების ნებისმიერი სხვა ფორმა, რომელიც არ არის აკრძალული მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით, სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ხელშეწყობის მიზნით.

2. სასამართლო უფლებამოსილია მისცეს სასამართლოში გამოცხადებულ მოწმეს ან ექსპერტს იმის გარანტია, რომ ის არ იქნება სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი წესით დევნილი, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული რომელიმე მოქმედებასთან ან უმოქმედებასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოდან ამ პირის გამოგზავნამდე.

3. თუ პირველი პუნქტის შესაბამისად წარდგენილ მოთხოვნაში ასახული დახმარების ცალკეული ღონისძიებების გატარება აკრძალულია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოში არსებული ზოგადი გამოყენების ძირითადი სამართლებრივი პრინციპით, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო დაუყოვნებლივ მოითხოვს სასამართლოსთან ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით. თათბირის დროს, განხილულ უნდა იქნეს საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა დახმარების გაწევა სხვა ფორმით ან რაიმე პირობებით. თუ თათბირის შედეგად საკითხი ვერ იქნა გადაწყვეტილი, სასამართლო, საჭიროებისამებრ, ცვლილებებს შეიტანს მოთხოვნაში.

4. 72-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას მოთხოვნაზე დახმარების შესახებ, მთლიანად ან ნაწილობრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა ეხება ისეთი დოკუმენტების წარდგენას ან მტკიცებულებების გახსნას, რომლებიც ეხება მის ეროვნულ უშიშროებას.

5. 1(l) პუნქტის შესაბამისად წარდგენილი დახმარების შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმამდე, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო განიხილავს საკითხს იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა დახმარების გაწევა გარკვეული პირობებით, მოგვიანებით ან სხვაგვარად, იმ პირობით, რომ თუ სასამართლო ან პროკურორი თანახმაა დახმარების მიღებაზე გარკვეული პირობებით, სასამართლო ან პროკურორი იმოქმედებენ მათ შესაბამისად.

6. თუ მოთხოვნა დახმარების შესახებ უარყოფილია, მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფო დაუყოვნებლივ აცნობებს სასამართლოს ან პროკურორს ამგვარი უარის თქმის მიზეზებს.

7.(a) სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს პატიმრობაში მყოფი პირის დროებით გადმოცემა ამოცნობის ან ჩვენებათა მიღებისათვის ან დახმარების გაწევის სხვაგვარი მიზნებისათვის. პირი შეიძლება გადმოცემულ იქნეს, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(i) პირი თავისუფლად აძლევს შეგნებულ თანხმობას გადმოცემაზე; და

(ii) მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო თანახმაა გადმოცემაზე, იმ პირობებით, რომელთა თაობაზეც შეიძლება შეთანხმდნენ ეს სახელმწიფო და სასამართლო.

(b) გადმოცემული პირი უნდა დარჩეს პატიმრობაში. მას შემდეგ, რაც მიღწეულია გადმოცემის მიზნები, სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოს პირი მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს.

8.(a) სასამართლო უზრუნველყოფს დოკუმენტებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობას იმის გამოკლებით, რაც, მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიზნებისათვის;

(b) მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს ბრალმძებელს დოკუმენტები ან ინფორმაცია კონფიდენციალურ საფუძველზე.

ბრალმდებელს შეუძლია მათი გამოყენება მხოლოდ ახალი მტკიცებულების მიღების მიზნით;

(c) მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის მოთხოვნით, შეძღვომში ნება დართოს ამგვარი დოკუმენტების ან ინფორმაციის გახსნაზე. ამის შემდეგ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მტკიცებულება მე-5 და მე-6 ნაწილების დებულებათა თანახმად და პროცედურისა და მტკიცების წესების შესაბამისად.

9. (a)(i) იმ შემთხვევაში, როდესაც მონაწილე მონაწილე მიიღებს კოლიზიურ მოთხოვნებს, რომლებიც არაა დაკავშირებული გადაცემასთან ან ექსტრადიციასთან, სასამართლოსაგან და მეორე სახელმწიფოსაგან საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფო ეცდება, სასამართლოსთან და მეორე სახელმწიფოსთან თათბირის შედეგად, შეასრულოს ორივე მოთხოვნა, თუ საჭიროა, ერთ-ერთი მოთხოვნის გადავადებით ან მათზე პირობების დართვით;

(ii) ამის შეუსრულებლობის შემთხვევაში კოლიზიური მოთხოვნების საკითხი გადაწყდება 90-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.

(b) როდესაც სასამართლოს მოთხოვნა ეხება ინფორმაციას, ქონებას ან პირებს, რომლებიც იმყოფებიან მესამე სახელმწიფოს ხელისუფლების ან, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო ამის შესახებ აცნობებს სასამართლოს და სასამართლო თავის მოთხოვნას წარუდგენს შესაბამისად მესამე სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას.

10. (a) სასამართლოს შეუძლია, მონაწილე სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე, ითანამშრომლოს და დახმარება გაუწიოს მონაწილე სახელმწიფოს იმ ქმედების გამოძიებაში ან სისხლისსამართლებრივ დევნაში, რომელიც შეადგენს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ ან მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს ეროვნული სამართლით გათვალისწინებულ მძიმე დანაშაულს.

(b) (i) (a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დახმარება, ინტერ ალია, მოიცავს:

(1) განცხადებების, დოკუმენტების ან სასამართლოს მიერ გამოძიებისა ან სასამართლო განხილვის პროცესში მიღებული მტკიცებულებების გადაცემა; და

(2) სასამართლოს ბრძანებით დაკავებული პირის გამოკითხვა;

(ii) (b)(i)(1) ქვეპუნქტის თანახმად დახმარების გაწევის შემთხვევაში:

(1) თუ დოკუმენტები ან სხვა სახის მტკიცებულებები მიღებულ იქნა რომელიმე სახელმწიფოს დახმარებით, ამგვარი გადაცემა მოითხოვს ამ სახელმწიფოს თანხმობას;

(2) თუ განცხადებები, დოკუმენტები ან სხვა სახის მტკიცებულებები მოწოდებულ იქნა მოწმის ან ექსპერტის მიერ, ამგვარი გადაცემა მოხდება 68-ე მუხლის შესაბამისად.

(c) სასამართლოს შეუძლია, ამ პუნქტით განსაზღვრული პირობების თანახმად, გასცეს თანხმობა ამ პუნქტით გათვალისწინებული დახმარების მოთხოვნაზე, რომელიც წარდგენილია ამ წესდების არამონაწილე სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 94 მოთხოვნის შესრულების გადავადება მიმდინარე გამოძიებასთან ან სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით

1. თუ მოთხოვნის დაუყოვნებელი შესრულება ხელს შეუშლის იმ მიმდინარე გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას, რომელიც განსხვავდება იმ გამოძიებასა ან სისხლისსამართლებრივი დევნისაგან, რომელსაც მოთხოვნა ეხება, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია გადაავადოს მოთხოვნის შესრულება სასამართლოსთან შეთანხმებული ვადით. თუმცა, გადავადება არ უნდა აღემატებოდეს მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში სათანადო გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დასრულების დროს. გადავადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მოთხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ უნდა განიხილოს საკითხი იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა დახმარების გაწევა დაუყოვნებლივ გარკვეული პირობებით.

2. თუ პირველი პუნქტის თანახმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გადავადების შესახებ, პროკურორს, ამისდა მიუხედავად, შეუძლია მოითხოვოს ზომების გატარება მტკიცებულების შენახვის მიზნით 93-ე მუხლის 1(j) პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 95 მოთხოვნის შესრულების გადავადება საქმის დაშვებადობის გასაჩივრებასთან დაკავშირებით

1. 53-ე მუხლის მე-2 პუნქტისთვის ზიანის მიუყენებლად საქმის დაშვებადობის გასაჩივრების შემთხვევაში, რომელიც განიხილება სასამართლოს მიერ მე-18 და მე-19 მუხლების თანახმად, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია გადაავადოს მოთხოვნის შესრულება ამ ნაწილის თანახმად სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ სასამართლო არ გასცემს სპეციალურ განკარგულებას, რომ პროკურორს შეუძლია დაიწყოს მე-18 და მე-19 მუხლების თანახმად მტკიცებულებების შეგროვება.

მუხლი 96 93-ე მუხლით გათვალისწინებული დახმარების სხვა ფორმების შესახებ მოთხოვნის შემადგენლობა

1. 93-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა დახმარების სხვა ფორმების შესახებ წარდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით. გადაუდებელ შემთხვევებში მოთხოვნა შეიძლება გაკეთდეს სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა წერილობითი ჩანაწერის გადაცემის შესაძლებლობას, იმ პირობით რომ მოთხოვნა დადასტურებულ უნდა იქნეს 87-ე მუხლის 1(a) პუნქტით გათვალისწინებული არხებით.

2. მოთხოვნა, დანიშნულების შესაბამისად, უნდა შეიცავდეს ან მას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი:

(a) მოთხოვნის მიზნის და მოთხოვნილი დახმარების მოკლე გადმოცემა, მათ შორის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და წარდგენის მიზეზები;

(b) შეძლებისდაგვარად დაწვრილებითი ინფორმაცია ნებისმიერი პირის ან ადგილის ადგილმდებარეობის ან იდენტიფიკაციის შესახებ, რომელთა პოვნა ან იდენტიფიკაცია აუცილებელია დახმარების უზრუნველყოფისათვის;

(c) მოთხოვნის საფუძველის შემადგენელი არსებითი გარემოებების მოკლე გადმოცემა;

(d) ნებისმიერი სავალდებულო პროცედურის ან პირობის მოტივები და დეტალური აღწერა;

(e) ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით აუცილებელია მოთხოვნის შესრულებისათვის; და

(f) მოთხოვნილი დახმარების გაწვევისათვის საჭირო ნებისმიერი სხვა სათანადო ინფორმაცია.

3. სასამართლოს მოთხოვნის მიღების შემდეგ, მონაწილე სახელმწიფო მოითხოვრებს სასამართლოსთან ზოგადად ან რომელიმე კონკრეტული საკითხის თაობაზე, მისი ეროვნული სამართლით გათვალისწინებული პირობების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ 2(e) პუნქტის თანახმად. თათბირის მსვლელობისას, მონაწილე სახელმწიფო სასამართლოს აცნობებს მისი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული პირობების შესახებ.

4. ამ მუხლის დებულებები, ცალკეულ შემთხვევებში, ასევე გავრცელდება სასამართლოსადმი წარდგენილ მოთხოვნაზე დახმარების შესახებ.

მუხლი 97 თათბირები

1. როდესაც მონაწილე სახელმწიფო მიიღებს ამ ნაწილის თანახმად წარდგენილ მოთხოვნას, რომლის მიმართაც ის დაადგენს მოთხოვნის შესრულების ხელშემშლელი ან დამაბრკოლებელი პრობლემის არსებობას, სახელმწიფო დაუყოვნებლივ მოითხოვრებს სასამართლოსთან საკითხის გადაწყვეტის მიზნით. ინტერ აღია, პრობლემები შეიძლება შემდეგი იყოს:

(a) მოთხოვნის შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციის უკმარისობა;

(b) გადაცემის შესახებ მოთხოვნის შემთხვევაში, ის ფაქტი რომ, მიუხედავად ყველა მცდელობისა, ძეხნილი პირის ადგილსამყოფელი ვერ იქნა დადგენილი ან რომ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ პირი, რომელიც სახელმწიფომ დააკავა, აშკარად არ არის დაკავების ორდერში მინიშნებული პირი; ან

(c) ის ფაქტი, რომ მოთხოვნის მისი ამჟამინდელი სახით შესრულებისათვის მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს დასჭირდება მეორე სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა.

მუხლი 98 თანამშრომლობა იმუნიტეტის მოხსნასთან და გადაცემის თაობაზე თანხმობასთან დაკავშირებით

1. სასამართლოს არ შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა გადაცემის ან დახმარების შესახებ, რომელიც აიძულებს მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს იმოქმედოს თავისი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულების საწინააღმდეგოდ სახელმწიფოს ან პირის დიპლომატიური იმუნიტეტის ან მეორე სახელმწიფოს საკუთრების მიმართ, სანამ სასამართლო არ მიაღწევს ამ მეორე სახელმწიფოსთან თანამშრომლობას იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე.

2. სასამართლოს არ შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა გადაცემის შესახებ, რომელიც აიძულებს მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს იმოქმედოს თავისი საერთაშორისო შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც საჭიროა გადამცემი სახელმწიფოს თანხმობა ამ სახელმწიფოს ხელისუფლების ქვეშ მყოფი პირის სასამართლოსადმი გადაცემისათვის, თუ სასამართლო თავდაპირველად არ მიაღწევს გადამცემი სახელმწიფოს თანამშრომლობას გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მუხლი 99 93-ე და 96-ე მუხლების თანახმად წარდგენილ მოთხოვნათა შესრულება

1. დახმარების შესახებ მოთხოვნები შესრულდება მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი სათანადო პროცედურის შესაბამისად და, თუ კანონმდებლობა ამას არ კრძალავს, მოთხოვნაში განსაზღვრული წესით, მათ შორის მასში მითითებული პროცედურების შესრულებით ან მოთხოვნით განსაზღვრული პირების შესრულების პროცესზე დასწრებით ან მათ მიერ მოთხოვნის შესრულებისადმი დახმარების გაწევით.

2. გადაუდებელი მოთხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტები ან სასამართლოს მოთხოვნაზე საპასუხოდ მიღებული მტკიცებულებები უნდა გაიგზავნოს დაუყოვნებლივ.

3. პასუხები მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოსაგან გადაცემულ იქნება ორიგინალი ტექსტის ენაზე და დედანის ფორმით;

4. ამ ნაწილის სხვა მუხლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, თუ ეს საჭიროა ისეთი მოთხოვნის შესრულებისათვის, რომელიც შეიძლება შესრულდეს ყოველგვარი იძულებითი ზომების გარეშე, კერძოდ, პირის დაკითხვა ან მისგან მტკიცებულებების მოპოვება ნებაყოფლობით საფუძველზე, ასევე ამის გაკეთება მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლების დასწრების გარეშე, თუ ეს არსებითად მნიშვნელოვანია მოთხოვნის შესასრულებლად, და რაიმე ცვლილებების შეტანის გარეშე

საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის ან ადგილის დათვალიერება, პროკურორს შეუძლია ამგვარი მოთხოვნა შეასრულოს პირდაპირ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, შემდეგი სახით:

(a) როდესაც მონაწილე სახელმწიფო არის ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც სავარაუდოდ ჩადენილ იქნა დანაშაული, და როდესაც უკვე არსებობს დადგენილება დაშვებადობის შესახებ მე-18 და მე-19 მუხლების თანახმად, პროკურორს შეუძლია პირდაპირ შეასრულოს მოთხოვნა, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოსთან ყოველგვარი შესაძლო თათბირის შესაბამისად;

(b) პროკურორს შეუძლია ამგვარი მოთხოვნის შესრულება მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოსთან თათბირის შედეგად და ამ სახელმწიფოს მიერ წამოყენებული ნებისმიერი სათანადო პირობებისა და გამოთქმული ინტერესების შესაბამისად. როდესაც მონაწილე სახელმწიფო აღმოაჩენს რაიმე პრობლემას ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულებასთან დაკავშირებით, ის დაუყოვნებლივ მოითხოვს სასამართლოსთან ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

5. დებულებები, რომლებიც 72-ე მუხლის შესაბამისად მოსმენილ ან დაკითხულ პირს უფლებას აძლევენ მიუთითოს შეზღუდვებზე, რომლებიც გამიზნულია ეროვნულ თავდაცვასთან ან უშიშროებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გახსნის დაუშვებლობისათვის, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი დახმარების შესახებ მოთხოვნის შესრულების მიმართ.

მუხლი 100 ხარჯები

1. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოთხოვნათა შესრულების ჩვეულებრივ ხარჯებს თავის თავზე იღებს ეს სახელმწიფო, გარდა შემდეგი ხარჯებისა, რომელთა ანაზღაურებას თავის თავზე იღებს სასამართლო:

(a) მოწმეთა და ექსპერტთა მგზავრობისა და უშიშროების უზრუნველყოფასთან ან პატიმრობაში მყოფ პირთა 93-ე მუხლის თანახმად გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯები;

(b) წერილობითი ან ზეპირი თარგმნისა და სტენოგრაფირების ხარჯები;

(c) მოსამართლის, პროკურორის, პროკურორის მოადგილეთა, მდივნის, მდივნის მოადგილეთა და სასამართლოს ნებისმიერი ორგანოს თანამშრომელთა მგზავრობის და სადღეღამისო ხარჯები;

(d) ექსპერტის დასკვნის ან სასამართლოს მიერ მოთხოვნილი ექსპერტიზის ხარჯები;

(e) დაკავების სახელმწიფოს მიერ სასამართლოსთვის გადაცემული პირის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯები;

(f) თათბირების შემდეგ წარმოშობილი ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოთხოვნის შესრულებისას.

2. პირველი პუნქტის დებულებები, შესაბამის შემთხვევებში, გამოიყენება მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლოსადმი წარდგენილი მოთხოვნების მიმართ. ამ შემთხვევაში, სასამართლო თავის თავზე იღებს ჩვეულებრივ ხარჯებს.

მუხლი 101 დებულება პირობების უცვლელობის შესახებ

1. ამ წესდებას თანახმად სასამართლოსთვის გადაცემული პირი არ უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი წესით დევნილი, დასჯილი ან დაპატიმრებული გადაცემამდე ჩადენილი ნებისმიერი ქმედებისათვის, რომელიც არ წარმოადგენს იმ დანაშაულის საფუძვლის შემადგენელ ქმედებას ან დენად ქმედებას, რომლისთვისაც პირი იქნა გადაცემული.

2. სასამართლოს შეუძლია სასამართლოსთვის პირის გადამცემი სახელმწიფოსაგან მოითხოვოს პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებზე უარის თქმა, და, თუ საჭიროა, სასამართლო უზრუნველყოფს დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას 91-ე მუხლის თანახმად. მონაწილე სახელმწიფოს ეძლევათ პირობებზე უარის თქმის უფლებამოსილება და ისინი შეეცდებიან ამგვარად მოიქცნენ.

მუხლი 102 ტერმინების გამოყენება

ამ წესდების მიზნებისათვის:

(a) "გადაცემა" ნიშნავს სახელმწიფოს მიერ პირის სასამართლოსადმი გადაცემას, ამ წესდების შესაბამისად;

(b) "ექსტრადიცია" ნიშნავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისადმი პირის გადაცემას, ხელშეკრულების, კონვენციის ან ეროვნული კანონმდებლობის თანახმად.

ნაწილი 10. აღსრულება

მუხლი 103 სახელმწიფოთა როლი თავისუფლების აღკვეთის სასჯელთა აღსრულებაში

1. (a) თავისუფლების აღკვეთის სასჯელი მოხდელი იქნება სახელმწიფოში, რომელსაც მიუთითებს სასამართლო იმ სახელმწიფოთა სიიდან, რომლებიც აცნობებენ სასამართლოს მსჯავრდებული პირის მიღების თანხმობას.

(b) მსჯავრდებული პირების მიღების სურვილის გამოცხადების დროს, სახელმწიფოს შეუძლია მიღებას დაურთოს პირობები, სასამართლოსთან შეთანხმებით და ამ ნაწილის თანახმად.

(c) სახელმწიფო, რომელიც მითითებულია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სასწრაფოდ შეატყობინებს სასამართლოს, ეთანხმება თუ არა სასამართლოს არჩევანს.

2. (a) აღმასრულებელი სახელმწიფო სასამართლოს შეატყობინებს ყველა გარემოების შესახებ, მათ შორის პირველი პუნქტის თანახმად შეთანხმებული პირობების შესრულებაზე, რომელთაც შეუძლიათ არსებითი ზეგავლენა მოახდინონ თავისუფლების აღკვეთის პირობებზე და ხანგრძლივობაზე. მოხსენება ამგვარი ცნობილი ან მომავალში მოსალოდნელი გარემოებების შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს არა ნაკლებ 45 დღის ვადაში. ამ პერიოდის განმავლობაში აღმასრულებელი სახელმწიფო არ მიიღებს არანაირ ზომებს, რომელთაც შეიძლება ზიანი მიაყენონ მის ვალდებულებებს 110-ე მუხლის თანახმად.

(b) როდესაც სასამართლო არ ეთანხმება (a) ქვეპუნქტში აღნიშნულ გარემოებებს, ის ამის შესახებ აცნობებს აღმასრულებელ სახელმწიფოს და მოქმედებს 104-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. პირველი პუნქტით გათვალისწინებული მითითების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს შემდეგს:

(a) პრინციპს, რომლის თანახმადაც მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაინაწილონ თავისუფლების აღკვეთის სასჯელის აღსრულების პასუხისმგებლობა, სამართლიანი განაწილების პრინციპის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია პროცედურისა და მტკიცების წესებით;

(b) პატიმრებთან მოპყრობის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სახელშეკრულებო სტანდარტების გამოყენებას;

(c) მსჯავრდებულის შეხედულებებს; და

(d) მსჯავრდებულის ეროვნებას;

(e) დანაშაულთან ან მსჯავრდებულთან ან განაჩენის ეფექტურ აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა ისეთ ფაქტორებს, რომლებიც კონკრეტულ ვითარებაში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აღმასრულებელი სახელმწიფოს მითითებისას.

4. თუ არც ერთი სახელმწიფო არ იქნა მითითებული პირველი პუნქტის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის სასჯელი მოხდელი იქნება მასპინძელი სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენები შტაბ-ბინის შესახებ ხელშეკრულებაში გადმოცემული პირობების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ხარჯები ანაზღაურებულ იქნება სასამართლოს მიერ.

მუხლი 104 აღმასრულებელი სახელმწიფოს შეცვლა

1. სასამართლოს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მსჯავრდებული პირის სხვა სახელმწიფოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ.

2. მსჯავრდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს აღმასრულებელი სახელმწიფოდან მისი გადაყვანის თხოვნით.

მუხლი 105 განაჩენის აღსრულება

1. სახელმწიფოს მიერ 103-ე მუხლის 1(b) პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პირობების შესრულებით, თავისუფლების აღკვეთის განაჩენი სავალდებულოა მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც მისი შეცვლა არავითარ გარემოებებში არ შეუძლიათ.

2. მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება განიხილოს ყველა განცხადება აპელაციის და გადასინჯვის თაობაზე. აღმასრულებელმა სახელმწიფომ ხელი არ უნდა შეუშალოს მსჯავრდებული პირის მიერ ამგვარი განცხადების გაკეთებას.

მუხლი 106 ზედამხედველობა განაჩენის აღსრულებასა და თავისუფლების აღკვეთის პირობებზე

1. თავისუფლების აღკვეთის განაჩენის აღსრულება ექვემდებარება სასამართლოს ზედამხედველობას და უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სახელშეკრულებო სტანდარტებს.

2. თავისუფლების აღკვეთის პირობები რეგულირდება აღმასრულებელი სახელმწიფოს კანონმდებლობით და უნდა შეესაბამებოდეს პატიმრებთან მოპყრობის საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სახელშეკრულებო სტანდარტებს; არავითარ შემთხვევაში ეს პირობები არ უნდა იყოს უფრო მეტად ან ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე აღმასრულებელ სახელმწიფოში იმავე დანაშაულთა ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირთა თავისუფლების აღკვეთის პირობები.

3. მიმოწერა მსჯავრდებულსა და სასამართლოს შორის უნდა იყოს დაუბრკოლებელი და კონფიდენციალური.

მუხლი 107 პირის გადაცემა სასჯელის მოხდის შემდეგ

1. სასჯელის მოხდის შემდეგ პირი, რომელიც არ არის აღმასრულებელი სახელმწიფოს ქვეშევრდომი, აღმასრულებელ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გადაეცეს სახელმწიფოს, რომელიც ვალდებულია მიიღოს ის, ან სხვა სახელმწიფოს, რომელიც თანახმაა მის მიღებაზე, გადასაცემი პირის სურვილის მხედველობაში მიღებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღმასრულებელი სახელმწიფო ნებას რთავს პირს დარჩეს მის ტერიტორიაზე.

2. თუ არც ერთი სახელმწიფო თავის თავზე არ იღებს პირველი პუნქტის თანახმად პირის სხვა სახელმწიფოსადმი გადაცემის ხარჯებს, ამგვარი ხარჯები ანაზღაურებულ იქნება სასამართლოს მიერ.

3. 108-ე მუხლის დებულებების შესაბამისად, აღმასრულებელ სახელმწიფოს ასევე შეუძლია, მისი ეროვნული სამართლის შესაბამისად, განახორციელოს პირის ექსტრადიცია ან გადაცემა სახელმწიფოსადმი, რომელმაც მოითხოვა პირის ექსტრადიცია ან გადაცემა გასამართლების ან განაჩენის აღსრულების მიზნით.

მუხლი 108 სხვა სამართალდარღვევებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნას ან დასჯის შეზღუდვა

1. მსჯავრდებული, რომელიც იმყოფება აღმასრულებელი სახელმწიფოს პატიმრობაში, არ შეიძლება იქნეს სისხლისსამართლებრივი წესით დევნილი ან დასჯილი ან გადაეცეს ექსტრადიციის გზით მესამე სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილ იქნა პირის აღმასრულებელ სახელმწიფოსადმი გადაცემამდე, თუ ამგვარი სისხლისსამართლებრივი დევნა, დასჯა ან ექსტრადიცია არ არის ნებადართული სასამართლოს მიერ აღმასრულებელი სახელმწიფოს მოთხოვნით.

2. სასამართლო გადაწყვეტს ამ საკითხს მსჯავრდებულის მოსაზრებათა მოსმენის შემდეგ.

3. პირველი პუნქტი აღარ გამოიყენება, თუ მსჯავრდებული 30 დღეზე მეტი ხნით ნებაყოფლობით დარჩება აღმასრულებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სასამართლოს მიერ დანიშნული მთლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ, ან ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაბრუნდება მისი დატოვების შემდეგ.

მუხლი 109 ჯარიმებისა და საკონფისკაციო ზომების აღსრულება

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ სასამართლოს მიერ მე-7 ნაწილის თანახმად დანიშნული ჯარიმებისა და კონფისკაციების აღსრულებას, მესამე ბონა ფიდე მონაწილეთა უფლებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე და მათი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

2. თუ მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების შესრულება, ის მიიღებს ზომებს სასამართლოს მიერ საკონფისკაციოდ გამოცხადებული ფულადი მოგების, საკუთრებისა ან ქონების ღირებულების ანაზღაურებისათვის, მესამე ბონა ფიდე მონაწილეთა უფლებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

3. ქონება, ან უძრავი ქონების ან, საქმის გარემოებათა მიხედვით, სხვა ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება, რომელიც მიღებულია მონაწილე სახელმწიფოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად, უნდა გადაეცეს სასამართლოს.

მუხლი 110 სასამართლოს მიერ სასჯელის შემცირების საკითხის განხილვა

1. აღმასრულებელი სახელმწიფო პირს არ ათავისუფლებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდამდე.

2. მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება გადაწყვიტოს სასჯელის შემცირება, და ის საკითხს გადაწყვეტს პირის მოსმენის შემდეგ.

3. როდესაც პირი მოიხდის სასჯელის ორ მესამედს, ან 25 წელს უკალო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, სასამართლო ახდენს სასჯელის გადასინჯვაში, რათა განსაზღვროს, შესაძლებელია თუ არა მისი შემცირება. ამგვარი გადასინჯვა არ მოხდება ზემოხსენებული პერიოდის გასვლამდე.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადასინჯვისას, სასამართლოს შეუძლია შეამციროს სასჯელი, თუ ის დაადგენს ერთი ან მეტი ქვემოჩამოთვლილი ფაქტორის არსებობას:

(a) პირის სასამართლოსთან გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაში თანამშრომლობის სურვილი, რომელიც ადრეც არსებობდა და ახლაც გრძელდება;

(b) პირის ნებაყოფლობითი დახმარება სხვა საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, და, კერძოდ, დახმარება ჯარიმის, კონფისკაციის ან ანაზღაურების შესახებ დადგენილებაში მითითებული ქონების ადგილსამყოფელის დადგენაში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაზარალებულთა სასარგებლოდ; ან

(c) სხვა ფაქტორები, რომლებიც ამტკიცებენ გარემოებათა აშკარა და არსებით ცვლილებას, რომელიც საკმარისია სასჯელის შემცირების დასაბუთებისათვის, როგორც გათვალისწინებულია პროცედურისა და მტკიცების წესებით.

5. თუ სასამართლო მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თავდაპირველი გადასინჯვის შედეგად დაადგენს, რომ არ არის გამართლებული სასჯელის შემცირება, ის შემდგომში მოახდენს სასჯელის შემცირებას პროცედურისა და მტკიცების წესებით გათვალისწინებული დროის შუალედებით და კრიტერიუმების საფუძველზე.

მუხლი 111 გაქცევა

დამნაშავედ ცნობილი პირის გაქცევის და აღმასრულებელი სახელმწიფოს დატოვების შემთხვევაში, ამ სახელმწიფოს, სასამართლოსთან თათბირის შემდეგ, შეუძლია სახელმწიფოს, რომელშიც პირი იმყოფება, მოსთხოვოს პირის გადაცემა ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად, ან შეუძლია სასამართლოს მიმართოს მოთხოვნით, რათა ამ უკანასკნელმა მოითხოვოს პირის გადაცემა. სასამართლოს შეუძლია გასცეს განკარგულება პირის სასჯელის მოხდის სახელმწიფოსადმი ან სასამართლოს მიერ მითითებული სახელმწიფოსადმი გადაცემის შესახებ.

ნაწილი 11. მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა

მუხლი 112 მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა

1. ამ წესდებით იქმნება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს ჰყავს ერთი წარმომადგენელი ასამბლეაში, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს მოადგილეები და მრჩეველები. სხვა სახელმწიფოები, რომელთაც ხელი მოაწერეს წესდებას ან დასკვნით აქტს, შეიძლება იყვნენ დამკვირვებლები ასამბლეაში.

2. ასამბლეა:

(a) განიხილავს და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებს მოსამზადებელი კომისიის რეკომენდაციებს;

(b) პრეზიდენტს, პროკურორს და მდივანს წარუდგენს ადმინისტრაციულ მიმოხილვას სასამართლოს საქმეთა მართვასთან დაკავშირებით;

(c) განიხილავს მე-3 პუნქტის თანახმად დაფუძნებული ბიუროს მოხსენებებსა და საქმიანობას და მიიღებს შესაბამის ზომებს ამასთან დაკავშირებით;

(d) განიხილავს და ამტკიცებს სასამართლოს ბიუჯეტს;

(e) წყვეტს, 36-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლეთა რაოდენობის შეცვლის საკითხს;

(f) 87-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, განიხილავს თანამშრომლობის არარსებობის საკითხებს;

(g) ახორციელებს ნებისმიერ სხვა ფუნქციას, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ წესდებასა და პროცედურისა და მტკიცების წესებს.

3. ასამბლეას გააჩნია ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან ასამბლეის მიერ სამი წლის ვადით არჩეული თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე და 18 წევრი.

ბიურო წარმომადგენლობითი ხასიათის ორგანოა, რომლის შექმნის დროს მხედველობაში მიიღება სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების და მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემების სათანადო წარმოდგენის პრინციპები.

ბიურო იკრიბება იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროა, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც. ის ასამბლეას ეხმარება მისი მოვალეობების შესრულებაში.

4. ასამბლეას შეუძლია, საჭიროებისამებრ, დამხმარე ორგანოების შექმნა, მათ შორის სასამართლოს საინსპექციო, შეფასებითი და საგამოძიებო საქმიანობის ეფექტურობის და ეკონომიურობის ამაღლების მიზნით დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოების შექმნა.

5. სასამართლოს თავმჯდომარეს, პროკურორს და მდივანს ან მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ, საჭიროებისამებრ, მიიღონ მონაწილეობა ასამბლეის და ბიუროს სხდომებში.

6. ასამბლეა იკრიბება სასამართლოს ადგილსამყოფელის ადგილას ან გაეროს შტაბ-ბინაში წელიწადში ერთხელ და, როდესაც გარემოებები ამას მოითხოვენ, გამართავს სპეციალურ სესიებს. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წესდებით, სპეციალური სესიები მოწვეულ იქნება ბიუროს მიერ მისი საკუთარი ინიციატივით ან მონაწილე სახელმწიფოთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

7. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია ერთი ხმა. მიღებულ უნდა იქნეს ყველა ზომა იმისათვის, რათა ასამბლეასა და ბიუროში გადაწყვეტილება მიღწეულ იქნეს კონსენსუსით. კონსენსუსის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წესდებით:

(a) გადაწყვეტილებები არსებით საკითხებზე მიიღება დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა ორი მესამედით, იმ პირობით რომ მონაწილე სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა შეადგენს კენჭისყრის ქვორუმს;

(b) გადაწყვეტილებები პროცედურულ საკითხებზე მიიღება დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უბრალო უმრავლესობით.

8. მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც გააჩნია დავალიანება სასამართლოს ხარჯების ანაზღაურებისთვის ფულადი შენატანების მიმართ, არ ექნება ხმა ასამბლეაში და ბიუროში, თუ მისი დავალიანება შეადგენს ან აღემატება წინა ორი სრული წლის ფულადი შენატანების ოდენობას. ამისდა მიუხედავად, ასამბლეას შეუძლია ნება დართოს ამ სახელმწიფოს მონაწილეობა მიიღოს ასამბლეისა და ბიუროს კენჭისყრაში, თუ ის დარწმუნდება, რომ გადაუხდელობა განპირობებულია მონაწილე სახელმწიფოს ნებისაგან დამოუკიდებელი გარემოებებით.

9. ასამბლეა იღებს თავის საკუთარ პროცედურის წესებს.

10. ასამბლეის ოფიციალური და სამუშაო ენები იგივეა, რაც გაეროს გენერალური ასამბლეის.

ნაწილი 12. ფინანსირება

მუხლი 113 საფინანსო დებულებები

თუ სხვა რამ საგანგებოდ არ არის გათვალისწინებული, ყველა საფინანსო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოსთან და მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეასთან, ასევე ბიუროსა და დამხმარე ორგანოების ჩათვლით, რეგულირდება ამ წესდებით და მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ მიღებული საფინანსო დებულებებითა და წესებით.

მუხლი 114 ხარჯების ანაზღაურება

სასამართლოს და მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ხარჯები, მისი ბიუროსა და დამხმარე ორგანოების ჩათვლით, გადაიხდება სასამართლოს ფულადი სახსრებიდან.

მუხლი 115 სასამართლოსა და მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ფულადი სახსრები

სასამართლოს და მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ხარჯები, მისი ბიუროსა და დამხმარე ორგანოების ჩათვლით, რომლებიც გათვალისწინებულია მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით, გადაიხდება შემდეგი წყაროებიდან:

(a) მონაწილე სახელმწიფოთა დარიცხული შენატანები;

(b) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ფულადი სახსრები, გენერალური ასამბლეის დამტკიცებით, კერძოდ, უშიშროების საბჭოს სიტუაციის გადმოცემასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისათვის.

მუხლი 116 ნებაყოფლობითი შენატანები

115-ე მუხლისათვის ზიანის მიყენების გარეშე, სასამართლოს შეუძლია მიიღოს და გამოიყენოს, როგორც დამატებითი ფულადი სახსრები მთავრობათა, საერთაშორისო ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების და სხვა პირებისაგან მიღებული შენატანები, მონაწილე სახელმწიფოების ასამბლეის მიერ დადგენილი სათანადო კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 117 შენატანების დადგენა

მონაწილე სახელმწიფოთა შენატანები დგინდება დარიცხული შენატანების შეთანხმებული შკალის შესაბამისად, რომელიც დაფუძნებულია გაეროს მიერ თავისი რეგულარული ბიუჯეტისათვის მიღებულ შკალაზე, და კორექტირებულ იქნება იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებზედაც ეს შკალა არის დაფუძნებული.

მუხლი 118 წლიური რევიზია

სასამართლოს ჩანაწერები, სააღრიცხვო წიგნები და ანგარიშები, მისი წლიური საფინანსო ანგარიშის ჩათვლით, ყოველწლიურად შემოწმდება დამოუკიდებელი რევიზორის მიერ.

ნაწილი 13. დასკვნითი დებულებები**მუხლი 119** დავების გადაწყვეტა

1. სასამართლოს ფუნქციებთან დაკავშირებული ყველა დავა წყდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2. ნებისმიერი სხვა დავა ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის ამ წესდების განმარტების ან გამოყენების თაობაზე, რომელიც ვერ გადაწყდა მოლაპარაკების გზით მისი დაწყებიდან სამი თვის განმავლობაში, განსახილველად გადაეცემა მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას. ასამბლეას თვითონ შეუძლია მიიღოს ზომები დავის გადაწყვეტისათვის ან გასცეს რეკომენდაციები დავის გადაწყვეტის შემდგომი საშუალებების თაობაზე, მათ შორის დავის საერთაშორისო სასამართლოსადმი გადაცემის თაობაზე ამ სასამართლოს წესდების შესაბამისად.

მუხლი 120 დათქმები

ამ წესდებას არ შეიძლება გაუკეთდეს არავითარი დათქმა.

მუხლი 121 შესწორებები

1. ამ წესდების ძალაში შესვლიდან შეიძლება წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს განაცხადი მასში შესწორებების შეტანის შესახებ. ყველა შემოთავაზებული შესწორების ტექსტი უნდა გადაეცეს გაეროს გენერალურ მდივანს, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს მას ყველა მონაწილე სახელმწიფოს.

2. განაცხადის წარდგენიდან სამი თვის გასვლისთანავე, მორიგი მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა, დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობით, წყვეტს წინადადების მიღების საკითხს. ასამბლეას შეუძლია უშუალოდ განიხილოს წინადადება ან მოიწვიოს გადასინჯვითი კონფერენცია, თუ ზემოხსენებული საკითხი ამას მოითხოვს.

3. მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეაზე ან გადასინჯველ კონფერენციაზე იმ შესწორების მიღებისათვის, რომელზედაც კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული, საჭიროა მონაწილე სახელმწიფოთა ხმების ორი მესამედი.

4. გარდა მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, შესწორება ძალაში შედის ყველა მონაწილე სახელმწიფოს მიმართ, მათი შვიდი-მერვედის მიერ გაეროს გენერალურ მდივანთან რატიფიცირების ან მიღების ინსტრუმენტების დეპონირებიდან ერთი წლის შემდეგ.

5. ამ წესდების მე-5 ნაწილის ყველა შესწორება ძალაში შედის იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც მიიღეს შესწორება, მათი სარატიფიკაციო სიგელების ან მიღების დოკუმენტების დეპონირებიდან ერთი წლის შემდეგ. იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც არ მიიღო შესწორება, სასამართლო ვერ განახორციელებს თავის იურისდიქციას შესწორებაში მითითებულ დანაშაულთან დაკავშირებით, როდესაც ის ჩადენილია ამ მონაწილე სახელმწიფოს ქვეშევრდომთა მიერ ან მის ტერიტორიაზე.

6. თუ შესწორება მიღებულია მონაწილე სახელმწიფოთა შვიდი მერვედით მე-4 პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ მიიღებს

შესწორებას, შეუძლია წესდებიდან გასვლა ამ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლით, 127-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებების მიუხედავად, მაგრამ 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა დაცვით, ამ შესწორების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი წლის შემდეგ განცხადების გაკეთებით.

7. გაეროს გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს გადასცემს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეაზე ან გადამსინჯველ კონფერენციაზე მიღებულ შესწორებას.

მუხლი 122 ინსტიტუციონალური ხასიათის დებულებების შესწორებები

1. ამ წესდების განსაკუთრებული ინსტიტუციონალური ხასიათის მქონე დებულებების, კერძოდ, მუხლი 35, მუხლი 36, პუნქტები 8 და 9, მუხლი 37, მუხლი 38, მუხლი 39, პუნქტები 1 (პირველი ორი წინადადება), 2 და 3, მუხლი 42, პუნქტები 4 და 9, მუხლი 43, პუნქტები 2 და 3, და მუხლები 44, 46, 47 და 49, შესწორებების შესახებ წინადადება შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერ დროს, 121-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებების მიუხედავად, ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს მიერ. ყველა წარდგენილი შესწორების ტექსტი გადაეცემა გაეროს გენერალურ მდივანს ან მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ დანიშნულ სხვა პირს, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს მას მონაწილე სახელმწიფოებს და ასამბლეაში მონაწილე სხვა მონაწილეებს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შესწორებები, რომლებზედაც კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული, მიიღება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ან, შემთხვევიდან გამომდინარე, გადასინჯვითი კონფერენციის მიერ მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედით.

მუხლი 123 წესდების გადასინჯვა

1. ამ წესდების ძალაში შესვლიდან შეიძლება წლის თავზე გაეროს გენერალური მდივანი მოიწვევს გადამსინჯველ კონფერენციას ამ წესდებაში შესწორებების შეტანის განსახილველად. ამგვარი გადასინჯვა შეიძლება შეეხოს, მაგრამ ამით არ უნდა შემოიფარგლოს, მე-5 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა ნუსხას. კონფერენცია ღია იქნება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მონაწილეობის და იმავე პირობებით.

2. ამის შემდეგ ნებისმიერ დროს, მონაწილე სახელმწიფოს მოთხოვნით და პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნებისათვის, გაეროს გენერალური მდივანი, მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის თანხმობით, მოიწვევს გადამსინჯველ კონფერენციას.

3. 121-ე მუხლის მე-3 - მე-7 პუნქტების დებულებები გამოიყენება წესდებაში ყველა გადამსინჯველ კონფერენციაზე განხილული შესწორების მიღებასა და ძალაში შესვლისას.

მუხლი 124 გარდამავალი დებულება

მე-12 მუხლის პირველი პუნქტის დებულებების მიუხედავად, სახელმწიფოს, როდესაც ის ხდება ამ წესდების მონაწილე სახელმწიფო, შეუძლია განაცხადოს რომ, დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ წესდების ძალაში შესვლიდან შეიძლება წლის განმავლობაში, ის არ

ცნობს სასამართლოს იურისდიქციას მე-8 მუხლში განსაზღვრული დანაშაულთა კატეგორიის მიმართ, როდესაც დანაშაული სავარაუდოდ ჩადენილია მისი ქვეშევრდომების მიერ ან მის ტერიტორიაზე. ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადება შეიძლება გაუქმებულ იქნეს ნებისმიერ დროს. ამ მუხლის დებულებები გადასინჯულ იქნება 123-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოწვეულ გადამსინჯველ კონფერენციაზე.

მუხლი 125 ხელმოწერა, რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება ან შეერთება

1. ეს წესდება ყველა სახელმწიფოსათვის ხელმოსაწერად გაიხსნება რომში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, 1998 წლის 17 ივლისს. შემდგომ, ის დარჩება ღიად ხელმოწერისათვის რომში, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1998 წლის 17 ოქტომბრამდე. ამ თარიღის შემდეგ, ეს წესდება დარჩება ხელმოწერისათვის ღიად ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში, 2000 წლის 31 დეკემბრამდე.

2. ეს წესდება ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას ხელმოწერი სახელმწიფოების მიერ. სარატიფიკაციო სიგელები და მიღების ან დამტკიცების დოკუმენტები დებონირდება გაეროს გენერალურ მდივანთან.

3. ეს წესდება ღიაა შეერთებისათვის ყველა სახელმწიფოსათვის. შეერთების დოკუმენტები დებონირდება გაეროს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 126 ძალაში შესვლა

1. ეს წესდება ძალაში შევა მე-60 სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის გაეროს გენერალურ მდივანთან დებონირებიდან მე-60 დღის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

2. ყველა სახელმწიფოსათვის, რომელიც ახდენს წესდების რატიფიკაციას, მიღებას, დამტკიცებას ან შეერთებას მე-60 სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის დებონირების შემდეგ, წესდება ძალაში შევა ამ სახელმწიფოს სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტის დებონირებიდან მე-60 დღის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 127 წესდებიდან გასვლა

1. მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, გაეროს გენერალური მდივნისადმი მიმართული წერილობითი განცხადების მეშვეობით, გავიდეს ამ წესდებიდან. გასვლა ძალაში შევა განცხადების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ, თუ განცხადებაში უფრო გვიანი თარიღი არ არის დადგენილი.

2. წესდებიდან გასვლის მიზეზით სახელმწიფო არ თავისუფლდება ამ წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებებისაგან, რომლებიც წარმოიშვა მისი ამ წესდების მონაწილე სახელმწიფოდ ყოფნის დროს, დაგროვილი ფინანსური დავალიანების ჩათვლით. გასვლა

ზიანს არ აყენებს სახელმწიფოს თანამშრომლობას სასამართლოსთან გამოძიებისა და სისხლის სამართალწარმოების საკითხებზე, რომელთა მიმართ სახელმწიფოს გააჩნდა სასამართლოსთან თანამშრომლობის ვალდებულება და რომლებიც დაიწყო გასვლის ძალაში შესვლის თარიღამდე; გასვლა ასევე არანაირად ზიანს არ აყენებს იმ საკითხის მიმდინარე განხილვას, რომელიც უკვე განიხილებოდა სასამართლოს მიერ გასვლის ძალაში შესვლის თარიღამდე.

მუხლი 128 ავთენტური ტექსტები

ამ წესდების დედანი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად ავთენტურია, დეპონირებულ იქნება გაეროს გენერალურ მდივანთან, რომელიც მის დადასტურებულ ასლებს უგზავნის ყველა სახელმწიფოს.

ამის დასტურად, ხელმომწერი, მათი შესაბამისი მთავრობების მიერ ამისათვის სათანადო წესით უფლებამოსილნი, ხელს აწერენ ამ წესდებას.

შესრულებულია რომში, 1998 წლის 17 ივლისს.